140
1992/2

ISSN 0868—5177

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით გურამიშვილის
გარდაცვალების 200 წლისთავი

სეკვლა სიკვლიძე ოქნია, ოკლაძ ოქნთახა ოკოფვლი, ვას ბეკლოლების ვეოაგან, ეკ ალ ალის გასაყოფლი

რეკადური

9 10
1992



იუნესკომ წელს აღნიშნა
დავით გურამიშვილის
გარდაცვალების 200 წლისთავი

დავით გურამიშვილი

ნუგზარ
აფხაზავა

ბნელში მდებარე გამოველ გარეთ,
ვითა დავღამდი, ისე გავთენდი.

დავით გურამიშვილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტრაგიკული ბედის ქართველი პოეტია...

დაბადებულა 1705 წელს გორისუბანში.

სწავლამოწყურებულ ჭაბუკს სასურველი განათლება ვერ მიუღია — გარეშე მტრის მიერ და შინააშლილობით აკლებულ ქვეყანაში ვის ეცალა სწავლა-განათლებისათვის!

ლამისყანაში გახიზნული 24 წლის დავითი ლეკებს შეუპყრიათ და დაღესტანში გადაუყვანიათ.

ტყვეობიდან გაქცეულა და კაზაკებს შეუფარებიათ.

სოლაღიდან ასტრახანს ჩასულა, ასტრახანიდან — მოსკოვს და ვახტანგ მეექვსისა და მისი ვაჟის, ბაქარის ამალაში მიუღიათ.

მერე რუს ჰუსართა პოლკში ჩარიცხულა და ქართველი კაცი იძულებული გამხდარა, რუსეთის ინტერესებისათვის ებრძოლა. პრუსიელებმა ტყვედ იგდეს და ერთი წელი მაგდებურგის ციხეში გაუტარებია.

1780 წლიდან უკრაინაში, მირგოროდის ახლოს, სოფელ ზუბოვკაში დასახლებულა. ამ დროს იგი 75 წლის მოხუცია. გარდაიცვალა 1792 წლის 1 აგვისტოს, 87 წლის ასაკში, უცხოობაში გატარებული 63 გრძელი წელიწადის შემდეგ.

გარდაიცვალა ისე, რომ სამარეში ჩაიტანა საქართველოში დაბრუნების ოცნება.

მაგრამ დავითი მაინც დაბრუნდა საქართველოში. დაბრუნდა, როგორც გამორჩეული, ბრწყინვალე პოეტი. დაბრუნდა — თავის „დავითიანად“ გარდასახული.

ეტყობა, „დავითიანს“ მრავალი წლის განმავლობაში წერდა, სითბოთი, სიყვარულითა და რუდუნებით.

შვილი არ ჰყავდა და საკუთარი წიგნი იშვილა:

„დავჯექ და ლექსვა დავიწყე,
ვთქვი თუ ვიშვილებ ამასო...“

ცრემლითა და ღიმილით, სევდითა და ხალისით, ტკივილითა და იმედითაა სავსე „დავითიანი“.

იგი გვასწავლის, რომ „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“, რომ „სწავლა სიკვდიმდე შენია“, რომ „ჰგავს უხორთუმო სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია“, რომ „სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა უწვრთელი შვილის ყოლასა“...

გვასწავლის, რომ მოყვრის პირში ქება აუგია და, სულ ერთია, ვისაც უნდა ეხებოდეს, მთქმელმა სიმართლე უნდა თქვას: „მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“, ან: „მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?.. ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

ამ დევიზით მოქმედებს და ამიტომაც არც ერისა და არც ბერისა არ ეშინია, ხმამაღლა განაცხადოს, რომ იმდროინდელი საქართველოს უბედურებაში გარეშე მტრებზე მეტი წილი შინაურ მტრებს უდევთ:

„კახელების აღმა ხნული
ქართველებმა დაღმა ფარცხეს...“

ან კიდევ:

„ამ უკუღმა ხვნამ და ფარცხვამ
ის ნაყოფი გამოიღო,
მოგვითხარა ქართლ-კახეთი,
ძირფესვიან ამოიღო“.

დავით გურამიშვილი ქართული ლექსის ერთ-ერთი პირველი რეფორმატორია. მართალია, ზოგ შემთხვევაში

იგი თავის წინამორბედებს — არჩილ მეფესა და მაშუკა ბარათაშვილს ენათესავება, მისი ლექსი მაინც გაცილებით უფრო მაღალმხატვრული, მოქნილი და შთამბეჭდავია.

შემოქმედების მხატვრული დონითა და შინაარსით დავითი როდია მხოლოდ ქართველი პოეტი:

იუნესკოს (გაეროს ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში) გადაწყვეტილებით, 1992 წელს მთელი კულტურული მსოფლიო აღნიშნავს „დავითიანის“ ავტორის გარდაცვალების 200 წლისთავს.

მაშასადამე, დავით გურამიშვილი, როგორც პოეტი, მსოფლიოს საკუთრებაა.

ტრაგიკული ბედის პოეტი იყო... მაგრამ ბედნიერიცაა — სიკვდილის შემდეგ...

სწავლა ჭამისაგან...

(ფრაგმენტები)

თუ კაცსა გული არა აქვს მთელი,
ცუდია მისთვის თვალთა ნათელი.
სჯობს, თვალი დაწუხდეს, გული კი არ წუხდეს
კაცისა ხევდით.
ხიბრმე უდროოდ კაცს არ აბერებს,
თუ გული მთლად აქვს, კიდეც ამლერებს!
თუ გულს რამ ეწყინა, სატკენი ეტკინა,
მალე მოკვდების.
რადგან გულით არს სიცოცხლე, კდომა,
სჯობს, გულს უსრულო, არა თვალთ ნდომა;
ნუ ზდევ თვალთ ნდომასა, გულთა წახდომასა,
გული სჯობს თვალთა.
თვალთ სიამოვნე არს ერთი წამი,
გულთ სიამოვნე — მრავალი ჟამი.
თვალთ ნამუშაკევი არს ნაუშაკევი
გონება ღვთისა.
თვალი შორს წავა, რასაცა ნახავს,
ამბავს მოუტანს, გულთანა ძრახავს;
რასაც მაიწონებს, გულში გაიწონებს
ნდომის ლახვარსა.
რასაც კარგს ნახავს, გულს მოუნდება,
თუ ვერ იშოვნა, მით აჭმუნდება:
დაიწყებს ღონებას, ჯავრს მისცემს გონებას,
წაიხდენს თავსა.
ნახა, კაცისა გული მოკვდება,
ყოველი ახო ხელ თან გაჰყვება.
თვალი არს მცდენელი, კაცთა წამხდენელი,
შემახმენელი.
რადგან თვალებსა არ აქვთ დანდობა,
არც ძმობა გვმართებს და არცა დობა,
ჩვენთა თვალებისა გზისა-კვალებისა
მიდევს-მიყოლა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ინფორმაციის სამინისტროს ეროვნული ბიბლიოთეკა
საფასურიანი ყოველთვიური



ნაკადულს 1924 წლიდან

ნომრის შინაარსი

მიხეილ უუბითიძე — მერცხალი (მოთხრობა)	2
ნინო ხარაზიშვილი — მარიკას „ნუნუ ექიმობა“ ეწატრება	9
რევაზ ლორია — პურის ფახი (მოთხრობა)	11
ნანა ფავლენიშვილი — იქნებ გიორგის ჯერიც დადგეს	13
ივანე ელიავაშვილი — ჯიბე	16
ზღაპარ ბეო, ზღაპარ იყო	18
ე. სინკლერი — წყალქვეშა ურჩხული (მოთხრობა)	20
ბაიოზ ფოცხიშვილი — 75 . . .	24
ვ. ბელაშვილი — ჩვენი ეზო	26
არა მარტო შვიდი საოცრება	27
ბ. ბასიტბაშვილი — კოლუმბი თუ ამერიგო?	30

მიხეილ ერისთავის
შუამთიანი ბიბლიოთეკა

მხატვარი
ედ. ამაშუკაძე

ზოთხრობა

1.

ოთახის ერთ კუთხეში, ჭერთან ახლოს, პატარა ჭანჭარა იყო მიკრული. ჭანჭარაზე მერცხალი იჯდა. თითქოს ნალველიან ფიქრებს მიჰცეოდა, იშვიათად თუ გადმოხედავდა მოფუსფუსე ბებიას.

ბებიას გული ეტანჯებოდა და სანუგეშო სიტყვებს არ აკლებდა მერცხალს:

— ნუ გეშინია, კუდმაკრატელავ, ჩემი შვილიშვილები არაფერს მოგაკლებენ. მალე მოელება ბოლო ბებერ ზამთარს, გაზაფხული დადგება და მაშინ ძველებურად ინავარდებ შენს ტოლ-მეგობრებში.

მერცხალი იშვიათად თუ აჭიკჭიკდებოდა, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა გულში დაგუბებული სევდა აღარ ეტეოდა. ამ დროს მისი ჭიკჭიკი სულაც არ ჰგავდა გაზაფხულზე მოფრენილი მერცხლის ჭიკჭიკს.

მოვიდნენ თუ არა, ქეთინომ და კაკომ მერცხლისაკენ გაიშვირეს ხელები. მერცხალი გადმოფრინდა, ოთახში წრე შემოხაზა და ქეთინოს ხელზე დაასკუპდა. ქეთინომ მიუალერსა, ლოყაზე მიიხუტა, ჩანთიდან პლასტმასის სახურავიანი ორი ჰაწია ბოთლი ამოიღო და მაგიდაზე დააწყო. ბოთლების სახურავი ჩახვრეტილი იყო. კაკომ ერთ-ერთს სახურავი მოახრახნა. იქიდან ერთი მსხვილი ბუზი ამობობღდა, ფრთები გაისწორა და აფრინდა, მერცხალმა კამარა შეკრა და წამში დაიჭირა მწერი. კაკომ და ქეთომ მერცხალი ტაშით დააჯილდოვეს. მერცხალმა ოთახში რამდენიმე წრე შემოხაზა და იხეკ ქეთინოს ხელზე წამოსკუპდა.

მერცხლის ყოველ აფრენასა და მწერის დაჭერას ბავშვები ჟივილ-ხივილით ეგებებოდნენ. როცა ბოთლი თითქმის დაცარიელდა, ქეთინომ მერცხალს წყალი მოუტანა.

— გეყოფა ჭამა, გენაცვალე, დანარჩენი ხამხრად და ხვალის საუზმედ შემოვინახოთ. ახლა კი წყლით ჩაიკოკლოზინე ყელი.

— სად იჭერთ გოგო, ამდენ ბუზსა და კალიას? — ჰკითხა ბებიამ, რომელსაც წინდის ქსოვა შეეწყვიტა და შვილიშვილებისაგან მოწყობილ უცნაურ სანახაობას გაღიმებული უცქეროდა.

— კლასში მორიგეობა დავაწესეთ, ბებო, მერცხლისათვის საზრდოს საშოვნელად სათბურებში დავდივართ ხოლმე.

ბებიამ შვილიშვილები ასადილა. მერცხალი ხან ქეთინოს ასკუპდებოდა თავსა და მხარზე, ხან — კაკოს, თან თვალებში იხეთნაირად შეხციციენდა, თითქოს უნდოდა გაეგო, მოხწონდათ თუ არა მისი ნაქციელი პატარებს.

თქვენ ალბათ დაინტერესდით, საიდან გაჩნდა ბებიას ოთახში მერცხალი.

ახლავე გიამბობთ.

2.

ქეთინომ და კაკომ იცოდნენ, რომ მერცხლები სახარგებლო და უვნებელი ფრინველებია, წყვილებად ცხოვრობენ და ისეთი მეგობრობა იციან, რომ წყვილის ცალი სიკვდილამდე თავის მეგობარს არასოდეს შორდება. წყვილები იშენებენ საკუთარ ბუდეს, მშობლები ერთნაირად ზრუნავენ შვილებზე. ისინი ჭლეტენ მავნე მწერებს და ტკბილი ჭიკჭიკით ამხიარულებენ ადამიანს. ყოველივე ამის სანაცვლოდ კი სახლის ჭერთან მხოლოდ ერთ ციდა ადგილს მოითხოვენ თავიანთი ოსტატური ბუდის მისაშენებლად.

ბავშვებმა გადაწყვიტეს, საკუთარი დაკვირვებებით შეეშოწმებინათ ყოველივე.

„როგორ გავარჩიოთ ორი მერცხალი სხვა მერცხლებისაგან? რა ნიშანი დავადოთ მათ, რომ გავიგოთ, შომავალ წელსაც ერთად იცხოვრებენ თუ არა?“ — აი, ეს კითხვები აწვალებდა ბავშვებს.

— მოდი, თითო ბრჭყალი შევაჭრათ, — თქვა კაკომ.

— რას ამბობ, ცოდონი არიან! ესეც არ იყოს, ბრჭყალი გაიზრდება და მაინც ვერაფერს გავიგებთ.

— მაშინ ბუმბული შევუღებოთ...

— როგორ? — გაიკვირვა ქეთინომ.

— ჰო, შევღებოთ, დეიდა ნატოს თმა ხომ დაგინახავს? იმას გამოვართვათ საღებავი და მერცხლებს მკერდზე წავუსვათ.

— ეჰ, არ ივარგებს! დეიდა ნატო თვეში ერთხელ იღებავს თმას. ყოველი თვის შემდეგ მერცხლების შესაღებად შენ ირბენ ინდოეთში?

ბავშვები ჩაფიქრდნენ. ბებიასაც გაანდეს განზრახული, მაგრამ ვერც მან ურჩია რაიმე საგულისხმო.

— ვიპოვე! — აღტაცებით წამოიძახა კაკომ ერთ ხალამოს, როცა ჟურნალ „ლილის“ ცნობისმოყვარეთა კუთხეს უკირკიტებდა.

— რა იპოვე? — დაინტერესდა ქეთინო.

— რა და, ამერიკაში საქართველოდან გაფრენილი იხვები დაუჭერიათ!

— ხელელო, მერე რა მოხდა, შემთხვევით შენი იხვები ხომ არ იყვნენ? რით მიხვდნენ, რომ ჩვენგან გაფრენილები იყვნენ?

— რით და, საქართველოში იხვებისთვის ფეხებზე დანომრილი რგოლები გაუკეთებიათ. ჩვენც ახე მოვიქცეთ.

ეროვნული

20123

შეორე დღეს ბავშვები ნიკო პაპას სამჭედლოში შეეიდნენ. პაპას გუთნის გავარვარებული საკვეთი ეჭირა გრდემლზე, მისი შვილიშვილი, დათო, გამალებით უბაგუნებდა ზედ დიდ ურიოს.

— ნიკო პაპა... — დაიწყო ქეთინომ და თან კაბის კალთას ჭმუჭნიდა. — რგოლები გვჭირდება ნიკო პაპა...

— რა რგოლები, რაზ ამბობ, გოგო? — გაიკვირვა პაპამ, კაკომ ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა.

— აბა, ამ ალოობას მაგისთვის სად მცალია! მაგრამ, კარგი, გაგიკეთებთ. სვალ მოდით და მზად იქნება.

ნიკო პაპას რამდენიმე სხვადასხვა ზომის მსუბუქი, წვრილი რგოლები დაემზადებინა. კარგად რომ შებინდდა, კაკომ სვეტს კიბე მიადგა და ავიდა. სვეტის თავთან მიშენებულ ბუდეზე, აქეთ-იქიდან, მთელი დღის ჯაფით მოქანცული დედა და მამა მერცხალი ჩამომსხდარიყვნენ. ბარტყებს ბუდის კიდეებზე ყვითელი ნისკარტები ჩავმწკრივებინათ. მერცხლები აწრიალდნენ; მათ მოახლოებული საფრთხე იგრძნეს, მაგრამ კაკომ მოასწრო და ორივე დაიჭირა.

ბავშვები რგოლების მორგებას შეუდგნენ. გულგახეთქილი მერცხლები ფრთხიალებდნენ, ეწინააღმდეგებოდნენ. ბოლოს ბავშვებმა თავისას მიაღწიეს და მერცხლები ადგილზე დააბრუნეს.

შეორე დილით მერცხლები ფეხზე წამოცმული რგოლებს იკორტნიდნენ, ხოლო როცა ქეთინო და კაკო დაინახეს, ჭყივილი მორთეს და ბუდის ირგვლივ დაიწყეს ტრიალი. რგოლებს ჩქარა შეეჩვივნენ, მაგრამ ქეთინოსა და კაკოს მაინც უნდობლად ეკიდებოდნენ; მათ ყოველ გამოჩენაზე ჭყივილს იწყებდნენ, აწყდებოდნენ აქეთ-იქით, მაგრამ ერთმა გარემოებამ მათი ურთიერთობა მთლიანად შეცვალა და მერცხლები ბავშვებს თითქმის გაუშინაურდნენ კიდეც.

თავიდან ქეთინოსა და კაკოს სახლის ჭერქვეშ ბევრმა მერცხალმა ჰპოვა თავშესაფარი. ბავშვები ყოველნაირად ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ მათთვის. კაკომ, ბუდიდან შემთხვევით გადმოცურებული ბარტყი ხიკვდილისაგან რომ ეხსნა და დაღლილ მერცხლებსაც მოხერხებულად ეგრძნოთ თავი, ყოველი ბუდის ქვეშ მომცრო ფიცრები მიაკრა. მერცხლები ამ წახელავით კმაყოფილნი დარჩნენ, ყოველ საღამოს ჩამოსხდებოდნენ ხოლმე ფიცარზე, მარაოსავით გაშლიდნენ ხან ერთ, ხან შეორე ფრთას და სიამოვნებით იკიკნიდნენ და ინიავებდნენ მთელი დღის შრომით დაღლილ სხეულს.

მათი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთხელ მსუნაგმა კატამ ამოსხა რამდენიმე ბარტყი და ბუდეებიც ჩამოანგრია. მერცხლებმა მწარედ გამოიტირეს თავიანთი ბედი, დასწყევლეს კატის მოდგმა და იმ ადგილს მეტად აღარ ეკარებიან.

ლორმუცელა ფიხოს მხოლოდ ერთი ბუდე დარჩა მოუნადირებელი, ფანჯრის პირდაპირ, ჭერის კუთხეში. ბევრჯერ მოინდომა ფიხუნიამ, ამ ბუდეშიც მოეფათურებინა თათები, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა: ყოველთვის ან ბებიას ჯოხი ხვდებოდა ზურგზე, ან ბავშვები უხელდნენ გვერდებს. ბოლოს კატამ თითქოს დაიეწყვა ეს ბუდე და მისკენ აღარც კი იხედებოდა, მაგრამ როცა მასში ყვითელნისკარტა ბარტყები აჭყიპინდნენ, იხუე მოაგონდა ძველი განზრახვა და გულისწადილის შესრულება გადაწყვიტა.

ერთხელ, როდესაც ბავშვები სკოლიდან დაბრუნდნენ, ბებიამ ისინი მაგიდასთან დასხა — აბა, იხადილეთ და შემდეგ თქვენს საქმეს მიხედეთო.

იქვე, მხარეთეძოზე წამოწოლილი ფიხო წამოდგა, ხიამოვნებით გაიზმორა, შემდეგ ულვაშზე თათები გადაისვა, ცერად გახედა მოფუსფუსე ბებიას და გეშრიელი სადილით აფუთფუთებულ ბავშვებს. მერე კართან აიტუზა და კნავილი დაიწყო.

— უი შენ და მუცლის გვრემას! — მიაწყევლა ბებიამ. — კარი გაუღო. — გასწი, ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახონს!..

ფიხო გარეთ გავარდა, კიბესთან მივიდა და შეჩერდა. ამ დროს ერთი მერცხალი მოფრინდა, ბუდეს მიაშურა და შვილებს ყელმოღერებით გადახედა. ხუთმა ბარტყმა ერთდროულად დააღო პირი. მერცხალმა დაჭერილი ბუზი ერთ მათგანს ჩაუდო ხახაში და გაფრინდა. პირდაფჩენილი ბარტყების დანახვაზე ფიხოს საღერღელი აუშალა, მოაჯირზე შეხტა, იმ სვეტის ძირში წამოეცუცქა, რომელზედაც ბუდე იყო მიშენებული. იხეე მოფრინდა მერცხალი, პირდაღებულმა ბარტყებმა შიშველი კისერი წაიგრძელეს და ღინღლიანი ფრთების ქნევით ჭყლოპინს მოჰყვნენ. კატა სვეტს აჰყვა. დედა მერცხალმა ჭყივილი მორთო და კატის გარშემო დაიწყო ტრიალი. მალე მას სხვა მერცხლებიც შემოუერთდნენ. ფიხო მათ წრიალსა და ხმაურს აინუნშიაც არ აგდებდა, ყვითელნისკარტა ბარტყების გა-

საქართველოს ეროვნული

ეროვნული

რდა ვერაფერს ხედავდა და მათკენ მიიწევდა. ბუდეს მიუ-ახლოვდა. ერთმა მერცხალმა ფრთაც კი გაპკრა თავზე. კატას გაუკვირდა მერცხლის სითამამე, ბუდის ქვეშ მიკრულ ფიცართან შეჩერდა და ბრაზით შეჰკნავლა მერცხლებს. შემდეგ წინა თათებით ფიცარს შეებოტა და მისი თავი თითქმის ბარტყების წინ აღმოჩნდა.

ბარტყებმა არ იცოდნენ, თუ რა უბედურება ელოდათ, ერთი მათგანი ფრთების სავსავით ნახევრად გადმოეკიდა ბუდეს და ჭყლოპინით ითხოვდა საჭრდოს. კატამ არ დაახანა და მისკენ გაიწოდა კისერი. სწორედ ამ დროს რადაცა დაეტაკა ფერდში, ფისო ფიცარს მოსწყდა და იატაკს დაენარცხა.

— სულზე არ მოვასწარი ამ საძაგელს! რა ვუყო ახლა ამ ღორმუცელას? რომ არ მოგვესწრო, სულ შესანსლავდა საცოდავ ბარტყებს!

კაკოს იატაკის საწმენდი ჯოხი მოემარჯვებინა და გაბრუებულ კატას თავს დასდგომოდა.

კატამ თავი წამოსწია, როცა ჯოხმომარჯვებული კაკო დაინახა, ქეთინოს გახედა და საცოდავი კნავილი მორთო.

— კაკო, თავი დაანებე, ეგეც ეყოფა ჭკუის სასწავლად!

— არაფერიც არ ეყოფა! ამდენი მერცხალი გააუბედურა და ახლა ამ საცოდავების ოჯახის დაქცევასაც აპირებდა! ეს ცოცხლად უნდა გაატყაოს კაცმა და მაინც ცოტა იქნება მისთვის! აი, შენ! აი, შენ!

კაკომ, არცთუ ძლიერად, ორჯერ კიდევ უთავაზა ჯოხი წელმოთრეულ კატას.

კატამ თავი უკან გადააგდო და გაშეშდა.

— რად მოკალი, რადა?! — თვალზე ცრემლები მოადგა ქეთინოს.

— მოვკალი არა, ის არ გინდა?! ეშმაკს რა მოჰკლავს?!.. — თქვა კაკომ და თვითონაც, ცოტა არ იყოს, შემკრთალი დააცქერდა იატაკზე გაშლართულ კატას.

— მოკვდა საწყალი... ფეხსაც აღარ ატოკებს. აბა, ეს რა ჰქენი, რა?

უცებ კატა შეირხა, წამოხტა და ეზოსკენ მოკურცხლა.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ხომ გითხარი!.. — აყვირდა კაკო.

ქეთინოც აკისკისდა:

— უყურე მაგ ცრუპენტელას, როგორ შირბის, ა?!

მერცხლები კი მხიარულად დაფრინავდნენ ბავშვებს ირგვლივ და კატის დასჯას დღესასწაულობდნენ. ერთი მერცხალი ფიცარზე იჯდა, შვილებს დასცქეროდა და ცისა და ქვეყნის საგალობელს უჭიკჭიკებდა. როდესაც კატა გაიქცა, დედა მერცხალი გადმოფრინდა, რამდენჯერმე აუქროლ-ჩაუქროლა ბავშვებს ისე ახლოს, რომ ქეთინოს თავზე პეპლებივით მსხდარი ბაბთები აფრიალდნენ.

— დაინახე, კაკო? კნანდამ ფრთა გაპკრა თავზე!

— მადლობას გიხდით, შვილო! — უთხრა შვილიშვილებს აივანზე გამოსულმა ბებიამ. — თქვენ დღეს ორი კარგი საქმე გააკეთეთ, მომდურებული მერცხლებიც მოიმადლიერეთ და ღორმუცელა კატასაც ჭკუა ასწავლეთ.

მართლაც, იმ დღიდან მერცხლებს მოლბილებულად გადააციწყდათ ადრინდელი წყენა და ბავშვებს შუდამ მხიარულად ეგებებოდნენ. დილაობით სვეტებს შორის გაბმულ თოკზე სხდებოდნენ და ყელშოღერებით იწყებდნენ ჭიკჭიკს. შემდეგ სკოლისაკენ მიმავალ ბავშვებს ერთ-ორჯერ შემოეკლებოდნენ თავზე და ცის კამარაში ხიხრდის სიპოკნელად იწყებდნენ ხრიალს.

3.

მოახლოვდა მერცხლების გადაფრენის დრო. ... სამშადისს შეუდგნენ. ადრე თუ შვილებისთვის საჭრდოს შოვნაში აღამებდნენ დღეს, ახლა უზრუნველად დანავარდობდნენ, ისვენებდნენ, გუნდ-გუნდად სხდებოდნენ და მომავალ მოგზაურობაზე ბჭობდნენ.

...იმ დღეს ყველა მერცხალი სულ სხვანაირ განწყობილებაზე იყო, ტკბილ-ნაღვლიანი ხმით ჭიკჭიკებდნენ და თავიანთ მოსისხლე კატასაც კი მეგობრულად უცქერდნენ. ისინი უკანასკნელად ესტუმრნენ თავიანთ ბუდეებს და შემდეგ არემარეს მოედნენ, რათა ნაცნობ ადგილებს გამოთხოვებოდნენ. ბავშვები სკოლამდე მიაცილეს და ტელეგრაფის მავთულზე ჩამოსხდნენ. ცნობისმოყვარეობით უცქერდნენ სკოლისაკენ კისრისტეხით მიმავალ დაგვიანებულ მოსწავლეებს. იმათ ერთი ბიჭი გამოეყო, გზიდან გადაუხვია და ღობესთან მივიდა; უნდოდა, ღობეზე გადასულიყო და სკოლის გზა შეემოკლებინა, მაგრამ ეზოში დარაჯი დაინახა და უკან გამობრუნდა.

მავთულზე შეჯდარი ერთი მერცხალი აფრინდა, შეგობარს ანიშნა, დროა, წავიდეთო, მაგრამ მეორე არ გაჰყვა. იგი გზაზე მოცუნდრუკე ბიჭს გადაჰყურებდა.

ბიჭმაც შეამჩნია მარტოდდარჩენილი ფრინველი და ეშმაკურად მოწკურა თვალები. მერე ერთ ჯიბეში ჩაიყო ხელი და მრგვალი კენჭი ამოიღო, მეორედან — შურდული, ქვა შურდულს მოარგო და როცა მერცხალს გაუსწორდა, უცებ მისკენ მიბრუნდა და ესროლა.

მერცხალი გამტვერიანებულ ბალახში ჩავარდა, აფართხალდა, აფრენა დააპირა, მაგრამ მხარი აღარ დაეშორჩილა. ბიჭი გადახტა, დაიჭირა ბალახში უმწეოდ მოფართხიალე მერცხალი და სკოლისკენ გაიქცა.

მასწავლებელმა სია ამოიკითხა და ის იყო, დაფასთან ქეთინოს გვერდით შეჯდარი გოგონა გაიძახა, რომ ლრიჭოდ დარჩენილი კარი ოდნავ გაიღო. ჯერ ხორბლისფერი სახე და აბურძგნულთმიანი თავი გამოჩნდა, შემდეგ კი — მისი პატრონიც.

— რეზო, რატომ დაგვიანე? — მკაცრად ჰკითხა მასწავლებელმა კარში მდგარ ბიჭს.

— გულო მასწ... ბებიამ...

— ჰო, კარგი, დაჯექი, ახლა ზღაპრების დრო არ არის. შემდეგში თუ კიდევ დაგიგვიანია, ფეხს აღარ შემოგაღგშვეინებ კლასში!



რეზო ფეხაკრეფით მივიდა თავის ადგილთან, მასწავლებელს ქვეშ-ქვეშ გახედა და მერხს მიუჯდა.

დაფასთან გაძახებული მოსწავლე გაკვეთილს ჰყვებოდა.

— რეზო, სად იყავი? — ჩურჩულით შეეკითხა მისი მერხის მონახელვრე. რეზომ თვალები დაწკურა და ამხანაგს ჯიბეზე ანიშნა.

— მაჩვენე, რა!

— არ გაფრინდეს! გააფრთხილა რეზომ ამხანაგი და ხელში მერცხალი ჩაუსვა.

— ეს რა არის?!.

— რასაც ხედავ.

— მერე, არ გეშინია? — ჩუმად ჰკითხა ამხანაგმა.

— რისა?

— დაგწყევლის.

— ეჰ, ბებიაჩემის წყევლა ვერაფერს მიშვრება, მაგან რა უნდა დამაკლოს? იცი, რამშიშორიდან ვესროლე?..

— სად მოხვდა?

— ფრთა აქვს მოტეხილი... ყველაზე საკვირველი, იცი, რა არის?

— რა?

— მარჯვენა ფეხი უნახე!

— შენ გაუკეთე?

— არა, ასე ქონდა!

— ვაა?!.. მოდი, მასწავლებელს ვაჩვენოთ!

— რას სულელობ!

— სიჩუმე!... — ფანქარი დააკაკუნა მაგიდაზე მასწავლებელმა.

რეზომ ხელი წაატანა ამხანაგს. ისიც აღარ გახძალიანებია, მაგრამ გადაცემისას მერცხალმა შეიფრთხიალა და ხელიდან გაუსხლტა, მხოლოდ ორიოდე მეტრის გაფრენა შეძლო და ფანჯრის რაფაზე დაეცა.

მთელი კლასი გაინაბა.

ფრთამოთრეული ფრინველი ნაღვლიანად გასცქეროდა ფანჯრის მიღმა გაშლილ ნათელ სივრცეს, მაგრამ იქ სანავარდოდ ძალა აღარ შესწევდა.

ქეთინომ მიირბინა, ჩიტი ხელში აიყვანა და ტირილი აუვარდა.

— ჩემი მერცხალი!.. ჩემი მერცხალი...

მერცხალმაც იცნო თავისი პატარა მეგობარი, მხრებში ძალა მოეცა და გასაფრენად გაიწია. აფრინდა კიდეც, მაგრამ მალე მხარი შეეღრიცა და მეგობრის ფეხებთან ულონოდ დაეცა.

ქეთინომ ისევ აიყვანა, გულში ჩაიხუტა; მერცხალმა ჩაიკუჭკუჭა და მეგობრის მკერდზე ჩამოდო თავი.

გოგონა სლუკუნით მოუყვა მასწავლებელს, თუ რისთვის გაუკეთეს მან და მისმა ძმამ მერცხალს რგოლები, როგორ დაიმეგობრეს და რა ძვირფასები გახდნენ მათთვის ეს პატარა ფრთოსნები.

— რა ვქნა, რა ვუყო, მალე მერცხლები თბილ ქვეყნებში გაფრინდებიან, ეს კი აქ უნდა დარჩეს! რა ეშველება ამ უბედურს... — აცრემლებული ქეთინო დაჯდა და თავისი პატარა მეგობარივით მოიბუზა.

მასწავლებელმა რეზოს გადახედა. იმას თავი ჩაეღუნა და იცდიდა, როდის გავარდებოდა მეხი. მაგრამ ხმას არავინ იღებდა.

„ეჰ, რა სულელი ვარ, რას ვაჩვენე? — თავს უწყრებოდა რეზო. — ახლა ყურების აწითლება და სკოლაში ბებიაჩემის მოყვანა არ აცდება. თან ამ ჩემს შურდულსაც უნდა გამოვეთხოვო! მერე რა კარგია, სულ ცინცხალი, მხოლოდ შეორე დღეა, რაც გავაკეთე...“

კლასი დუმდა.

რეზომ ქვეშ-ქვეშ გახედა ჯერ მასწავლებელს, მერე — ამხანაგებს. მასწავლებელი სკამს მიყრდნობოდა ბურგით, თავი აეწია და რეზოს უკან სივრცეში იყურებოდა. ამხანაგების უმრავლესობა მოღუშული იჯდა, დანარჩენები კი ცნობისმოყვარე თვალებს აცეცებდნენ და ელოდნენ, რა მოხდებოდა. მარჯვნივ, მეზობელ მერხზე მჯდარი გოგონა ცრემლს იწმენდდა.

„რა არის, რატომ ხმას არავინ იღებს? მოხდეს ბარემ, რაც მოსახდენია!“

გაუთავებელმა ლოდინმა რეზოს სული შეუხუთა. ადგილზე ველარ ისვენებდა, წამოხტომა და გარეთ გავარდნა დააპირა, მაგრამ ამასაც ველარ ახერხებდა, მისკენ მიპყრობილი თვალები ბორკავდნენ და თანაც მისგან რაღაცას მოითხოვდნენ.

რეზოს ბურთივით მოაწვა ყელში ბოლმა, თავი ჩაღუნა და ჯიბეები ამოიბრუნა. ადგა, შურდული და მრგვალი კენჭები მასწავლებელს დაულაგა მაგიდაზე.

— მე აღარ... აღარასოდეს, მასწ... — ამოილუღლუღა და კარისკენ წავიდა.

— დაბრუნდი! — შეაჩერა მასწავლებლის ხმამ.

რეზო შეჩერდა. ცრემლი მოადგა. თავჩაქინდრული თავის ადგილს დაუბრუნდა.

ბავშვებმა მადლიერი თვალებით შეხედეს მასწავლებელს და შებრალებით გადახედეს მობუზულ, წუთში ერთიანად დაპატარავებულ ბიჭს.

4.

ქეთინომ ფრთამოტეხილი მერცხალი შინ მიიყვანა და თავს იმტვრევდა იმაზე ფიქრით, რით ეშველა პატარა მეგობრისათვის.

გარეთ მზიანი დარი იდგა. მერცხალი ოთახში ვერ ისვენებდა, ხაცოდავად აფართხუნებდა დაშავებულ ფრთას და თავს უარეს გასაჭირში იგდებდა.

— რა ვუყო, რა ვუშველო! ხანამ ეს ასეთ ყოფაშია, ვერ მოვისვენებ! — შესტირა ბებიას გოგონამ.

— რა ვიცი, შვილო, რა გითხრა... მოდი, ჩვენს ბეითალს მიუყვანე, იქნებ უშველოს რამე.

— ვის, ონისიმე ბიძიას?! ხიკვდილის გულისთვის არ მივალ!

— რატომ, გოგო, რა დაგიშავა?

— იმის ნაბოლარას ნახელავია ეს საქმე!

— უყურე მაგ ხვლიკს! სწორედ ახლა უნდა მიხვიდე. ონისიმეს ამისთანები არ უყვარს. იმ ნამლევას ერთს გვ მოზე მიტყეპავს კიდეც. წადი, წადი, კაცი ექიმია და ამ პატარა ჩიტს თუ ვერ უშველა, აბა, რისი მოხელეა?

ქეთინომ ცრემლიანი თვალები შეიმშრალა, მერცხალი აიყვანა და წავიდა. მალე ექიმის ეზოს ჭიშკარს მიადგა. დაძახება უნდოდა, მაგრამ ბოსტნიდან გამოსული კაცი დაინახა და გაჩუმდა.

— მოდი, ბიძიკო, მოდი! თუ რეზო გინდა, ალბათ ისიც შინ იქნება.

— არა, ბიძია, მე თქვენთან მაქვს საქმე.

— ოჰო, ამ საქმის ქალს დამიხედეთ! თუნდაც არ შეცალოს, შენთვის მაინც გამოვნახავ დროს, პატარა ქალო!

ქეთინო ეზოში შეავიდა.

— ეგ რა არის? — ახლა შენიშნა ონისიმემ ქეთინოს მკერდზე მიხუტებული მერცხალი. — ეგ როგორ შეიძლება? ამას კი აღარ მოველოდი შენგან! გაუშვი ეგ საწყალი, მაგის ცოდვაში ნუ ჩადგები!

ქეთინოს ცრემლი მოერია.

— ფრთა აქვს მოტეხილი, ონისიმე ბიძია...

— აა! ასე ვერ მითხარი? ვინ მოტეხა მაგ საწყალს?

ქეთინოს უნდოდა, პირში მიეხალებინა, შენი ბუძგა ბიჭის ნახელავიაო, მაგრამ თავი შეიკავა.

— რა ვიცი, ასე ვიპოვე... არაფერი უშველება?

ონისიმემ გულდასმით გასინჯა მერცხალი და თვალი ჩაუკრა ეზოში შემოსულ კაკოს.

— გადარჩენილა! მთლად მოტეხილი არა აქვს, ცოტა ატკეჩილი უნდა ჰქონდეს ძვალი. ადვილი სამსახურია.

ქეთინოს თვალი გაუბრწყინდა, ღიმილით გადახედა ძმას.

— მაშ, მორჩება?

— კი, მაგრამ რად გინდა, მერე მაინც მოკვდება.

ქეთინო ისევ აიფშრუკა და სატირლად მოემზადა.

— ასეა, ბიძიკო, ავადმყოფის ჰატრონმა ყველაფერი უნდა იცოდეს. ეს ფრთა კი მოურჩება, მაგრამ ვითომ აიტანს ამდენს? ახლა მერცხლები გაფრინდებიან და ამ საცოდავს მეორე გაზაფხულამდე რა გაძლებინებს!

— უშველეთ, ბიძია, და... იქნებ გაძლოს.

— კი, ჩვენ ჩვენსას მაინც უნდა ვეცადოთ.

ონისიმემ წამლებით და ხელსაწყოებით სავსე ჰატარა ყუთი გამოიტანა.

— ამას ახლა, ბიძიებო, მოტეხილზე არტაშანს დავადებ და შეეუკრავ. ერთი თვის შემდეგ ისე იქნება, როგორც თქვენ გაგიხარდებაო.

ონისიმემ ყუთიდან მოგრძო ლითონის ფირფიტა ამოიღო, ღარისებურად გალუნა, მერცხალს მოტეხილი ადგილი შიგ ჩაუსვა და ზედ კაპრონის ძაფი დაახვია.

— ამის წამალი ეს არის. თუ მერცხალივით დავუწყებთ ჭიკჭიკს, ვინ იცის, შეიძლება გადარჩეს.

ჭიშკარმა გაიჭრიალა და ეზოში რეზო შემოვიდა. დაძმის დანახვაზე ფერი ეცვალა, აბუზული წამოვიდა მათკენ. ქეთინომ ძმას თვალით ანიშნა, არაფერი თქვაო.

— შენ, ბიჭო, სად დაზურზუტებ აქამდე? აგერ, ქეთინო რახანია მოსულია, შენ კი ჩაგიჩრია ხელები ჯიბეებში და აქეთ-იქით დაყანყალებ! სწორედ შენნაირი ბედოვლათი გააფუჭებდა ამ საცოდავს!

რეზო მიხვდა, მამანერმისთვის არაფერი უთქვამთო, თავისუფლად ამოისუნთქა და უფრო თამამად წავიდა სახლისაკენ.

— საქმეს მიხედე, თორემ მე ვიცი შენი!... — თვალი დაუბრიალა შვილს ონისიმემ და ისევ ქეთინოსა და კაკოს მიუბრუნდა: — ასე, ბიძიებო, ასე, ჩვენ ჩვენსას მაინც უნდა ვეცადოთ.

ბავშვებმა მერცხალი შინ მიიყვანეს და ფანჯრის რაფაზე დასვეს. მან ცოტა ხანს იფრთხიალა, გაფრენა უნდოდა, მაგრამ მალე მოიღალა და კუთხეში მიიყუჟა. კაკომ ბუზები დაიჭირა, ფრთები დააცალა და წინ დაუყარა. როცა მან ზედაც არ დახედა, პირი გააღებინა და ერთი-ორი ბუზი ძალით გადააყლაპა. ამის შემდეგ მერცხალი თითქმის აღარც განძრეულა, იყო ერთ ადგილზე და მილულულ თვალებს დროდადრო შეშინებული გამოახელდა ხოლმე.

მეორე დილით მერცხალმა ისევ გაიწია გარეთ. ქეთინომ აიყვანა და აივანზე გავიდა.

— შვილო, ჯერ არ უნდა გამოგეყვანა გარეთ, — უთხრა ბებიამ ქეთინოს. — ჯობს, აქედანვე შეეჩვიოს თავის უნებურ ტყვეობას. ახლა დაინახავს ამხანაგებს და უფრო გაიტანჯება.

— სწორია, ბებია, მაგრამ მინდა გავუშვა, ღეე, დარწმუნდეს, რომ ფრენა აღარ შეუძლია, იქნებ უფრო შეურიგდეს თავის ბედს.

— ეჰ, შვილო, მაგრე ვერ დაარწმუნებ, ეგ ყოველთვის მაღლა აფრენას მოინდომებს, რადგან მისი ცხოვრება სწორედ იქ არის.

მართლაც, გარეთ გამოსვლისთანავე ქეთინომ მერცხალი ხელის გულზე დაისვა. მან მაშინვე დაიბრიალა [illegible] მთელი ძალით აიჭრა მაღლა, მაგრამ სულ ჩქარა [illegible] ყირა დატრიალდა და ბალახში ჩაეარდა. მაინც არ ცხრებოდა; ხტოდა, ფრთქიალებდა, ზევით მიიწევდა. ქეთინოს გული დაეწვა, ცრემლი მოერია და ხელში აიყვანა.

— უნდა მოითმინო, საყვარელო. ვინ იცის, წელს შენიანები იქნებ გვიან გაფრინდნენ და მანამდე მოახერხო კიდეც მორჩენა.

მაგრამ მისიანები უკვე ემზადებოდნენ გასაფრენად.

მერცხალი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და უცებ გაირინდებოდა ხოლმე, რათა ნიავისაგან მოტანილ ხმებში მოძებნა ჭყივილი და ჭიკჭიკი გამოერჩია. ეს ხმები კი აღარსაიდან არ ისმოდა. მაშინ, თითქოს თავის უბედურებას მიხვდაო, მერცხალი მოეშვა, მოდუნდა და ძველებურად აღარ მიიწევდა გარეთ. ფანჯარასთან, კუთხეში მიიყუჟა და სანამ ბავშვები ხელს არ მოჰკიდებდნენ, სულ ერთ ადგილას იჯდა მობუზული. ბავშვები ძალით აჭმევდნენ და ასმევდნენ, ეფერებოდნენ, ელოლიავებოდნენ, მაგრამ მერცხალი ორ-სამ დღეში გახდა, გაფურფუტდა და ყველაფრის ხალისი დაკარგა.

დაღონებულმა ქეთინომ სკოლაში ამხანაგებს დაწვრილებით მოუთხრო მერცხლის ამბავი. რეზოც იქ იყო იმ დროს, თავი ჩაეღუნა და ჩანთაში ინხრიკებოდა, სინამდვილეში კი ისიც ქეთინოს უსმენდა.

რეზოს ადრე ეგონა, რომ ქეთინო მალე დაივიწყებდა მერცხალს, მომხდარ უსიამოვნებას, მაგრამ მოტყუვდა, პირიქით, უფრო მეტად წუხდა და მერცხალს ელოლიავებოდა, რეზოს კი ხმას არ ხცემდა და შუადამ თავს არიდებდა. სხვა ამხანაგებიც მოღუშულები უყურებდნენ ბიჭს.

რეზოს სწყინდა, რომ ამხანაგებმა ახე ითვალწუნეს. ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, დიდხანს ჩხირკედელაობდა მაშის ჰატარა სახელოსნოში და, როგორც იქნა, გულისწადილს მიაღწია.

მეორე დღეს რეზომ აიღო თავის ნახელავი და ქეთინოსთან წავიდა. ეზოს კარის ჭრიალზე კიბეზთან შეწოლილმა ბომბორა ძაღლმა ღრენით წამოყო თავი, მაგრამ მიხულის დანახვისთანავე გაჩერდა, ისევ ნებივრად გაიშხლართა მიწაზე და კუდის ბარტყუნს მოჰყვა.

რეზო აივანზე ავიდა, მარცხენა ხელი ზურგსუკან შემოიდო, მარჯვენით კი გაუბედავად შიაწვა კარს. ოდნავ შეაღო, გვერდულად შეეკრა და ზღურბლთან გაჩერდა.

ქეთინო და კაკო გაკვეთილებს ჩახსდომოდნენ. ბებიას ცალ ხელში მატყლის ფთილები მოემარჯვებინა, ხოლო მეორეთი შუბლებში ჩადგმულ თიხის ჯამში თითისტარს აბზრიალებდა. ხანდახან შეჩერდებოდა, ნართს გამოყოლილ კვანძს აცლიდა.

კარი რომ გაიღო, ბებიამ სათვალე შუბლზე აიწია და რეზოს გაკვირვებით შეხედა, შემდეგ თვალი ფანჯრის რაფისკენ გააპარა, სადაც მერცხალი ეგულებოდა, და რეზოს მიუბრუნდა:

— რა თხილის ჯოხივით აყუდებულხარ, მიხურე კარი და შემოდი!

რეზომ ფრთხილად მიხურა კარი და იქვე გაჩერდა. კაკომ თავი ჩაღუნა, კითხვა განაგრძო. ქეთინო უსალბოდ წამოდგა, მანაც წამით მერცხლისკენ გაიქცა თვალი და ბიჭს ჰკითხა:

— წიგნისთვის მოხვედი?

— არა, — მიუგო კარებთან ატუზულმა რეზომ და ზურგსუკან მოფარებული ხელი წინ წამოსწია, — აი, ეს მოვიტანე.

— გალია?! რად მინდა?

— მერცხლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომ უფრო ჩქარა მოკვდეს?

— არა, ჭამა რომ დაიწყოს.

ბებიამ რთვა შეწყვიტა. კაკო წამოდგა და რეზოსთან მივიდა.

— გალიაში მერცხალს შესვამ, შემდეგ შიგ ბუზებს გაუშვებ და...

— მერცხალი ყლაპვას დაიწყებს! — შეაწყვეტინა კაკომ.

— ვითომ? — უნდობლად იკითხა ქეთინომ.

— აუცილებლად! ეს ჩემ, რეზო, ეს რა კარგი რამ მოგიფიქრებია! ბუზები თავს მოაბეზრებენ მერცხალს და ისიც ძალაუნებურად ნადირობას დაიწყებს!

ბებიამ სათვალე ისევ დაბლა ჩამოიწია და ღიმილით განაგრძო რთვა. ქეთინოსაც სახე გაუბრწყინდა და ბიჭებს მიმართა:

— კარგი იქნებოდა, ახლავე გვესინჯა, მაგრამ ახე ჩქარა ბუზებს სად დავიჭერთ?

— აი, ბუზები, — თქვა რეზომ და ჯიბიდან შავად შებურული პატარა ბოთლი ამოიღო.

კაკომ მერცხალი გალიაში შესვა, შემდეგ რეზოს ბოთლი გამოართვა, საცობი მოხადა, თითი დააფარა და ისიც შიგ შედგა. ბუზები ბზუილით ამოიჭრნენ, გალიის კედლებს მიაწყდნენ, მაგრამ ცხვნის ძუასავით წმინდა მავთულით მოწნულ ბადეში გასასველელი ვერ იპოვეს და ბზუილს უმატეს.

მერცხალი გალიის კუთხეში მიეუჯულიყო და ყურადღებას არ აქცევდა მომხდარ ამბებს.

„ნუთუ ეს ბუზები მაინც ვერ გამოაცოცხლებენ ამ ჩემი ცოდვით სავსეს? ნუთუ ვერასოდეს შევირიგებ მუდამ თვალცრემლიან ქეთინოსა და დაბღვერილ კაკოს?“ — ფიქრობდა რეზო და გუნებაში მერცხალს აქებდა: — „მიდი, შე უშნოვ, მიდი, ჩაუნისკარტე, რას იკლავ თავს შიმშილით!“

თითქოს ფიქრს მიუხვდაო, მერცხალმა თავი გააქნია, უცბად კისერი წაიგრძელა და ფის ზენ მოფარფატე ბუში ნისკარტში მოიქცია.

— ვაშა! — ხიხარულით ტაში შემოკრეს ქეთინომ და კაკომ. რეზოს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ცერად გახედა გაბარებულ ქეთინოს და ოდნავ გულს მოეშვა.

მერცხალმა კვლავ ერთ ადებარს გაკრა ნისკარტი.

— ეგეც შეორე! — კვლავ ყიჟინა დასცეს ქეთინომ და კაკომ. — მიდი, შენი გულისა, მიდი, ციბრუტივით დატრიალდი!

...იმ დღიდან მერცხალმა გამობრუნება დაიწყო. რეზო ყოველდღე უნიდავდა ცოცხალ ბუზებს და ჩიტიც მადიანად შეექცეოდა. მერცხალი შეეჩვია ჭამის დროს ბავშვების ყიჟინასა და წაქეზებას.

პირველ ხანებში დიდხანს ტოვებდნენ ხოლმე გალიაში, რათა ნაკლებად ეშორავა და ძვალი სწრაფად გამრთელებოდა. ერთი თვის შემდეგ, მართლაც, ჩამოგდებული მხარი გაუსწორდა და მალე არტაშანიც მოხსნეს.

5.

ზამთარი გაჭირვეულდა. რომ იტყოდი, ახლა კი გამოიღარებსო, მეორე დღეს არემარე თეთრ ლეჩაქში გამოეწყობოდა. ცივი ამინდები გულის გამაწვრილებლად მოქმედებდა ისედაც მოწყენილ მერცხალზე. მთელ დღეს აბუზული იჯდა. გულგრილად ადევნებდა თვალს მოფუსფუსე ბებიას. მისი ხიხარული ახლა ბავშვები იყვნენ. მათი სიცილ-კისკისი დანადვლიანებულ გულზე მაცოცხლებელ მალამოსავით ედებოდა.

ბუჩქნარებსა და ლობიხძირებში იები წამოიშალნენ. იფეთქა ნუშმა და ატამმა, აშრიალდა ტყეები. ტკბილად აჩუ-

რჩულდა მთელი მთა-ბარი: „მოსულა, მოსულა ჩვენი სანატრელი, ჩვენი სასურველი!“

მერცხალმა ადრე იგრძნო გაზაფხულის მოახლოება. თვალებში სხივი ჩაუდგა, მოუსვენრობა დაეტყო. როცა გამოიდარა და გაზაფხულის მზის სხივები მიდამოს მოეფინა, მაშინ კი მოთმინება დაკარგა და, ცის ლაჟვარდში განავარდების ჟინით შეპყრობილი, ფანჯარას მიაწყდა. ბებიამ კარი გაიღო. მერცხალი ჯერ ოთახში დატრიალდა, თითქოს თავის ძალაში დარწმუნება სურსო, შემდეგ გარეთ გაფრინდა.

აღმა-დაღმა სრიალით შემოუფრინა ნაცნობ ადგილებს, ყველას და ყველაფერს ახარა გაზაფხულის დადგომა. ამდენ ხანს უნებლიე ტყვეობაში ნამყოფი, თავისუფალმა ფრენამ მალე დაღალა და თავბრუ დაახვია. დაბერილ-კვირტებიან ვაშლის ტოტზე ჩამოჯდა, სული მოითქვა და ჭიკჭიკს შოკვდა.

თითქოს დაავიწყდა დიდი წყენა, დიდი ტკივილი და ახლა მხოლოდ დიდ ხიხარულსა და შედნიერებაზე გალობდა. გალობდა თავის მზსნელზე, თავის შეგობარზე და შის მშვიდობიან დაბრუნებაზე ლოცულობდა.

სად იყო ამ დროს მისი მეგობარი?..

იმ ხაბედისწერო დღეს ცალად დარჩენილმა ქეთინოს მერცხალმა დიდხანს ეძება თავისი შეგობარი, მაგრამ შის ასავალ-დასავალს ვერსად მიაგნო.

მერცხალი ხოფლის განაპირას მდგარი ცაცხვისკენ გაეშურა. ჯერ ხის გვერდით გაჭიმულ მაღალი ძაბვის მავთულზე ჩამოჯდა, მერე ცაცხვის კენწეროზე გადაინაცვლა. აქედან კარგად მოჩანდა მთელი ხოფელი და მისი შემოგარენი. არა და არა, პატარა გულს არ უნდოდა ცუდის გაფიქრება.

მზის ჩახვლისას ყველამ თავი მოიყარა, მაგრამ შეგო-

ბარი არსად ჩანდა. მაშინ კი დალონდა ბუჭდიანი, მოიბუ-ზა და მხრები ჩამოყარა.

უხუცესები გამგზავრების თადარიგს შეუდგნენ.

ალიონზე აიშალნენ და შორეულ გზას გაუდგნენ. ქეთი-ნოს მერცხალი დაეკარგა. დაეინებით იცქირებოდა სოფ-ლის მხარეს, ფიქრობდა, იქნებ სასწაული მოხდეს და ჩე-ში მეგობარი გამოჩნდეს. ბოლოს მაინც პირი იბრუნა სა-მხრეთისაკენ და მოძმეებს უხალისოდ აედევნა.

— ბუჭდიანო, რატომ ჩამორჩი, რა მოგივიდა! — საყვე-ლურობდნენ ქეთინოს მერცხალს აქეთ-იქიდან.

ვინც მისი მწუხარება იცოდა, ვერდიდან არ სცილდე-ბოდა და ამხნევებდა:

— ეჰ, რას იზამ, ძმობილო, ჩვენი ცხოვრება ასეთია. ზოგს კატა მოუდებს ბოლოს, ზოგს — უცბად წამოსული სეტყვა, ზოგს — უგულო, ანცი ბიჭის ხელი, ზოგს — და-უსრულებელი გადაფრენ-გადმოფრენა და ზოგს კიდევ, ვინ იცის, რა ელის. ბედს უნდა შეეურიგდეთ და გასა-ჭირს გაუძლოთ.

მრავალი მთა და ზღვა გადაიარეს მერცხლებმა. ბევრის სიცოცხლე შეიწირა ამ დამქანცველმა გზამ და ბოლოს დიდი წვალებით მიაღწიეს თბილ ქვეყნებს.

დაიწყო ერთფეროვანი ცხოვრება, მერცხლები გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ, არ ჭიკჭიკებდნენ და შთამომავ-ლობის გამრავლებაზე არ ზრუნავდნენ, მოუთმენლად ელ-ოდნენ სანატრელ მხარეში დაბრუნებას, რათა ნაშდვილი სიცოცხლით სავსე ცხოვრება დაეწყოთ.

ყველაზე ძლიერ ქეთინოს მერცხალი იტანჯებოდა; გუ-ლი გაუწვრილა ლოდინმა. ვერა და ვერ ჩაიქრო მეგობ-რის დაკარგვით გულს წაკიდებული ცეცხლი. ხშირად ტკბილ სიზმრებს ხედავდა. ესიზმრებოდა თავისი მეგობა-რი, თავისი ბუდე, მეგობარი ბავშვები და ამწვანებული მთა-ბარი.

6.

ბოლოს დადგა სანუკვარი დრო, მერცხლებმა მოიყარეს თავი და სამშობლოსკენ გამოეშურნენ.

გაიხარა ქეთინოს მერცხალმა, გულს დარდი გადაეყარა, თვალებში სინათლე ჩაუდგა და ლაღად გაშალა ფრთები. პირველ ხანებში ენერგიულად მიფრინავდა, მაგრამ ერთ-ხელაც ვერ გავიდა მეწინავეთა რაზმში. გამუდმებულ და-რდსა და ნაღველს თავისი კვალი დაემჩნია მისთვის, ძვე-ლებურად აღარ მოსდევდა ძალა და მუდამ გუნდის შუა-გულში იყო, რათა ნაკლებად დაღლილიყო, ნაკლები ენერ-გია დაეხარჯა.

როგორც იქნა, გაშოჩნდა ნაცნობი ველ-მინდვრები. მე-რცხლებმა ყივილ-ხივილს უმატეს და უფრო სწრაფად აამოძრავეს ფრთები. სწორედ აქ უმტყუნა ქეთინოს მერც-ხალს ღონემ, ნელ-ნელა ჩამორჩა გუნდს. მერცხლებმა შე-ნიშნეს ეს, მხარში ამოუდგნენ, ამხნევებდნენ, მაგრამ ამაო იყო ყველაფერი. ქანცგაწყვეტილი ქეთინოს მერცხალი თანდათან დაეშვა დაბლა, ბოლოს მთლად გამოელია ძალ-ღონე და მდინარის პირას ბუჩქებში ჩავარდა.

ბაქრო პაპა და მისი შვილიშვილი ახლად მოხნულ ვე-ნახში გამოსულიყვნენ და ვაზებს ძირს უბარავდნენ. თეთრმა გოშიამ, ხან პაპასა და ხანაც შვილიშვილს რომ ებლანდე-ბოდა ფეხებში, ვენახის ბოლოს, კაკლის ხის გარშემო ატეხილ ბუჩქებში ჩიტის ბუდე იპოვნა და ყეფას მოჰყვა. სწორედ ამ დროს ბუჩქებში რალაც ჩავარდა. შეშინებული ცუგო განზე გახტა. ბუჩქის ტოტები შეირხა და მიწაზე, ბალახში, რალაც შავი საგანი დაეცა. ეს მერცხალი იყო. ცუგომ ყეფა შეწყვიტა, მერცხალს პირი დააკლო და პაპა-შვილიშვილისაკენ გაიქცა.

იმათ ბარები ბელტებზე დაედოთ, ჩამომსხდარიყვნენ და ისვენებდნენ. პირში მერცხალგაჩრილი ძაღლი მივიდა და ცხვირწინ ჩამოუსკუპდა.

— ეგ რა ჩაგიდენია, ცუგო, მერცხლის დაჭერა როგორ შეიძლება! — გაუწყრა პაპა. შვილიშვილი წინ გადაიხარა, ძაღლს პირიდან მერცხალი გამოაცალა და თავში წაუ-თაქა.

— საძაგელო! მგონი, მოკალი კიდეც!

მაგრამ მერცხალი ცოცხალი იყო. გამალებით უცემდა გული და შეშინებული აცეცებდა თვალებს. ბიჭი მოეფერა, თავზე ხელი გადაუსვა. მერცხალი გაიტრუნა.

— ალბათ დაღლილ-დაქანცულია. გავათბოთ, მოვასვე-ნოთ და გავუშვათ, — თქვა პაპამ და ცუგოს თავზე ხელი გადაუსვა. — ყოჩაღ, ცუგო, რომ არ გეპოვნა, იქნებ დალუ-პულიყო კიდეც.

●

თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებული მერცხლების ერთ გუნდს ქეთინოს მერცხალი შორიდანვე შეეგება. შშობელ კუთხეს დანატრებულმა მერცხლებმა მხიარული ყივილ-ხი-ვილი შორთეს და ჭყივილით შემოუარეს ნაცნობ ადგილებს. როცა ნავარდით გული იჯერეს, ქეთინოს სახლის აივანზე, სვეტებს შორის გაბმულ თოკებზე ჩამოსხდნენ და ჭიკჭიკ-გალობას მოჰყვნენ. ბოლოში შეჯდარი ერთი მერცხალი შე-ფრთხიალდა, ქეთინოს მერცხლის წინ, მოაჯირზე ჩამოჯდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ნაღვლიანი ჭიკჭიკით მოუყვა მისი მეგობრის დალუპვის ამბავს. მერე რამდენიმე მერცხალი გამოეყო გუნდს, ქეთინოს მერცხალს გვერდით მოუსხდნენ და გამხნევება დაუწყეს:

— რას იზამ, გენაცვალე, ბუნებამ ასეთი მწარე სვედრი გვარგუნა! უნდა გავუძლოთ, მივეყვეთ ცხოვრებას, რომ ჩვე-ნი მოდგმა არ გადაშენდეს...

ქეთინოს მერცხალი მოიბუზა, თითქოს შესცივდაო, ძიგ-ძიგი აუვარდა, უცებ წინ გადაიხარა, ცოტა ხანს ცალი ფეხის კლანჭებით თოკს ჩამოეკიდა და იატაკზე დავარდა.

ამ არაჩვეულებრივ სანახაობას სულგანაბული უცქერო-დნენ ქეთო, კაკო და ბებია.

ქეთინომ შეჰკივლა, მერცხლისკენ გაიწია, მაგრამ ბებიამ შეაჩერა.

მერცხლები აფორიაქდნენ, ძირს დაცემული მოძმის წინ დაიწყეს ფრენა. სწორედ ამ დროს განწირული ჭყივი-ლით ერთი კენტი მერცხალი შემოიჭრა აივანზე და ფრთებგაშლილი დაენარცხა იატაკს.

ახლად მოფრენილმა მერცხალმა ძლივს, ერთი ვაი-ვაგ-ლახით აიკრიფა ფრთები, დაცემულთან მილასლასდა, ნის-კარტი ნისკარტზე ჩამოადო და ჩაიჭიკჭიკა. შემდეგ ჭყივი-ლითა და ფრთების ფართხუნით მის ირგვლივ დაიწყო სკუპ-სკუპით სიარული. დაცემული მერცხალი შეინძრა, თვალი გაახილა, გარშემო საბრალო ჭყივილით მოტრიალე მერცხალს რომ შეხედა, უცებ შეფრთხიალდა და სკამის საზურგეზე წამოსკუპდა. ახლად მოფრენილი გვერდით მი-უჯდა, ჭიკჭიკებდა, დიდი ხნის უნახავ მეგობარს ხან ფრთებქვეშ, ხან კისერზე, ბუმბულში უყოფდა ნისკარტს, ხან კი ნისკარტს ნისკარტზე უსვამდა.

ქეთინოს ცრემლი მოერია, სკამთან მიირბინა და დაი-ჩოქა:

— თქვენი ჭირიმე! როგორ შემაშინეთ და როგორ გა-მახარეთ!

გოგონამ ფრთხილად აიყვანა მერცხლები, ლოყაზე მი-იხუტა, ორივეს თავ-კისერი დაუკოცნა და ააფრინა, მათ გარშემო აღტაცებით მოჭიკჭიკე მერცხლების გუნდს შეუერთა.

ქალიშვილი „ნაბიჯამდე“ ეზოგრეჯა

ნინო
ხარაზიშვილი

მუნჯის ენა დედამ იცისო, ალბათ მისმა მკურნალმა ექიმმაც. ამდენი წლის ექიმობამ თუ გამოუმუშავა: აკვნის ბავშვთანაც კი „ურთიერთობა იოლად გამოსდის“. ერთი გაცინება კმარა, რაც უნდა გაძალიანებული იყოს, დაუამდება და გაუყუჩდება.

ნუნუ გავაშელიშვილს პატარა გოგოობაში ერთი ექიმი ჰყოლია — თამარ ანჯაფარიძე, სპეციალობით პედიატრი, მაგრამ საქმით — სოფელს რაც გაუჭირდებოდა, იმისი მკურნალი. აი, დღემდე ვისი მადლიანი ხელის სითბო მოჰყვება... ექიმის ხალათი მან შეაყვარა, თორემ, ისეთ ხშირად მოავადე ბავშვს, თვითონ რომ იყო, საცა სამართალია, არც ექიმი უნდა შეყვარებოდა და არც მისი თეთრი ხალათი. მას კი ბავშვობიდანვე გულზე ეკიდა ეს ხელობა. ის კი არადა, სასკოლო წარმოდგენებში მონაწილეობა ეხალისებოდა და შემთხვევას არ გაუშვებდა, სცენაზე არ გამოსულიყო ფონენდოსკოპით და ექიმის ხალათით.

ამ შინაგანმა მოთხოვნილებამ თუ ნატვრამ გამოზარდა. რაჭის ულამაზეს სოფელ ღებში დაამთავრა საშუალო სკოლა. მაშინ ოქროს მედალი სოფელში მთლად ჩვეულებრივი ამბავი არ იყო და მთელს ახლობლობას მაღლა ცა ეპატარავებოდა სიხარულით და დაბლა — მიწა. სულ ციმციმ გამოისტუმრეს თბილისს ოშში დალუპული მამისაგან თვალდაუკრავი ეს თავიანთი დედისერთა ნიჭიერი გოგო.

იმ წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. აკი ბავშვობიდანაც „თამარ ექიმობა“ ეხარბებოდა. ამითაც მიბაძა — პედიატრობა არჩია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ეს კი მოიბერხა, ისარგებლა მეუღლის მოსკოვში ყოფნით და ორი წელი იმუშავა ექიმად მშობლიურ სოფელში. უცნაურად გააწონასწორა თავისმა სოფელგარემომ. უნიკალური პრაქტიკა შეიძინა — საექიმოც. ცხოვრებისეულიც. მეზობელ-მოკეთეებში მოწონებულმა ხელობამ საკუთარი თავიცა და შესაძლებლობებიც რეალურად დაანახა, რწმენა მისცა, გაარკვია პროფესიის ავ-კარგში.

დედაქალაქში რომ გადმოვიდა, ერთ-ორ წელს იმუშავა უბნის პედიატრად ნაძალადევის ბავშვთა მე-2 პოლიკლინიკაში. მერე აქ გადმოვიდა, თბილისის ამ ყველაზე მწვანე და მყუდრო მასივში. მას შემდეგ აქ არის, აგერ უკვე ოცდამეოთხე წელია, ბავშვთა 21-ე პოლიკლინიკაში უბნის პედიატრად მუშაობს. ადრე ხშირად უფიქრია, იქნებ სადმე, საავადმყოფოში მომესინჯა თავიო, მაგრამ ვერაფრით შეელია ბავშვთა პოლიკლინიკის ამ უშუალო, უკომპლექსო გარემოს, მითუმეტეს, რომ გაუთვალისწინებელი და ექსტრემალური სამუშაო არც აქ აკლია. ესეც რომ არ იყოს, არის რაღაც, სიტყვებითაც კი იოლად რომ ვერ ახსნი, ისეთი... ქვეყანას ურჩევნია, მის ფილში ფეხადგმული ცეროდენა „კახნეტის ღია კარამდე „დამოუკიდებლად“ რომ მოუბაკუნდება, იმწამსვე წამოუდგება ხოლმე, მიეთბილება. გაიტლიკება პატარა, სათამაშოს შეახარბებს, თავის ბავშვურ „პრობლემებს“ შესჩივლებს შეწუხებული... ერთი კანფეტი რაა, იმის მიწოდებას არ დაუვიწყებს. მთელი წელიც რომ გავიდეს, გაახსენებს, ნუნუ ექიმო, შენ რომ კანფეტი მომეციო... ამასწინათ ერთისთვის შოკოლადი მიეტანათ, იმას კი შეენახა დიდი ამბით (დედამ, იმის საცოდაობით დავიწვიო...), ჩემს ნუნუ ექიმს უნდა ვაჩუქოო...

აი, თამუნამ კი სწორედ ისეთი დახატა, როგორიც სინამდვილეშია. გულზე ფონენდოსკოპჩამოკიდებული, გაღიმებული და აუცილებლად ბავშვებით გარშემორტყმული... ახლა თამუნა ცოტა მოიზარდა, ექიმი სულ უფრო და უფრო ნაკლებად სჭირდება და ნუნუ ექიმს უხარია, სამხატვრო სკოლაში სწავლობს და ნახატებიც კარგი აქვსო.

ასეთი შემთხვევაც აგონდება: ერთ ბუთხუზა ბიჭუნასთან იყო სახლში მისული გასასინჯად. გასინჯა, მიუჯდა მაგიდას და რეცეპტების გამოწერა დაიწყო. ბავშვი შეუმჩნევ-

ლად გასულა ოთახიდან და ორიოდე წუთის შემდეგ შემოსულა ორი თეფშით. ერთზე თავისი საყვარელი სასუსნავი და მეორეზე მზესუმზირა დაეყარა თურმე. აი, როგორი გულიანი მასპინძლები ჰყავს...

ოთხიოდე წლის გოგონას ხელი დედიკოს კაბისკენ მიუბრის.

— მარიკა, ვინ გინდა გამოხვიდე? — ეკითხება ქალბატონი ციალა კახიძე, უბნის ექთანი.

— ნუნუ ექიმი, — ხმადაბლა მარცვლავს ბავშვი და დიდრონი თვალები ქალბატონ ნუნუზე მორიდებით უჩერდება.

მე არ ვიცი, თუ არსებობს ექიმის პროფესიონალიზმის ამაზე დიდი ალიარება. მაგრამ ფაქტია, რომ ეს შეგრძნება მხოლოდ წამიერი გახარებით არ თავდება, არამედ ივსება, რწმენად იქცევა და, ალბათ, ისევ და ისევ, ადამიანებისთვის გასაცემ დიდ სითბოდ და სიყვარულად მოდის. მით უფრო, რომ ბავშვის მგრძნობიარე ალღოს არაფერი „ეშლება" — ქალბატონ ნუნუ გავაშველიშვილის პაციენტები თავიანთი ავადმყოფური ჩვილებით ძალზე ნაკლებად აწუხებენ მთელ რესპუბლიკაში ალიარებულ პედიატრებს, თუ შეაწუხებენ, ისიც იშვიათად და მაშინაც მხოლოდ ქალბატონი ნუნუს რეკომენდაციით ან თხოვნით.

უჩვეულოდ შეეჩვევა ხოლმე თავის პაციენტებს. ზოგჯერ იმდენადაც კი, რომ გაიზრდებიან, თერაპევტისათვის მათი გადაბარება უჭირს. არც გაემტყუნება. დაბადებამდე იწყებს თითოეულის გაცნობას, ახლა მიათვალეთ, რა დიდი დროა ასეთი ახლო ურთიერთობისათვის 15 წელიწადი. ბევრის ჩვილობისა და მოზარდობის ფიზიოლოგიური პრობლემები დღემდე ახსოვს. იმათ შორის კი, ზოგი უკვე თავადაა მშობელი, ახლა თავისი შვილებით მოდის ნუნუ ექიმთან [illegible] წუხარის დაამების იმ[illegible]

ოჯახში „დაუწერელ" კანონად აქვს — კიდეც რომ გაბეზრდეს რეკვით, ტელეფონის ყურმილს მის მეტი არავინ იღებს. შვილმა იცის ხოლმე, გაეხუმრება: აი, ისევ გირეკავენ, დედი, ალბათ ისევ დაახვეული ვინმემ, ან კუჭი აეშალა, ან ტირილისგან ჩაბჟირდაო...

ასე ცხოვრობს — ლიმილით, სითბოთი, ასობით ბავშვისა და დედობაში გამოცდილი თუ გამოუცდელი მათი მშობლების იმედად. ერთი „სისუსტე" სჭირს: უბანში გასვლა უყვარს. სიამოვნებს, რომელიმე კორპუსს რომ მიუახლოვდება და ეზოში მოთამაშე ბავშვები, ყველა მისი პაციენტი, უცებ რომ დაიხუვლებენ და მისკენ გამოექანებიან. მით უფრო მაშინ, თუ მათ შორის იმ პატარა გოგონასაც შენიშნავს, „ნუნუ ექიმობა" ძალიან რომ ენატრება...

ტარმოტეხილი კოვზივით ვარდნა

იტყვიან დაუდგროშელის, მეტიჩარას მიმართვით.

ეს თქმა ლეჩხუმში უფროა გავრცელებული. ვინ არ იცის, რომ ტარმოტეხილი კოვზი ყველგან ადვილად ჩაეარდება ხოლმე, რადგან არაფერი უშლის ვარდნას. იქაც კი, სადაც მისი ადგილი არ არის. ეს თქმა ზედგამოჭრილია ბუნებრივად გაუწონასწორებელ ისეთ ადამიანზე, რომელიც ყველგან და ყველაფერში ჩაეჩრება ხოლმე. იქაც კი, სადაც მისი წრის ბალში არ არის, სადაც არც არაფერი ეთქმება და არც არავინ არაფერს ეკითხება. ასეთ ადამიანს, ყველას თავს რომ მოაბეზრებს, ეტყვიან ხოლმე: რა ტარმოტეხილი კოვზივით ვარდები ყველგანაო?!

ჩემი ბბილა ბაცი

ჩემი ბნისა, ჩემი ტოლი, ჩემთან ერთად დაბადებული.

საქონლის (ხარის, ძროხის, ცხენის) ხნოვანებას კბილებით იტყობს ჩვენი ხალხი. საქონელს ისე არ იუდიან, კბილები რომ არ ვაუსინჯოს კარგად, გადალესილი ხომ არ აქვსო, რადგან ხანში შესვლასთან ერთად მას კბილებიც უცვდება და ბოლოს სულაც დასცვივა ხოლმე. აქედან მოდის ანდაზაც: ნაჩუქარ ცხენს კბილები არ ესინჯვისო.

ამნირი ანალოგიით, ადამიანის ხნოვანებაც კბილების ფდგომარეობით შეიტყობა და როცა უნდათ, ვინმეს ასაკი თავისან დაადგინონ, იტყვიან ხოლმე: ჩემი კბილისა ან ჩემი კბილა არისო. ან კიდევ: ეე და ის ერთი კბილისანი ყარდა.

ქართული ხალხური სიტყვა-თქმანი

ეგ არის და გორის ციხე

ითქმის მკვიდრის, ყოველი მხრით, სრულყოფილის, უძლეველის გაგებით.

ქართლის უძველესი ქალაქის, გორის ციხე ვის ხელ არის აგებული, ზუსტად დანამდვილებით არ იცის. ვახუშტის გადმოცემით, იგი ჯერ კიდევ ხვიმონ მეფის დროს (1588-1601) ეხსენიება. საუკუნეების მანძილზე ზომბვდური დაუნდობლად ანგრევდა გორის ციხეს. ვის არ მოუოხრია იგი — სპარსს, ოსმალს, ოთხ არაბკაზე გადამთიელს, მაგრამ ციხე ისევ შენდებოდა, მაგრდებოდა და ალი ჩვენამდეც მოაღწია.

ჩვენში ყოველ კარგად გაკეთებულ ნაჭეს, როცა უნდოდათ მისი უნინჯობა გამოეხატა, დადარებდნენ ხოლმე გორის ციხეს. ასე იქცა იგი სიმკაცრის, ხანტკიცის, ხანძრთლისა და მოურეველობის ხინონიმად.

გზის ბაბალი

ნიშნავს ტრფიის ბანგენებელს.

ძველად, ოდეს ტკანგზა არ იყო ჭარბი, ვანი ზორ გზას რომ დაადგებოდა რაიმე ნაკონლის წახალებად ან ბობატანად, ვინც უფრო გამოცდილი, ნაკალი და გაბჭრიანი იყო, იმას ურეზზე ბაბალს დაუხვამდნენ, რომ ყოვილით გათენება შეეტყობინებინა მეურმეთათვის. აი, რას გვეუბნება ამ ჩვეულებაზე ილია ჭავჭავაძე: „მეურმეების საათი გზაზედ — ბაბალია, უფრო ბზირად, ვისაც პირველობა აქვს ქარავანში, ბაბალიც იმას უზია ხოლმე. ურმის ქარავანში პირველობა, ესე იგი, წინა ურმის მეურმეობა ბლეიბაში სახახელოა, რადგანაც მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, ნანდო მეხრეს და კაი ხარაკაზეჩის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას".

ხმალაკისერდებული

დამნაშავის ბიერ დანაშაულის აღიარება, მისი მზადყოფნა სასჯელის მისაღებად.

ძველად, როცა დამნაშავეს სხვა გზა არ ჰქონდა და დანაშაული უნდა ელიარებინა, კისერზე ხმალს დაიდებდა და მეფეს ისე წარუდგებოდა ხოლმე. ამ სიმბოლურმა ნაქციელმა იგი ნაჯაროდ აღიარებდა: დავაშავე, ღირსი ვარ თავის მოკვეთისა, აბა ბბალი და აბა ჩემი კისერიაო!..

ბზირად ვგვიგონია, რომ დაბრალებული დამბრალებელს უფიცავს და ეუბნება, მაგ საქმეში უბრალო ვარ, დამიჯერე, თუ არადა, შენი ბბალი და ჩემი კისერიო, ესე იგი, შენი ბბლით თავი გამაგდებინეო. ეს თქმა ეწკარა ილუსტრაციაა ძველად ბბარგებული სიტყვის — ხმალკისერდებულის.

პურის ფასი

ზღაპარი

პირველად რომ თეთრი ხალათი ჩავიცვი და ხარკეში ჩავიხედე, გულახდილად გითხრათ, ჩემზე ბედნიერი არავინ შეგონა, მაგრამ როცა წარმოვიდგინე, ამ გაქათქათებულ ხალათიანს რა უნდა შეკეთებინა, შიშმა შეშიპყრო. ადამიანს თეთრი ხალათი ექიმს გაახსენებს და საავადმყოფოს გაწკრიალებულ პალატებში აეწყად სიარულს მოანატრებს, მე კი სულ ცხელი ოფლი უნდა შელვარა, ნიადაგ აგიზგიზებულ თონეში ჩავყუდებულიყავი და სიფრიფანა ლავაშები შეცხო. მერე და, როგორ შეკეთებინა ეს მე, დედა-ჩემის სიტყვებით რომ ვთქვათ, პირფურცელა, სანთელივით დალეულ ბიჭს?!.

— ყოჩაღ, შოთიკუნა ბიძია, ძაან გიხდება თეთრი ხალათი! — ხალათჩაცმული რომ დამინახა, სალავაშე ცოფივით მომაკრა ქება ძია რაჟიკომ და თავზე ხელი გადამისვა. — სკოლა და სწავლა არ გინდოდა, ხომ? არა უშავს, აგერ არ ვარ მე? მოითმინე ცოტა და ამ თონის მადლით საუკეთესო ხაბაზად გაქცევ... ხომ არ გეშინია, ბიძიკო? არ შეშინდე! პირველადაა ძნელი ცხელ თონეში ჩახედვა, თორემ მერე, ამ ლავაშივით რომ ნელ-ნელა გამოცხვები და დაიბრაწები, შიშველი ფეხებითაც თავისუფლად გაიელ-გამოიელი შიგ...

რა უნდა მეთქვა? არაფერი! მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, პირი თავისით გაშეღო და თეთრი კბილები იხე გამოშიცვივდა იქიდან, ხაჭაპურიდან რომ ყველი გამოასხამს ხოლმე...

— გიხარია, ბიჭო, შოთიკუნა, ხომ? ასეც ვიცოდი! — გახალისდა რაჟიკო ბიძია. — შენ იმისთანა დედ-მამის შვილი ხარ, შეუძლებელია, შრომა არ გიყვარდეს. ჰოდა, აგერ თონე და აგერ — შენ! მიდი, შოთიკუნა ბიძია, ამ ბოლში ჩაყარე ეს ფქვილი, დაასხი ეს წყალი, დაუმატე საფუარი, მარილი და ხილე და ხილე!..

ამ სიტყვებს რაჟიკო ბიძია იხე დაჯერებით შეუბნება, თითქოს უკვე კაი გამოცდილი ხაბაზი ვიყო, შეტრ

ეოთხრობა

რა ძალა მაქვს, უფრთხი კაცია, თანაც ჩემი აღმზრდელი, და მაშინვე მის უღელში ვებმები.

მიყურებს რაჟიკო ბიძია, როგორ ვეჭიდები ფქვილიან ტომარას და ვებრალები, მოდის ჩემთან, ხელს მაშველებს და ბოლში ერთად ვაპირქვავებთ ტომარას, ერთად ვასხამთ წყალს და საფუარსა და მარილსაც ერთად ვამატებთ.

კარგია რაჟიკო ბიძიასთან მუშაობა, ყოველთვის მხიარულ გუნებაზეა: ხან ლიღინებს, ხან შეფერება, ჭკუას მარიგებს, ხან კიდევ საინტერესო ამბებს მიყვება და ამით უფრო მიადვილებს შრომას. რაჟიკო ბიძიას უყვარს ახალგაზრდები, მრავალ ჩემისთანა ახალბედას ასწავლა ხაბაზობა, დაულოცა გზა და ლიმილით გააცილა ხოფლიდან. თუმცა სხვაგან რა გინდა, აგერ, ჩვენს ხოფელში, ხუთამდე თონეა და ყველგან რაჟიკო ბიძიას გაზრდილ-გაწვრთნილი ხაბაზები საქმიანობენ.

კაცი არ მინახავს, პური ხძულდეს და უპუროდ გაზრდილიყოს, პირიქით, ვინ მოთელის, ამ დალოცვილი პურისთვის რა დავიდარაბა არ გადახდენიათ ადამიანებს.

— პური ყველა ნაქმის თავი და თავიაო, — ამბობს რაჟიკო ბიძია. — პური თუ გაქვს, კაცი ხარ და ქუდი გხურავს. ოჯახსაც მოეკიდები, მეგობრებსაც უმ.ხპინძლებ, ნათესავსაც ასიამოვნებ და ყველგან პირგაბადრული და წელგამართული ივლი.

ამას რაჟიკო ბიძია კი ამბობს, მაგრამ ეს მისი სიბრძნე როდია. ყველამ კარგად იცის და, მათ შორის, მეც, რომ კაცს უპუროდ არსებობა არ შეუძლია. აკი ამიტომაც არსებობს გამოთქმა — „არსობის პურიო". სამწუხაროა, რომ ჩვენ, ადამიანები, ძალზე უდიერად ვეპყრობით ამ არსობის პურს. ვიდრე გვშია, პურის ნამცეცებს ვეძებთ, ხმელა პურსაც მადიანად და ხარბად შევექცევით, მერე კი, როცა, სტომაქს ამოვივსებთ, დარჩენილ პურს უმოწყალოდ მივისვრ-მოვისვრით ხოლმე... არა, კაცი თუ ხარ, შენს გამომკვებ და მარჩენალ პურს თავსავით უნდა გაუფრთხილდე, უნდა გახსოვდეს, რომ მასში შენი ოფლი, შენი სისხლი და შრომაა ჩადებული.

ამას ვფიქრობ და უცებ ვგრძნობ, რომ მგელივით მშია. დილით მარტო ჭიქა ჩაი დაველიე და ზედაც ვერაფერი დავატანე, რას ვიფიქრებდი, თუ დღეს ამდენ ხანს მომიხდებოდა აქ დარჩენა... აგერ, ორი საათი სრულდება და რაჟიკო ბიძია არც სადილობას ფიქრობს და არც შინ მიშვებს. პირიქით, ახლა გამოშიწყო საქმე, მიმაყენა ამ ვეება, მოუპირავ ბობს და მაზელინებს და მაზელინებს ცომს... ნეტა რად უნდა ამდენი ცომი?!.. ძნელია ცომის ზელა, ეგონია, ხელებზე ფუთიანი საწონები გკიდია, ძლივძლივობით ამოძრაველ, მთელი კუნთები

გტკივა, ოფლი გასხამს, თვალები გიბნელდება, აგერ-აგერ ჩაიკეცები გობში...

— როგორ ხარ, შოთიკუნა? — მეკითხება რაჟიკო ბიძია და ჩემს პასუხს რომ ვერ ღებულობს, განაგრძობს: — მაგრად უნდა იყო, მაგრად, ბიძია, ხაბაზობა შენ ფლავის ჭაშა ხომ არ გგონია!.. აი, ახე მძიმე და უჩვეულოა ჩვენი შრომა, მაგრამ ბოლოს, როცა ცხელ-ცხელ ლავაშებს ამოყრი თონედან და ოხშივარადენილ შოთ პურს ყუას მოატეხ, მის გემოს მთელ ცხოვრებაში ვერ დაივიწყებ...

რაჟიკო ბიძიას აგიტაცია რას უშველის ახლა ჩემს გამომხმარ კუჭს! „ნეტა როდის მოვრჩები ამ ცომის ზელას, — ვფიქრობ ჩემთვის, — როდის მოვჭრით გუნდებს, როდის ჩავეყუდებით გავარვარებულ თონეში, როდის მივაკრავთ ცომის გუნდებს კედლებზე და როდის ამოვყრით ცხელ-ცხელ ლავაშებს! აი, მაშინ იქნება ნამდვილი ბედნიერება!"

— შოთიკუნა ბიძია, გიჭირს ცომიდან ხელების ამოღება, ხომ? მაგერ, წყლიან ვედროში ამოავლე ხშირ-ხშირად და გაგიიოლდება საქმე. მე რომ პირველად თონეში სამუშაოდ მოვედი, არც წყალი მასვეს, არც რაიმე მასწავლეს, პირიქით, მომდგნენ და ცომით შემიზილეს სახე... ვაი, რა შუსახედავი ვივავი მაშინ... შენ ამგვარ რაშეს რავა გკადრებ!

უცნაური კაცია ეს რაჟიკო ბიძია! ამაზე შეტი კადრება რალა იქნება, მუცელი მეწვის შიმშილით, ერთი სული მაქვს, როდის ჩავაკრავთ ლავაშებს, ეს კი მაზელინებს და მაზელინებს საჭურე მიწასავით აფურფულებულ ცომს.

— კაი ახლა, შოთიკუნა ბიძია, ბევეოფა ზელვა! — როგორც იქნა, მოიღო მოწყალება რაჟიკო ბიძიამ, სუფთა მარლა გადააფარა ახალმოზელილ ცომს და მეორე გობს მიადგა. ამჯერად ამ გობს მოხსნა მარლა და სპეციალური ლითონის საჭრელით ცომის მოჭრამოგუნდავებას შეუდგა. რა ძალა მქონდა, მეც მასთან ერთად განვაგრძე საქმიანობა.

— შვილო, შოთიკუნა, თონეში პურის ჩაკვრა ყველაზე რთული პროცესია, ცეცხლს ყურება არ უნდა დაუწყო, ცომიანი ბალიში მარჯვედ უნდა გეჭიროს ხელში... შემხედე მე! აი, ასე! — მითხრა რაჟიკო ბიძიამ და ამ სნის კაცი ჭაბუკივით ჩაეყუდა თონეში.

რაჟიკო ბიძიამ პური ჩაკრა თონეში, წელში გაიმართა, ლიმილით შეგვიმზედა და ბალიში მე გადმომცა. ახლა შენ სინჯეო, მითხრა და რაკი მთლად ჩემი იმედი არ ჰქონდა, დაუმატა:

— არ აჩქარდე, ბიძია, თონესთან სიფრთხილე, სიმარჯვე და გონიერება გმართებს, ბალიშიდან ცომი არ გადაგიხტეს, თონის კედელს გაბედულად შიაკარი!

ისე მოვიქეცი, როგორც რაჟიკო ბიძიამ დამარიგა. თონეში რომ ბალიშიანი ხელი ჩავყავი და ჩავეყუდე, ცეცხლისთვის შზერა არ დამიწყია, მაშინვე გავიაზრე, სად შიმეკრა ცომი. მივარტყი ბალიში, ყოველმხრივ შემოვუარე ბალიშით ცომს და საგულდაგულოდ მივაკარი... უნდა გენახათ მაშინ, რა ბედნიერი ღიმილით ამოვწიე შებრაწული სახე თონიდან...

— ყოჩაღ, შოთიკუნა ბიძია, ვაჟკაცი ხარ, ვაჟკაცი! — ცომივით შემიზილა თმა ხელებით რაჟიკო ბიძიამ. — თუ რამე შეხშის, საუკეთესო ხაბაზი უნდა დადგე.

რაჟიკო ბიძიას ქებით გახალისებ-

ულმა რამდენიმე ლავაში კვლავ ოხტატურად ჩავაკარი და იმ ლავაშებსა და ჩემს შორის დანაყრების იმედის ძაფი გაიბა.

გავარვარებულ თონეში ლავაში სწრაფად ცხვება და ჩემს ლოდინსაც დაედო სამანი. ავიღეთ მე და რაჟიკო ბიძიამ ორკაპა ჯოხები და ამოვყარეთ ცხელი ლავაშები...

— ახლა შეგვიძლია, შოთიკუნა ბიძია, დავისვენოთ, — მითხრა რაჟიკო ბიძიამ. — ახლა კი ნამდვილად ღირსი ვართ და შევირგებთ კიდეც სადილს. გვიან კი მოგვიწია, მაგრამ რა უშავს, მთლად მშიერს ხომ არ გიშვებ შინ. კაცს პური რომ შია, მაშინ უნდა აჭამო, თორემ დაკარგავს მისადმი პატივისცემას... მობრძანდი, შოთიკუნა ბატონო, გავტეხოთ ჩვენი ნაოფლარი. ნახე, რა გემრიელი, რა მაწიერი და რა მადლიანია ეს დალოცვილი!

რაჟიკო ბიძიამ იქვე, გობის თავზე გასდო ფიცარი და ზედ სადილი გაშალა. ცხელი ლავაში და ყველი ხელით დაამტვრია, თიხის მაღალი ქილიდან პამიდვრის მწნილი ამოიღო, წყალი გადაავლო და ყველის გვერდით დაწყო. მერე სამლიტრიანი დოქი მოიტანა, დაჯდა, გაფქვილულ ჭიქებში ღვინო ჩამოასხა, ერთი მე დამიდგა, მეორე თვითონ აიღო და დაილოცა:

— შენს დავაჟკაცებას გაუმარჯოს, ჩემო შოთიკუნა! დღეიდან შენ კაცი ხარ, რომელსაც შეგიძლია, დამოუკიდებლად ირჩინო თავი, საკუთარ ოჯახსაც და ხალხსაც წაადგე...

კარგა ხანს ვისხედით სუფრასთან მე და რაჟიკო ბიძია, რა თქმა უნდა, დალევით შე ველარ დავლიე, სამაგიეროდ, ვიმღერეთ, ვიცინეთ და ერთმანეთის ლოცვა-კურთხევაში, სითბოსიყვარულში ისე გავერთეთ, შინ წასვლაც კი გადამავიწყდა. ბოლოს თვითონ რაჟიკო ბიძიამ შემახსენა...

მოკლედ, თუ გინდა, პურის მადლი და ფასი იცოდე, რაჟიკო ბიძიასთან უნდა იმუშაო კაცმა.

თვითმფრინავმა გეზი საქართველოსკენ აიღო. რძისფერი ღრუბლების ქვეშ უკვე გამოჩნდა ჭალარა კავკასიონი, ზურმუხტისფერი მინდვრები დ ოქროსფერი ყანები... ცოტაც და, მშობლიური თბილისი ჩაიკრავს მკერდში... უცნაურად უძგერს გული...

ბედნიერი და გამარჯვებით გალაღებული ბრუნდება შინ ჭაბუკთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი გიორგი ბახტაძე...

მაგრამ... აეროპორტში არავინ დახვდა, არავის მოსვლია აზრად ყვავილების თუნდაც ერთი თაიგული მიერთმია მისთვის. არადა, ჩვენი სპორტული ცხოვრების ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენა ვიღაცას ხომ უნდა მიეტანა გულთან ახლოს, ვიღაცას ხომ უნდა გაეხარებინა პატარა ბიჭუნა, რომელმაც თავისი წარმატებით გვასახელა და უდიდესი სიხარული მოგვანიჭა?

გიორგი ბახტაძე

ოჯახ გიორგის ჯერიც ელოდა

ეს წარმატება, ეს ბუნებით მომადლებული ნიჭი მხოლოდ მისი სიმდიდრე ხომ არ არის, იგი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი — ქართველების სიმდიდრეა და მას მეტი ყურადღება, სითბო და გულისხმიერება სჭირდება.

გიორგი ბახტაძე... დაიბადა თბილისში 1980 წლის 2 თებერვალს. დედა — ლალი ჭანია პროფესიით ფილოლოგია, მამა, ვალერი — მხატვარ-გრაფიკოსი. ჰყავს უმცროსი დაიკოები — სალომე და ნენე.

ჭადრაკის თამაში ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დაიწყო. ამ გატაცებაში მამამაც შეუწყო ხელი, რომელიც თავადაც მშვენივრად თამაშობს.

ერთხელ მამამ უამბო, რომ ერთმა ინგლისელმა, უილიამ ჯონსმა, დაწერა პოემა „კაისა", რომელშიც აღწერილი იყო მშვენიერი ტყის ასულ კაისასა და ომის ღმერთ მარსის სიყვარული. ქალის გულის მონადირების მიზნით მარსმა ჭადრაკი გამოიგონა. ამ თამაშის ყველა მოტრფიალემ კაისა ერთხმად აღიარა თავის მფარველ ქალღმერთად. შეიძლება ითქვას, რომ კაისამ თავისი მადლი გიორგისაც სცხო და ეს 12 წლის ბიჭუნა მისი სამეფოს უერთგულესი ქვეშევრდომია.

9 წლის ასაკში იგი უკვე პირველთანრიგოსანი იყო. ჯერ მწვრთნელ პავლე ხიზანიშვილთან ვარჯიშობდა, ხოლო შემდეგ — განათლების სამინისტროს საჭადრაკო სკოლაში, დავით პაქსაშვილთან. ერთი წლის შემდეგ უკვე ოსტატობის კანდიდატია, შემდეგ — თბილისის, მერე — საქართველოს ჩემპიონიც ხდება. წარმატება წარმატებას მოსდევს. სანქტ-პეტერბურგის მსოფლიო შესარჩევ ტურნირში II—III ადგილები გაიყო. შემდეგ, 16 წლის ასაკამდე მო-

ზარდების საკავშირო ტურნირზე, საქართველოს სახელით ოთხი ბიჭი გამოდიოდა — გიორგი ყაჭეიშვილი, გიორგი ბახტაძე, არტურ ჩიბუხჩიანი და ალექსანდრე მაკარაშვილი. ჩვენმა ბიჭებმა გვასახელეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

ქ. ბუქარესტში (რუმინეთი) ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში გიორგიმ 1 ადგილი მოიპოვა.

მაინც, რით აიხსნება ჭადრაკის ესოდენ მომაჯადოებელი ძალა? ერთნი ამტკიცებენ, რომ ეს თამაში გონებრივად ასვენებს ადამიანს, მეორეთა აზრით, იგი მეცნიერებაა, მესამენი თვლიან, რომ ჭადრაკი წმინდა წყლის სპორტია (მას იგივე თვისებები ახასიათებს — მოგება, წაგება, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მომზადება), ზოგნიც ხელოვნებას ადარებენ.

გიორგი ბახტაძის აზრით, ჭადრაკი მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის ერთიანობაა, რომელიც ადამიანს დამოუკიდებლად აზროვნებას ასწავლის და თან უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებს.

გიორგი ამჟამად მწვრთნელ ალექსანდრე ბოკუჩავასთან მეცადინეობს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში და დიდად ემადლიერება თავის პედაგოგს.

როგორც ყველა ბავშვს, გიორგისაც აქვს თავისი გატაცებები და მისწრაფებანი. გამორჩევით უყვარს ბაბუა, ირონა ჭანია, რომელთანაც ყოველი სტუმრობა ზუგდიდში ხალისით ავსებს. იგი ბაბუას ცოცხალ მემატიანეს ეძახის, მართლაც, ამ ჭარმაგმა კაცმა მდიდარი და შინაარსიანი ცხოვრება განვლო, იყო კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვა სახელოვანი ადამიანების მეგობარი. ახლა კი შვილიშვილს სიამოვნებით უზიარებს თავის ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებსა და გამოცდილებას.

ბიჭუნას ძალზე უყვარს ჩოგბურთი, ფეხბურთი და... წიგნები. დიახ, ჩვენს ვიდეობუმის ეპოქაში იგი სიამოვნებით უთმობს თავისუფალ დროს საყვარელ წიგნებს, გატაცებულია ხატვითაც.

ცნობილი მოჭადრაკეების, დები პოლგარების მამის აზრით, 3-6 წლამდე ყველა ბავშვი გენიალურია, მერე კი მშობლებზეა დამოკიდებული, თუ როგორ განავითარებენ ისინი მათ მონაცემებს. ბატონი ვალერიც თვლის, რომ ნიჭის განვითარებას ხელშეწყობა სჭირდება. სტაბილური შედეგების მისაღწევად უპირველესად შრომა, ნებისყოფა და შეუპოვარი ძიებაა საჭირო.

ყოველდღიურად გიორგი 3 საათს მეცადინეობს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. შემდეგ 3 საათს — შინ. ასე ხდება სისტემატურად. სწორედ ამ დაუღალავმა წვრთნამ მოიტანა ის წარმატებები, რომლებმაც ესოდენ გაგვახარა ყველა.

ამა წლის 29 ივნისიდან 12 ივლისამდე გერმანიის ქალაქ დიუსბურგში ჩატარდა ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიაც 68 ქვეყნის 75 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ფრანგ ანდრე ლერუასთან შვიდსაათიანი დამქანცველი ბრძოლის შემდეგ გიორგიმ 86-ე სვლაზე მოუგო მას და ჩემპიონობაც გაინაღდა.

გ. ბახტაძეს თავისი რეიტინგი გაუჩნდა და იგი ფიდეს ოსტატი გახდა. ცოტა ვრცლად გვინდა მოვუყვეთ ბავშვებს რეიტინგის არსსა და მისი დაარსების ისტორიაზე. ამერიკელმა პროფესორმა, მათემატიკოსმა არპად პელომ შექმნა კოეფიციენტთა სისტემა, რომელიც საკმაოდ ობიექტურად ასახავს მოჭადრაკეთა პრაქტიკულ მონაცემებს. ელოს ფორმულის მიხედვით, ეს კოეფიციენტები (რეიტინგები, ქულები) ჯამდება საერთაშორისო თუ მსხვილ ეროვნულ ტურნირებში მიღწეული შედეგების მიხედვით და ფიდეს საჭადრაკო ფედერაცია აქვეყნებს იმ სპორტსმენთა სიებს, რომელთაც მაღალი ქულები შეუგროვდებათ. 2500-2600 ქულის მფლობელი დიდოსტატის წოდებას იღებს, 2600-ის ზევით ექსტრაკლასის მოთამაშედ ითვლება, 3007 ქულაზე მეტის მფლობელი კი მხოლოდ სამი მოჭადრაკეა: რობერტ ფიშერი (რომელიც, გიორგის აზრით, ამ თამაშის ფენომენია), აგრეთვე გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი, ჰოდა, ნამდვილად საამაყოა, რომ ჩვენს გიორგისაც აქვს თავისი რეიტინგი და იგი მსოფლიო ჭადრაკის სამყაროში უკვე პოპულარული მოჭადრაკეა.

ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაში, იმ მძიმე სიტუაციაში, რომელშიაც ახლა საქართველო იმყოფება, ყოველ ტურნირზე თუ მატჩზე გამგზავრება დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული. ერთხელ, როცა სპორტკომიტეტს სათანადო თანხები არ აღმოაჩნდა გიორგის ჩეხოსლოვაკიაში საერთაშორისო ტურნირზე გასამგზავრებლად, ბატონ ვალერის მეგობარმა ჯუმბერ ბენდელიანმა საკუთარი მანქანით წაიყვანა მამა-შვილი საზღვარგარეთ და გიორგიმაც არ გაუცრუა იმედები — პირველი ადგილი დაიკავა და ხელდამშვენებული დაბრუნდა საქართველოში.

ახლაც, მსოფლიო ჩემპიონატში, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიკვაიძის, ზურაბ წერეთლის, დავით ღვამიჩავას, რომან რურუას, ლევან თედიაშვილის ხელშეწყობა და დახმარება რომ არა, ნამდვილად გაჭირდებოდა გ. ბახტაძის გამგზავრება.

ჭადრაკის ისტორია მრავალ შესანიშნავ მოთამაშეს იცნობს, მაგრამ 1886 წლიდან, როცა პირველად ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი, ჩვენ ვიცით 13 მსოფლიო ჩემპიონი მამაკაცთა შორის; ვილჰელმ სტეინიცი, ემანუილ ლასკერი, ხოსე რაულ კაპაბლანკა, ალექსანდრე ალიოხინი, მაქს ეიგე, მიხეილ ბოტვინიკი, ვასილ სმისლოვი, მიხეილ ტალი, ტიგრან პეტროსიანი, ბორის სპასკი, რობერტ ფიშერი, ანატოლი კარპოვი, გარი კასპაროვი...

იქნებ დადგეს დრო და ჩვენმა გიორგიმაც დაიკავოს საპატიო ადგილი ამ დიდებულ მოჭადრაკეთა შორის! მაშ, წარმატება ვუსურვოთ მას და გზა დავულოცოთ საჭადრაკო მწვერვალებისაკენ!

ნანა ფავლენიშვილი

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲘ

დედამიწის უგრძესი მდინარეა ნილოსი შენაკად კაგერასთან ერთად (ეგვიპტე). მისი სიგრძე 6671 კილომეტრია. მომდევნო ადგილებზე არიან: მისისიპი შენაკად მისურისთან ერთად (ჩრდილო ამერიკა) — 6420 კმ; ამაზონი შენაკად უკაიალისთან ერთად (სამხრეთ ამერიკა) — 6400კმ; იანძი (ჩინეთი) — 5800 კმ; ხუანხე (ჩინეთი) — 4845 კმ; შეკონგი (სამხრეთ ამერიკა) — 4500 კმ; ვოლგა (რუსეთი) — 3530 კმ.

დედამიწის ყველაზე წყალუხვი მდინარეა ამაზონი შენაკად უკაიალისთან ერთად — 7 მლნ 180 ათასი კმ²; მომდევნო ადგილებს „ინაწილებენ": კონგო შენაკად ლუალაბასთან ერთად (აფრიკა) — 3 მლნ 690 ათასი კმ²; მისისიპი მისურითურთ — 3 მლნ 238 ათასი კმ²; პარანა (სამხრეთ ამერიკა) — 2 მლნ 100 ათასი კმ²; ობი ირტიშითურთ (რუსეთი, ციმბირი) — 2 მლნ 990 ათასი კმ².

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘ

დედამიწის უდიდესი კუნძულია გრენლანდია, მისი ფართობი 2 მლნ 175 ათას 600 კვადრატული კილომეტრია. მეორე ადგილზეა ახალი გვინეა — 829 ათასი კმ². მომდევნო ადგილებზე არიან: კალიმანტანი — 742 260 კმ², მადაგასკარი — 590 ათასი კმ², სუმატრა — 435 ათასი კმ², დიდი ბრიტანეთი — 230 000 კმ².

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲔᲑᲘ

ევრაზიის უდიდესი უდაბნოებია:

გობი (ცენტრალური აზია, ჩინეთი, მონღოლეთი) — 2 მლნ კმ².

სირიის უდაბნო (სამხრეთ-დასავლეთი აზია) — 1 მლნ კმ².

ალაშანი (ცენტრალური აზია, ჩინეთი, მონღოლეთი) — 1 მლნ კმ².

ყარაყუმი (შუა აზია, თურქმენეთი) — 350 ათასი კმ².

ყიზილყუმი (შუა აზია, უზბეკეთი, ყაზახეთი) — 300 ათასი კმ².

თაკლა-მაკანი (ცენტრალური აზია) — 300 ათასი კმ².

აფრიკის უდიდესი უდაბნოებია:

საჰარა (აფრიკის ჩრდილოეთი) — 7 მლნ კმ²-ზე მეტი.

ლიბიის უდაბნო (აფრიკის ჩრდილოეთი)— 2 მლნ კმ².

კალაჰარი (აფრიკის სამხრეთი) — 1 მლნ კმ².

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ... ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ... ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ...

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘ

დედამიწის უმაღლესი მწვერვალია ჯომოლუნგმა, იგივე კანჩენჯანლა, იგივე ევერესტი (ჰიმალაის ქედი, აზია). მისი სიმაღლე 8848 მეტრია.

ალპების (ევროპა) უმაღლესი მწვერვალია მონბლანი — 4807 მ.

ანდების ქედი სამხრეთ ამერიკის თითქმის მთელ სიგრძეზეა გადაჭიმული. მისი უმაღლესი მწვერვალია აკონკაგუა — 6960 კმ.

ჩრდილო ამერიკის უდიდესი მთათა სისტემაა კორდილიერები. უმაღლესი მწვერვალია მაკ-კინლი — 6194 მ.

აფრიკის ზეგანის უმაღლესი წერტილია მთა კილიმანჯარო — 5895 მ.

ანტარქტიდის კონტინენტის უმაღლესი მწვერვალია ვინსონი — 5140 მ. ბოლო ავსტრალიის ალპებისა — კოსტიუშკო (2230 მ).

დედამიწის უმაღლესი ვულკანები

ეკვატორზე მდებარეობს ორი ვულკანი — კოტოპაში (5896 მ) და სანგაი 5410 მ.

მექსიკის ვულკანი პოპოკატეპელი სიმაღლით კოტოპაშის შემდეგ მეორეა — 5452 მ.

კამჩატკის ნახევარკუნძულზე მდებარე ვულკანი კლიუჩევსკაია სოპკას სიმაღლე 4750 მეტრია. მაყაის კუნძულის ვულკან მაუნა ლოახი — 4170. ბოლო კამერუნის ვულკან უაკიკისა — 4070 მეტრი.

„სამეთასიანი" ვულკანებია:

თეიდე (კანარის კუნძულები) — 3718 მ, სემერუ (კუნძული იავა) — 3678 მ., შიველუჩი (კამჩატკა) — 3283 მ., ეტნა (კუნძული სიცილია) — 3263 მეტრი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲔᲑᲘ

ევრაზიის უდიდესი უდაბნოებია:

გობი (ცენტრალური აზია, ჩინეთი, მონღოლეთი) — 2 მლნ კმ².

სირიის უდაბნო (სამხრეთ-დასავლეთი აზია) — 1 მლნ კმ².

ალაშანი (ცენტრალური აზია, ჩინეთი, მონღოლეთი) — 1 მლნ კმ².

ყარაყუმი (შუა აზია, თურქმენეთი) — 350 ათასი კმ².

ყიზილყუმი (შუა აზია, უზბეკეთი, ყაზახეთი) — 300 ათასი კმ².

თაკლა-მაკანი (ცენტრალური აზია) — 300 ათასი კმ².

აფრიკის უდიდესი უდაბნოებია:

საჰარა (აფრიკის ჩრდილოეთი) — 7 მლნ კმ²-ზე მეტი.

ლიბიის უდაბნო (აფრიკის ჩრდილოეთი)— 2 მლნ კმ².

კალაჰარი (აფრიკის სამხრეთი) — 1 მლნ კმ².

ნუბიის უდაბნო (ჩრდილო-აღმოსავლეთი აფრიკა) — 550 ათასი კმ².

ავსტრალიის უდიდესი უდაბნოებია:

დიდი ქვიშრობი (ავსტრალიის ჩრდილო-დასავლეთი) — 360 ათასი კმ².

ვიქტორია (სამხრეთ ავსტრალია) — 300 ათასი კმ².

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ტᲑᲔᲑᲘ

დედამიწის უდიდესი ტბებია:

კასპიის ზღვა (ევრაზია) — 31 ათასი კმ², სიღრმე — 1025 მ.

ზემო ტბა (ჩრდ. ამერიკა), ფართობი — 82400 კმ², სიღრმე — 393 მ.

ვიქტორია (ჩრდ. ამერიკა), ფართობი — 63000 კმ², სიღრმე — 80 მ.

ჰურონი (ჩრდ. ამერიკა), ფართობი — 59600 კმ², სიღრმე — 228 მ.

მიჩიგანი (ჩრდ. ამერიკა), ფართობი — 58100 კმ², სიღრმე — 281 მ.

ტანგანიკა (აფრიკა), ფართობი — 34000 კმ², სიღრმე — 1435 მ.

ბაიკალი (ევრაზია), ფართობი — 31500 კმ², სიღრმე — 1620 მ.

ერი (ჩრდ. ამერიკა), ფართობი — 25700 კმ², სიღრმე — 64 მ.

ბალხაში (ევრაზია), ფართობი — 20000 კმ², სიღრმე — 26 მ.

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲯᲘᲝᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ქარელის რაიონის სოფელ დირბის საშუალო სკოლის მოსწავლეა. მარინე 14 წლისაა, უყვარს სიმღერა, სწავლობს უცხო ენებს. მარინეს მისამართია: ქარელის რაიონი, სოფელი დირბი.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲪᲐᲚᲣᲚᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 13 წლისაა, მსახიობობაზე ოცნებობს, გატაცებულია ქართული ცეკვებით და ძალიან უნდა ახალი მეგობრების შეძენა.

ლევანის მისამართია: თიანეთის რაიონი, სოფელი ჟებოტა.

ᲚᲔᲚᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ სამხრეთ საქართველოში ცხოვრობს. უყვარს მათემატიკა და კარგი კინოფილმები. ლელას ბევრი მეგობარი ჰყავს, მაგრამ ძალიან უნდა მეგობრები სხვა რაიონებშიც ჰყავდეს. ლელა 13 წლისაა. მისი მისამართია: ახალქალაქის რაიონი, სოფელი ბარალეთი.

„ამბობენ, რამდენი მეგობარიც გყავს, იმდენი კაცი ხარო," — გვწერს საჩხერელი მეცხრეკლასელი **ᲛᲐᲘᲙᲝ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.** თურმე ხუ იტყვით, მაიკო მსახიობობაზე ოცნებობს, მის ამ სურვილს კი ოჯახში საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობა ხვდება. მაიკოს უყვარს გულწრფელი ადამიანები და მეგობრებსაც უმთავრესად ამ ნიშნით ირჩევს. ასე რომ, შეეხმიანეთ მაიკოს მისამართზე: საჩხერის რაიონი (საფოსტო ინდექსი — 383982), სოფელი ჭალა.



ივანე ელიაშვილი

ფსატვარი

გაიოზ ფოცხიშვილი

ჯიხვების გადავლილი კლდე
რომ ნახო, გაგიკვირდება;
იმათ ნაწოლსა, ნადგომსა
თოვლიც არ მოეკიდება.
ფეხ რომ შაუსხლტეს ტიალსა,
კლდეზედ რქით დაეკიდება.
იმათ მიმყოლსა ვაჟკაცსა
რა კარგი წაეკიდება?!
(ხალხური-ფშაური)

ოღონდაც! ან რად უნდა „წაეკიდოს კარგი“ იმ გამხეცებულ ადამიანს, რომელიც თოფ-იარაღშია ჩამჯდარი, დაგვდევს სასიკვდილოდ?! ეგებ რახმე უშლიდეს ჩვენი ჯიში ადამიანს ან საზრდოს მოტაცებით, ან სხვა რამ საქმეში! იხემც ნურა გეტკინოსთ! ისე მხოლოდ ვაჟკაცობა უნდა გამოიჩინოს ჩვენი ამოჟლეტით და პირი ჩაიტკბარუნოს ჩვენი ხორცით!

ჰმ! კარგი, თქვენმა მზემ: პირის ჩასატკბარუნებლად კაცმა სინდისზე ხელი აიღო და უმანკო ქმნილებას სიცოცხლე მოუსპო! განა ეს არის ვაჟკაცობა?

კარგია, რომ ბუნებას ჩვენთვის მოუნიჭებია ისეთი აგებულება და თვისება, რომ ადამიანი ადვილად ვერ გვწვდება იმ უმაღლეს კლდის მწვერვალებზე, სადაც ჩვენი ბინა-საცხოვრებელია. გავლა კი არა, დანახვაც არ შეუძლია ადამიანს იმ კლდის წვეტებისა, სადაც ჩვენ ფეხს ვადგამთ და იქიდან ჩიტივით გადავფრინდებით ხოლმე სხვა ამგვარი წვეტებისაკენ.

---

* 1912 წლის ჟურნალიდან „ნაკადული მოზრდილთათვის“.

დიაღ, „თოვლიც არ მოეკიდება“ ამ ჩვენ ნადგომს, მხოლოდ ადამიანის ფეხი რომ მოეკიდებოდეს, ჩვენი ჯიშის ხსენებაც არ იქნებოდა ამ ქვეყნად. დაილოცოს ჩვენი ქვეყნის ბუნება, რომელსაც სხვებისათვის მიუწვდომელი კლდის მწვერვალები შეუქმნია ჩვენს საცხოვრებლად!

ახვალ, ჩემო ბატონო, ამ ცამდე ამართულ კლდის წვეროზე და გულს გაგინათლებს საუცხოო სურათები. აქეთ — ხალი კლდე, რომელიც მზის სხივებს ეთამაშება, იქით — ღრმა ხევი თავისი ანკარა ნაკადულებით, ხმამაღლა რომ ეცაასებიან გამწვანებულ მიდამოებს; იქით — გულჩათრობილი უვალი ტყე, რომელსაც სიო მოსიყვარულე გულით ეალერსება და ქოჩორს უვარცხნის; კიდევ იქით — მთის მკერდი, რომელსაც გაანჩხლებული მდინარე კაპასი დედამთილივით თავს დასჩხავის; აქეთ-იქით — გამწვანებული მინდორ-ველი, და მის შუაგულში უკვე დამშვიდებული მდინარე, გველივით რომ მიიკლაკნება და მცენარეებს აიაზმად ეპკურება; ზევით — ლაჟვარდი ცა, რომელსაც დიდი მნათობი დედაშვილურად ჭულში ჩაუხუტებია და ირგვლივ ხუფთა, გაკრიალებულ-გამჭვირვალე, ტკბილი სამშობლოს ჰაერი, რომელიც გულმკერდს გიცხოველებს და სუნთქვას გიადვილებს.

ჩვენთვის ბუნებას შორხმხედველობა მოუნიჭებია, და ამიტომ ხშირად გვხედავს ადამიანი კლდის მწვერვალზე გაქვავებულივით მდგომნ მთელი დღის განმავლობაში. ვუცქერთ ხოლმე ჩვენს კეკლუც სამშობლოს და ვტკბებით მისი მშვენებით, მისი მომხიბლავი ბუნებით, დედაშვილური სიამტკბილობითა და გულუხვობით.

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს
სხვა ქვეყნის საბოთხეზედა!“

რად უნდა გავცვალო, ან სად უნდა ვნახო არა თუ უკეთესი, ამისთანაც კი, და რომ კიდევაც ვნახო, მაინც არ მინდა, ის თავის პატრონს ჰქონდეს და მოიხმაროს. ჩემს სამშობლოში კი შიმშილიც მირჩევნია სხვაგან მაძღრობას. თუმც ჩვენს მთებში ბუნებას უხვად დაუთესავს კამა, აფსინტა, ზირა და სხვა სურნელოვანი ბალახები; არყი, ტირიფი, შქერი და მათი ახალ-ამოხეთქილი ფოთოლ-კვირტები ზაფხულში და გამხმარი ბალახი და ხავსი — საზამთროდ ხომ რამდენიც გინდა, სულო და გულო! ამასთან, მართლაც ძალიან გვიყვარს და ამიტომ მიცის (მლაშე მიწა) საძებრად ხშირად გავექანებით ხოლმე და ჩავიტკბარუნებთ პირს, თუ სადმე ჩასაფრებულმა მონადირემ დღე არ მოგვიხაპო. მე შენ გეტყვი, მთაში ამოვა და იქ დაგვაკლებს რასმე! სრულიადაც არა! და თუ ოდესმე გაბედა და ამოვიდა, ხვირსაც ვერა ნახავს: სადმე ხევში გადიჩეხება და ყვავ-ყორნის ულუფა გახდება.

მხოლოდ ნადირობის ხენით შეპყრობილს ისეთი უშიშრობის ხნე სჭირს, რომ ხშირად არც კლდე-ღრეს ერიდება და არც ქარ-ბუქსა, ოღონდ ჩვენ მოგვიხაპოს ხიცოცხლე.

მერე, ჩვენს მთებში რა ქარ-ბუქი იცის! ჩვენს მეტი ვერავინ გაუშაგრდება: უთუოდ მოსხლეტს და ღრეში გადაისვრის.

მთამ ხმაურობაც დიდი იცის ხოლმე, განსაკუთრებით კი თოვლიან ამინდში ან ნიხლის დროს; იმიტომ, რომ

20123

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დანამული ჰაერი კარგი გამცემია ხმაურობისა.

მართალი გითხრათ, ქარ-ბუქს ჩვენც ვემალებით ხოლმე: მყუდრო ალაგს შევაფარებთ თავს, თუმცა ისეთი მაგარი ფეხები გვაქვს, რომ ვერაფერი ჰაერის მოძრაობა ვერ დაგვძრავს ალაგიდან.

მონადირის მსხვერპლად ხდება ნეზვი, განსაკუთრებით, როცა ნუკრხა ზრდის ხოლმე. საცოდავს დედაშვილური გრძნობა სძლევს და თავს აწირვინებს შვილებისათვის, მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევის დროს ნეზვი სტოვებს ნუკრს და გამალებული გარბის თავის დასაცავად. ამ დროს ნუკრი კლდის ნაბრალს ამოეფარება და ისე გაუნძრეველად იმალება სულგანაბული, რომ მონადირე ვერ ამჩნევს; ვერ ამჩნევს იმიტომ, რომ ნუკრის ქურქი ისეთივე ნაცრისფერია, როგორც კლდე; არის ჩამალულ-განაბული საცოდავი ნუკრი, ვიდრე მონადირე ცარიელ-ტარიელი არ გაუდგება თავის გზას და ნეზვიც ფეხების ბაკუნით არ აცნობებს დამფრთხალ შვილებს დაბრუნებასა და უშიშრობას.

ნუკრები იბადებიან ფიბათვესა და მკათათვეში. ნეზვს გაუჩნდება ერთი ან ორი მოშინაურებული თხის თიკნის ოდენა ნუკრი, რომელსაც, დაიბადება თუ არა, დედა ენით გასწმენდს თავიდან ფეხებამდე და ცხოვრებაში გაჰყავს.

ჯიხვის ნუკრი ლამაზი, თვინიერი და ცელქი ცხოველია; ამასთან, ისეთი სიმარდე აქვს თანდაყოლილი, რომ დაბადებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ის არ ჩამორჩება მოზრდილ ჯიხვს კლდეებზე სირბილსა და გადახტომა-კუნტრუშში.

ერთი წლის განმავლობაში ნუკრი დედასა სდევს და ამ ხნის განმავლობაში ნეზვი არ მაკდება. დედა ძლიერ ეალერსება ნუკრს, სწმენდს ენით მის ნორჩსა და სათუთ ქურქს, თავს ეფლება მას.

მაღალი ტევრი საუკეთესო საძოვარია ჯიხვებისათვის; მხოლოდ ზაფხულში ისინი მთის კალთას არ გასცილდებიან ხოლმე. ინათებს თუ არა, ჯიხვები გაემართებიან მთებისაკენ, სადაც ატარებენ დროს მზის გადახრამდე. შემდეგ დაეშვებიან ტყისკენ და იქ ათევენ ღამეს. განთიადზე და მზის გადახრამდე თუ ნახავს კაცი მოძრავ ჯოგს, თორემ სხვა დროს ის ისვენებს ხოლმე მყუდრო ალაგას.

როცა ჯოგი ისვენებს, ერთი ჩვენგანი უთუოდ დარაჯად დგას, რომ მტერი უეცრად არ დაგვეცეს, თუმცა ყველანი ფრთხილადა ვართ ძილშიაც კი. ჯიხვი ისე მოსვენებით არ დაიძინებს, რომ მუდამ მზად არ იყოს წამოსახტომად და გასაქცევად. ამიტომ ძილის დროს მხოლოდ ცალი ან ორივე უკანა ფეხი მოკეცილი და წინა ფეხები კი მუდამ მიწაზე განრთხმული გვაქვს, რომ ერთ ლანდზე წამოვხტეთ გასაქცევად. განსაკუთრებით ფრთხილობს მამალი ჯიხვი, რომლის რქები ძვირად ფასობს, და ამიტომ მონადირე მას უფრო ემტერება. თუმცა რქები ნეზვებსაც ახსიათ, მაგრამ ბევრად მომცრო, ვიდრე მამალ ჯიხვს, რომელსაც რქები ეზრდება ხშირად ერთ ადლამდე და მეტიც. ნეზვი ხშირად სწირავს თავს ნუკრების დაცვის დროს, მამალი ჯიხვი კი ამისათვის თავს არ იტკიებს და სწრაფად გაურბის მონადირეს. „ჯერ თავო და თავო და მერე — ცოლო და შვილოო“, — ფიქრობს ის.

ნუკრს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ეზრდება რქები და სამი წლის განმავლობაში უმთავრდება.

ბუნების წიაღია ჯიხვის სახლ-კარი, ისაა მისი სამშობლო, დედის ძუძუი, და არაფერ შემთხვევაში არ გაურბის მას, თუ სიცოცხლე არ მოუსპო დაუნდობელმა მონადირემ. სხვა მტერს ასე თუ ისე უმკლავდება ხოლმე და შიშიც არ აქვს, თუ არ მონადირის ტყვიისა. ტყვია კი, ბატონებო, რომ ულმობელი და დაუნდობელია, ამას თქვენც კარგად ხედავთ თქვენი ლამაზი თვალით, მეტადრე ახლა, როცა ის არ ინდობს არამც თუ ჩვენს მზგავს ნადირს, არამედ თვით ადამიანსაც, რომლის სისხლითაც ირწყვის ამ ხანად მთელი ქვეყნების ველ-მინდვრები.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ანდერსენი

შეზღაპრის საოცარი ნიჭი მოშამადლა ღმერთმა ღარიბი დანიელი მეწაღისა და მრეცხავი ქალის შვილს, ჰანს ქრისტიან ანდერსენს — ნებისმიერი საგნის, ნივთის გაცოცხლება-ამეტყველება. შეახებდა დიდი მეზღაპრე თავის ჯადოსნურ წკირს და კვეხნას მოჰყვებოდა საკუთარ თავში შეყვარებული ქედმაღალი საკემსავი ნემსი; ტყუილების კორიანტელს აყენებდა ღატაკი და პეწენიკი საყელო; გაუგონარ გმირობას სჩადიოდა ქაღალდის ბალერინას სიყვარულით დამწვარი კალის ჯარისკაცი; დიდი და საოცარი სამყაროსკენ ეწოდა მწყემს გოგონას ფაიფურის გულადი საკვამურის მწმენდელი...

ეს ნიჭი მეტ-ნაკლებად ყველა ბავშვს გააჩნია ბავშვობაში, შერე კი მერე ჩვენ ვიზრდებით, ვეცალებულნი და იმ ნიჭსაც ვკარგავთ. ანდერსენი კი სიცოცხლის ბოლომდე ბავშვად დარჩა და უთუოდ, ის ნიჭიც იმიტომ შერჩა ბოლომდე, გაუზარჯავ სიკეთესთან, სულის სიწმინდესთან და გულისხმიერებასთან ერთად.

ძნელად იკვალავდა შეოცნებე ოდენსელი ყმაწვილი გზას ცხოვრებაში. უსახსრობა ხომ უშლიდა ხელს, ამას დაბალი წარმოშობა და არც თუ მომხიბვლელი გარეგნობაც ეშატებოდა და დაცინვა, ქილიკი, უარყოფილი სიყვარული და ქედმაღლური გულცივობა აძრწუნებდა ამ ხულიერად ყველაზე მდიდარ, კეთილშობილ და ლაშაზ ადამიანს. ჯერ პოეზია ეხმარებოდა, შერე — ზღაპრები. მათში ჰპოვებდა სათუთი სულის პატრონი ანდერსენი თავშესაფარს და იქითკენვე უხმობდა სხვებს... და იმ სხვებს შორის გერმანელი პოეტის მოზენის პატარა ვაჟი ერიკიც იყო, რომელმაც ანდერსენს თავისი საყვარელი სათამაშო კალის ჯარისკაცი აჩუქა — ასე საშინლად შარტო რომ არ იყოთო, და ერთი სტუდენტიც, რომელმაც ბედნიერების მომტანი ოთხფოთოლა სამყურა გამოუგზავნა კონვერტით. ჯერ კიდევ ბავშვობაში რომ ეპოვა მინდვრად. და ეს ორი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მუდამ ეხმარებოდა სხვისი ტკივილების მკურნალ მეზღაპრეს საკუთარ ხევდასთან გამკლავებაში...

ლოკოკინა და ვარდის ბუჩქი

ბაღს თხილის ცოცხალი ღობე ჩაუყვებოდა; იმის იქით კი ველ-მინდვრები იწყებოდა, სადაც ცხვარ-ძროხა ძოვდა. შუა ბაღში ვარდის ბუჩქი ყვაოდა, მის ძირში ლოკოკინა იჯდა, რომელიც ერთობ მდიდარი გახლდათ თავისი შინაგანი შინაარსით, ამ შინაარსს კი თვითონვე შეადგენდა.

— დამაცადეთ, ჩემი დროც მოვა! — თქვა მან. — მე ამ თქვენს ვარდებზე, თხილზე და რძეზე ბევრად უფრო მნიშვნელოვან რამეს შეეძენ ქვეყნიერებას.

— მე თქვენგან ბევრს მოველი! — მიუგო ვარდის ბუჩქმა. — მითხარით, გეთაყვა, მაინც როდის მოხდება ეს?

— დრო ითმენს! თქვენა ხართ, სულ რომ ჩქარობთ, აჩქარებულობა კი ასუსტებს შთაბეჭდილებას!

მეორე წელიწადს ლოკოკინა ისევ იმ ადგილას იწვა, მზეზე, ვარდის ბუჩქის ძირში, რომელიც კვლავაც კოკრებით იყო შემოსილი. კოკრები იშლებოდნენ, ვარდები ყვაოდნენ, გადაიყვავილებდნენ, ბუჩქს კი სულ ახალ-ახალი კოკრები გამოჰქონდა.

ლოკოკინა სანახევროდ გამოძვრა ნიჟარიდან, რქები გამოყო და ისევ შემალა.

—სულ ერთი და იგივე! არცერთი წინ გადადგმული ნაბიჯი! ვარდის ბუჩქი ისევ თავისი ვარდების ამარაა, ოდნავადაც არ წაწეულა წინ!

ზაფხული მიიწურა, დადგა შემოდგომა, ვარდის ბუჩქი კი ყვაოდა და სურნელს აფრქვევდა, ვიდრე თოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არ მოვიდა. გათოვდა, ვარდის ბუჩქი მიწისკენ დაიხარა, ლოკოკინა მიწაში ჩაბობღდა.

ისევ გაზაფხულდა, ისევ აყვავდნენ ვარდები, ლოკოკინაც ამოხოხდა ზევით.

— ახლა კი თქვენ უკვე ბებერი ბრძანდებით! — უთხრა მან ვარდის ბუჩქს. — ყველი გაგივიდათ! თქვენ უკვე მიეცით ქვეყნიერებას ყველაფერი, რისი მიცემაც შეგეძლოთ; ხოლო ბევრი მიეცით თუ არა — ეს ის საკითხი გახლავთ, რომლის გასარკვევად მე არა შეცალია. ის ამბავი კი, რომ საკუთარი შინაგანი განვითარებისათვის არაფერი გაგიკეთებიათ, სავსებით ცხადია! თორემ თქვენგან სხვა რამ გამოვიდოდა. ნეტავ, რას იტყვით, რით იმართლებთ თავს? თქვენ მალე ხმელ ჩინჩხვრად იქცევით! გესმით, რასაც ვამბობ?

— თქვენ მე მაკრთობთ! — მიუგო ვარდის ბუჩქმა. — ამაზე არასდროს მიფიქრია!

— დიახ, დიახ, მგონი, თქვენ ფიქრით დიდად არც იწუხებდით თავს! იმაზე მაინც თუ გიფიქრიათ, რომ გაგეცნობიერებინათ: რატომ ჰყვავით, კაცმა რომ თქვას, და როგორ ხდება ეს? რატომ ხდება ასე და არა სხვაგვარად?

— არა! — თქვა ვარდის ბუჩქმა. — მე სიცოცხლეს შევხარodი და ვყვაოდი — სხვაგვარად არ შემეძლო! მზე ისე მათბობდა, ჰაერი ისე მაგრილებდა, მე ცვარსა და წვიმას ვსვამდი, ვსუნთქავდი, ვცოცხლობდი! მიწა და ჰაერი მასაზრდოებდნენ, ძალ-ღონეს მძენდნენ, მეც სავსე ცხოვრებით ვცოცხლობდი, ბედნიერება მიპყრობდა, და მეც ვყვაოდი, — ამაში იყო ჩემი სიცოცხლე, ჩემი ბედნიერება. მე სხვაგვარად არ შემეძლო!

— დიახ, თქვენ მართლაც ასე ცხოვრობდით, დარდი არაფრისა გქონდათ, ვერაფერს იტყვი!

— დიახ, მე ბევრი რამ მქონდა მომადლებული! — თქვა ვარდის ბუჩქმა. — მაგრამ თქვენ კიდევ უფრო მეტი გაქვთ მომადლებული! თქვენ ერთ-ერთი ღრმად მოაზროვნე, დიდად ნიჭიერი ნატურა ბრძანდებით... თქვენ ქვეყნიერება უნდა გააკვირვოთ!

— ძალიან კი არ მჭირდება! — უთხრა ლოკოკინამ. — ნეტავ, რა თავში ვიხლი თქვენს ქვეყნიერებას! რა მესაქმება მასთან? მე საკუთარი თავიც მეყოფა!

— კი, მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენ ყველანი ვალდებულები ვართ, ვუწილადოთ ქვეყნიერებას ყოველივე საუკეთესო, რაც კი ჩვენშია... მე მხოლოდ ვარდების მიცემა შემეძლო!.. თქვენ კი? თქვენ ისე ბევრი გაქვთ მომადლებული! თქვენ კი რა მიეცით ქვეყნიერებას? რას მიხცემთ თქვენ მას?

— რას მივცემ? რას მივცემ? მიმიფურთხებია ქვეყნიერებისათვის, არაფრად არ ვარგა! მე კი არაფერი შესაქმება მასთან! ამარაგეთ ვარდებით — თქვენ მარტო ეს თუ შეგიძლიათ! აძლიოს თხილმა თხილი, ცხვარ-ძროხამ — რძე, მათ თავიანთი პუბლიკა ჰყავთ! ჩემი კი ჩემშივეა! მე საკუთარ თავში ჩავიკეტები და — ბასტა! მე ქვეყნიერებისა არა შედარდება რა!

და ლოკოკინა თავის ნიჟარაში შეიმალა და ჩაიკეტა.

— რა სამწუხარია! — თქვა ვარდის ბუჩქმა. — მეც კი ვინდომებდი საკუთარ თავში ჩაკეტვას, მაგრამ არ შემიძლია, ჩემში ყველაფერი გარეთ იწევს, მე უნდა ვყვაოდე! ჩემს ვარდებს ფურცლები ხცვივა და ქარი მათ მიმოაბნევს, მაგრამ მე დავინახე, როგორ ჩაიდო ერთ-ერთი მათგანი ლოცვანში ოჯახის დიასახლისმა, მეორეს მშვენიერმა ქალიშვილმა თავის მკერდზე მიუჩინა ბინა, მესამეს ბავშვის მოლიმარე ტუჩები ჰკოცნიდა... და მე ისეთი ბედნიერი ვიყავი! აი, ეს არის ჩემი მოგონებები; მათშია ჩემი სიცოცხლე!

ყვაოდა და ხურნელს აფრქვევდა უცოდველი სიხარულითა და ბედნიერებით ალსავსე ვარდის ბუჩქი, ლოკოკინა კი უაზროდ თვლემდა თავის ნიჟარაში. მას ამ ქვეყნიერების დარდი არ ჰქონდა.

წელი წელს მისდევდა.

ლოკოკინა მიწაში მიწად იქცა, ვარდის ბუჩქი მიწაში მიწად იქცა, გაიცრიცა მოგონების ვარდი ლოცვანში... ბაღში კი კვლავ ყვაოდნენ ვარდის ბუჩქები, მათ ძირში ახალი ლოკოკინები დაღოღავდნენ, ისინი თავიანთ სახლებში შეღოღდებოდნენ და იფურთხებოდნენ — მათ ამ ქვეყნიერების დარდი არ ჰქონდათ!

თავიდან ხომ არ მოვვვე ეს ამბავი? იგი არ იცვლება.

თარგმნა **მანანა ზაალიშვილმა**

ჩაკეტილ მეგობრებს

ეპტონ სინკლერი

მოთხრობა

ხსნა ვარი
ი. სამსონაძე

ზღვაში ჩაძირული მარგალიტის ამბავი მეკვინთავემ იან ლაურვიკმა ხინგაპურის ტრაქტირში გაიგო თავისი მომაკვდავი მეგობრის, ლასკაროსაგან, რომელიც სიხლისაგან იცლებოდა.

— დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია, — თქვა ლასკარომ. — ჩქარა მომაწოდე არაყი, რომ ლაპარაკი შევძლო. ალბათ, მალე ამ ქვეყნად აღარ ვიქნები.

დაჭრილი ლასკარო დაბინდული თვალებით შეაცქერდა იანს.

— დარწმუნებული ხარ, რომ ყველანი გავიდნენ? — ჰკითხა.

— რა თქმა უნდა!

— ისინი შენს მოკვლას შეეცდებიან. არ შემოუშვა, იან!

— ნუ შიშობ, ვერც შემოვლენ და ვერც მარგალიტებს დაეუფლებიან, — დაამშვიდა იანმა.

ლასკარომ აკანკალებული ხელით გაუწოდა ქაღალდის ფურცელი:

— აქ ნაჩვენებია გემის დაღუპვის ადგილი... ნაპირთან, ორმოცი ფუტის სიღრმეზე... მარგალიტები კაიუტაშია... გემი წყალქვეშა რიფებს შეეჯახა და ნამსხვრევებად იქცა. გადავრჩით მხოლოდ შვიდნი, რადგანაც გარშემო ირეოდნენ ზვიგენები და „მკვლელები“... მხოლოდ მე და ჩემს მეგობარს შეგვეძლო ამ რუკის დახაზვა, და ეს სიცოცხლედ დაგვიჯდა... ფრთხილად, იან, ამ ძალლებმა არ დაისაკუთრონ მარგალიტები! — ლასკარომ თვალები გადმოკარკლა და, მთლად მოშვებული, შეგობრის კალთაში ჩაესვენა.

იანმა დახედა რუკას და ზუსტად წარმოიდგინა განძის ადგილსამყოფელი. სწრაფად მოიხაზრა ისიც, რომ ავაზაკები მალე დაბრუნდებოდნენ და ამ ქაღალდს დაუწყებდნენ ძებნას. კვალის ასარევად ასეთი რამ მოიფიქრა: სწრაფად დატოვა ტრაქტირი.

იანს სჭირდებოდა გამოცდილი კაპიტანი და შეიარაღებული ეკიპაჟი, რომელიც მეკობრეებისაგან დაიცავდა. მან იცოდა, რომ გემი ნამდვილად დაიღუპა რამდენიმე თვის წინ იავის ნაპირებთან. გემზე იყო სამოცი ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების მარგალიტები, ასე რომ, რისკის გაწევა ნამდვილად ღირდა.

იანმა გადაწყვიტა, კაპიტან პარსონისათვის ეთხოვა დახმარება. ეს კაცი მონადირე იყო და ძლიერ უყვარდა როგორც ნადირობა, ასევე მოგებაცა და თავგადასავლებიც. კაპიტანმა ისიც კარგად იცოდა, რომ თუ იანი იწვევდა, ეჭვი არ იყო, მოგებაც ელოდა და თავგადასავალიც და ამიტომაც ჩამოსვლა არ დაუყოვნებია.

პირობებზე შეთანხმდნენ, გემის ეკიპაჟი შეიარაღეს და გავიდნენ ზღვაში. იანმა გაითვალისწინა ყველა საფრთხე — შეტადრე ზვიგენებისა და „მკვლელების“, ანუ მახვილთევზების მხრიდან, რომელთაც განსაკუთრებით უფრთხიან მეკვინთავები. როდესაც მეზღვაურები დათქმულ ადგილს მიუახლოვდნენ, ღია ზღვაში ნავი ჩაუშვეს და იანი ჩასაყვინთად მოემზადა. ერთი შეხედვით, ირგვლივ სრული სიმშვიდე სუფევდა, ხინამდვილეში კი წყლის ყოველი ბინადარი ცხოვრობდა თავისი ჩუში, მაგრამ საფრთხით აღსავსე ცხოვრებით და ყოველ ნაბიჯში ხიკვდილი იყო ჩასაფრებული.

ზღვის ფსკერზე კი ასეთი ამბავი ხდებოდა:

უზარმაზარი რვაფეხა, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს ნთქავს, ბრაგების გასწვრივ მიცურავდა ჩაძირული გემისაკენ. მის კრისტალივით მოელვარე უზარმაზარ თვალებს გემი ისეთ საოცარ საგნად ეჩვენებოდა, რომ მთელი ყურადღება ამ საგანს მიაპყრო. არასოდეს ენახა ამ ზომის არსება. აი, მიუახლოვდა, საცეცებით მოსინჯა უცნობი საგანი, შეშფოთდა და უკან დაიხია. კარგა ხანს უძრავად იყო, ალბათ ფიქრობდა, საჭმელად გამოდგება თუ არაო. შიოდა რვაფეხა ურჩხულს. მერე ისევ მოიქნია საცეცი. მას მხოლოდ რამდენიმე თევზი და კიბორჩხალა მოჰყვა. ჩაძირული ადამიანებისაგან მხოლოდ ჩონჩხები დარჩენილიყო და ისინი საკვებად არ გამოდგებოდა. სინჯავდა გემს და თან მინასავით კრიალა ცივი თვალებით ზვერავდა ყოველივეს, რაც მის გარშემო ხდებოდა. უეცრად თვალი მოჰკრა ორმეტრიან ხერხთევზას, რომელიც უდარდელად მიცურავდა მის თავზემოთ. ელვის სისწრაფით სტყორცნა ერთ-ერთი საცეცი და თევზს წაშსვე ჩაეჭიდა ახობით ხასიკვდილო ხაწოვარა. ლამაზი მტაცებელი ამაოდ ცდილობდა მტრისაგან თავის დაღწევას, ამაოდ ლამობდა ურჩ-

ხულისათვის თავისი ხერხის ჩარჭობას. რვაფეხამ რამდენიმე წამში მთლიანად შებოჭა იგი და თევზმა ძალა დაკარგა... რვაფეხამ თავისკენ მიიზიდა საცოდავი მსხვერპლი და ჭამას შეუდგა. სადილობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული, როცა რაღაც მცურავი ლანდი შენიშნა და შიშით გემის კედელს მიეკრა. ეს იყო „მკვლელი“ —მახვილთევზა, ერთადერთი არსება, რომლისაც რვაფეხას ეშინია: ამ მტაცებლის ბასრი კბილების წინაშე უძლურია ურჩხულის გველისებური საცეცები და მძლავრი ყბები. ამჯერად მახვილთევზამ ვერ შენიშნა იქვე მიმალული რვაფეხა და გვერდით ჩაუქროლა. მისმა გამოჩენამ რვაფეხას მადა დაუკარგა, გაშლილ ადგილზე თავი უძლურად იგრძნო და თავშესაფრის ძებნას შეუდგა. მალე იპოვა წყალქვეშა გამოქვაბული და თავისი სხეულით ამოავსო ის, ხოლო მორის ხიმსხო საცეცები გაუფრთხილებელი მსხვერპლის მოლოდინში თავისუფლად დაცურავდნენ წყალმცენარეებს შორის.

ვერც კი მოასწრო რვაფეხამ თავის ახალ ბინაში მოკალათება, რომ მის თვალწინ ზედაპირიდან რაღაც საოცარი არსება ჩამოეშვა: ორივე ბოლო მრგვალი ჰქონდა, თვალები —დიდი და მოელვარე, თავსა და ბოლოზე კი —ორი გრძელი საცეცი, რომელთაც ბოლო არც კი უჩანდათ. სწორედ რომ საოცარი არსება იყო, მაგრამ რვაფეხა გრძნობდა, რომ საჭმელად გამოდგებოდა. რვაფეხას საცეცები ათრთოლდნენ მსხვერპლის მოახლოების მოლოდინში, მაგრამ სწორედ ამ დროს ურჩხულმა ისევ შენიშნა მახვილთევზა და საბრძოლო განწყობილება გაუქრა. ამით ისარგებლა ახლად გამოჩენილმა არსებამ, ჩაეშვა გემში და კაიუტაში შევიდა...

იან ლაურვიკი ზღვის ფსკერზე რომ ეშვებოდა, დიდად არაფრის ეშინოდა. იმ შემთხვევისათვის, თუ მტაცებელ ზვიგენებს გადაეყრებოდა, მას ხელში ეჭირა ბასრი დანა — ყველაზე საიმედო იარაღი მყვინთავისათვის. იანს დიდი იმედი ჰქონდა თავისი სიმარდისა და არც გაჰკვირვებია, ახლა სწრაფად რომ მიაგნო ჩაძირულ გემს, იოლად შეაღწია კაიუტაში და ტომრებსაც დროულად მიაგნო. მყვინთავს სიხარულით უძგერდა გული — მის ხელში იყო მთელი სიმდიდრე! მაგრამ ბედი დიდ ხიფათს უმზადებდა.

უეცრად მოეჩვენა, რომ სული ეხუთებოდა და სწრაფად გამოვიდა კაიუტიდან. კართან არც კი იყო მისული, რომ ელდანაცემივით უკან გადახტა. რაღაც რბილი, მოქნილი წკეპლა ვარდისფრად დაწინწკლული საწოვრებით მის ხელს მოეხვია და ცივად დასუსტა. ისინი მაშინვე მიხვდა, რომ საქმე საშინელ მტაცებელთან ჰქონდა, დანა იშიშვლა და ორი დიუმის სისქის წკეპლა ერთი მოქნევით გადაჭრა. საცეცის დარჩენილი ნაწილი უკან გასრიალდა. იანმა თოკით ნიშანი მისცა ნავში მყოფ მეგობრებს, ამოყვანეთო, მაგრამ იმავე წამს ორი ისეთივე საცეცი დაეხვია ხელსა და ფეხზე და, თუმცა თოკი ასწიეს, იანს ძვრა ვერ უყვეს.

იან ლაურვიკს არასოდეს გამოეცადა ასეთი შიში, მაგრამ არც ახლა გაიტეხა გული. მაშინვე მოისაზრა, რომ ამხანაგები მას ნავიდან ვერაფერს უშველიდნენ, ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოკითვე ანიშნა, ნუ მექაჩებითო. მან მოიხერხა ფეხზე მოხვეული საცეცის გადაჭრა, ხელიც გაითავისუფლა და კაიუტაში შეძვრომა სცადა, მაგრამ ესეც ვერ შესძლო, რადგან რვაფეხამ ხელმეორედ მოიქნია წაჭრილი საცეცი და მკერდზე შემოაჭდო ყველაზე ძლიერი გველური ფეხები. იანმა ძალა მოიკრიბა და შეეცადა, ყველა საცეცი რიგრიგობით გადაეჭრა, მაგრამ ურჩხულმა ახალი საცეცი სტყორცნა და მარჯვენა ხელი დაუკავა. იანმა დანის მარცხენა ხელში გადანაცვლება ვერც კი მოასწრო, რომ მისი მდგომარეობა საგრძნობლად შემსუბუქდა: რვაფეხამ ზურგზე მიმაგრებული ნათურა დაუმსხვრია, ელექტროდენმა იანის თავზე სალტესავით მოჭერილი საცეცი მოად-



ანა და გააშვებინა, მაგრამ იგივე საცეცი ახლა იანის მარცხენა ხელს ჩაეჭიდა. მყვინთავის მდგომარეობა საშინელი იყო: ორივე ხელი შებოჭილი ჰქონდა, ხოლო მძვინვარე მტაცებელი ფეხით მიათრევდა. ადამიანმა იგრძნო, რომ ურჩხული თანდათან იმორჩილებდა და საზარელი სიკვდილის სიახლოვემ შეზარა: მისკენ მოცოცავდა უზარმაზარი შავი, საზიზღარი არსება, საბედისწერო ცეცხლი ელავდა მის გოგრისოდენა, ცივსა და მომნუსხავ თვალებში. ურჩხული გემბანზე ახოხებას ლამობდა, უფრო კარგად რომ დაენახა, ვინ აყენებდა ამდენ უსიამოვნებას. იანმა გადაწყვიტა, უკანასკნელ წუთებამდე ვიბრძოლებო, შეძლო კიდევაც მარჯვენა ხელის გათავისუფლება და ისე მძლავრად მოიქნია დანა, რომ კაიუტაში შეძვრომაც კი მოასწრო, ვიდრე საცეცი ხელიხლა ჩაეჭიდებოდა. ამასობაში გიგანტური ობობა გემბანზე ახოხდა და იანმა დაინახა, როგორ საზარლად იღებოდა და იხურებოდა ურჩხულის ხახა. ყველაფერი დახრულდაო, რომ გაიფიქრა, სწორედ მაშინ მოვიდა საშველი. ბოლო შეტევისათვის გაშზადებულმა რვაფეხამ უეცრად რაღაც შავი საგანი შენიშნა, წამსვე საცეცები მოაშორა ადამიანს, დამალვა სცადა, მაგრამ თვალის დახამხამებაში მუქი ისარი ჩაერჭო ურჩხულის რბილ ხსეულს და წყლის მორევმა იანი კაიუტაში შეაგდო.

ელექტრონათურის შინა ჩაშსხვრეული იყო და მეზღვაურმა ძლივს გაარჩია ბიბნელეში ურჩხულების ორთაბრძოლა. იანი ისე იყო აღელვებული, რომ ველარც კი გრძნობდა საშინელ საფრთხეს, მას რომ ემუქრებოდა იმ შემთხვევაში, თუ მებრძოლი გიგანტები თოკსა და სახუნთქ მილებში დაიხლართებოდნენ. მაგრამ ასეთი სიკვდილი მას, ალბათ, ალარც შეაშინებდა, რაკი ბევრად უფრო საზარელს დააღწია თავი.

იანმა დაინახა, რომ რვაფეხას მახვილთვალა, ზღვის უხკერის ყველაზე ძლიერი არსება ებრძოდა. მან დაინახა, რომ თევზმა ერთბაშად გაგლიჯა რვაფეხას სანი ნაცვლი, დანრჩენები დაიგრაგნენ და შეეცადნენ „მკვლელის" შებოჭვას, მაგრამ თევზის კბილებმა მისი კუნთები ნაწილ-ნაწილ დაგლიჯეს. „მკვლელი" ძალლივით შეუდგა რვაფეხას გლეჯას. საცეცების ნაცვლად ურჩხულს თეთრი ხორცის ნაგლეჯები ჩამოეკიდა. ბოლოს და ბოლოს, ორთაბრძოლაც დახრულდა. იანმა გაიფიქრა, ჩემი წახვლის დროც მოვიდაო და სწრაფად გამოკრა თოკს ხელი.

როდესაც არაქათგამოცლილი მეზღვაური ზემოთ ამოვიდა, იგი უგრძნობლად გადაეკიდა ნავში.

ეონება რომ დაუბრუნდა, უკვე გემის კაიუტაში იწვა, სახთუმალთან კი კაპიტანი პარსონი ეჯდა.

— ყველაფერი კარგად დამთავრდა, მეგობარო, — უთხრა მან. — განძი ჩვენს ხელთაა. მაგრამ შენ, მგონი, რაღაც შეგემთხვა.

— ოჰ! — ამოიგმინა იანმა, — ჯოჯოხეთური მიში ვეგამე! თუ სუფთა ჰაერზე გამიყვანთ, ყველაფერს გიამბობთ. ტოძრები მრთელია?

— ექვსივე ქამარზე გქონდა გამობმული. მათი ღირებულება მართლაც არ უნდა იყოს სამოცი ათასზე ნაკლები,— უპასუხა კაპიტანმა.

— ძალიან კარგი, — თქვა იანმა. — ახლა კი სასწრაფოდ მოვშორდეთ აქაურობას. ფსკერზე კიდევ დარჩა მარგალიტი, მაგრამ, მილიონიც რომ იყოს, მე იქ ნამსვლელი ალარა ვარ. კაპიტანო, მალე დავიძვრებით?

— ათ წუთში, — მიუგო პარსონმა.

— ჰოდა, როცა ამ წყეულ ადგილს გავშორდებით, გიამბობთ, რა ხიფათს გადავეყარე წყალქვეშა ჯურღმულებში!..

თარგმნა აკაკი გელოვანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მიწის ერთი საოცრება

უფლისციხე — ქვაში ნაკვეთი საოცარი ქალაქი ჩემი სოფლის ახლო მეზობელია. მხოლოდ მტკვარი და მასზე გადებული ხიდი გვყოფს. გასცდები თუ არა ხიდს, ისიც იწყება — მართლაც უფლის ქალაქი, უფლის ციხე, ქართული მიწის ერთი საოცრება.

ვის არ დაურბევია, ვინ არ შეუფარებია. საუკუნეებისთვის გაუძლია დაუჩივლებლად. არც დღეს ჩივის. არც ის დაუჩივლია, გასული გაზაფხულის ძლიერმა მიწისძვრებმა გამოქვაბულები უღვთოდ, რომ დაუბზარა. თვალები კი მაინც სულ ნაღვლიანი აქვს, ნაღვლიანი და ათასგვარი უნიჭო წარწერით გაფერადებულ-გადაკაწრული.

აი, ერთი ამათგანიც: „1990 წელი, ქ. თბილისი... სკოლა, X ა კლასი“, შემდეგ კი გრძელი სიაა მეათეკლასელებისა, ციხე რომ მოუნახულებიათ. თავს ნება მივეცი და სკოლის ნომერი შეგნებულად არ დავასახელე. იქნებ მიხვდნენ, შინმიბრუნებულებს იქნებ გულიც მოეწვათ და აწი მაინც არ ჩაიდინონ ასეთი ბარბაროსული საქციელი. იქნებ იმ ექსკურსიის მერე მაინც ჩააფიქროთ ამ მართლაც უფლის ხელით აღბეჭდილი ქალაქის ისტორიულმა ღირებულებამ!

ამან გამაბედინა ეს თხოვნაც ყველა ჩემი თანატოლისადმი: გავუფრთხილდეთ ჩვენი წინაპრების ხელმონაკიდებ ამ უდიდეს ძეგლებს: განა მარტო უფლისციხეს, —ნიკორწმინდასაც, გრემსაც, ვარძიასაც, ბეთლემს, გელათს, ბოლნისის სიონს, სვეტიცხოველს... ჩვენი მამა-პაპის ხელოვნებისა და ნიჭის ხსოვნა მაინც ვადავარჩინოთ.

ირინე სადაღაშვილი,
გორი, ქვახვრელის საშუალო სკოლა, IX კლასი.

რევაზ ინანიშვილის გახსენება

იმ სამარცხვინო, ძმათამკვლელი ომის დროს დეკემბერ-იანვარში წავიდა იგი ჩვენგან.

კაცი გამორჩეული, პატიოსანი, უზომოდ შეყვარებული თავის საქმეზე — მწერლობაზე, პოეზიაზე და, რაც მთავარია, სამშობლოზე.

რა დამავიწყებს იმ დღეს, როცა ჟურნალ „დილის“ რედაქციაში პირველად შევხვდი ბატონ რევაზს. გულთბილად მიმიღო, წაიკითხა ჩემი ლექსები. მესაუბრა, დამარიგა.

გარდაიცვალა მართლაც რომ შესანიშნავი ადამიანი. მაგრამ, ბატონო რევაზ, არ იქნება, თქვენს ნაცნობებსა და თაყვანისმცემლებს რომ დაავიწყდეთ... თქვენ იცოცხლებთ მანამ, სანამ იცოცხლებენ ჩვენთვის, ყველასათვის საყვარელი თქვენი გმირები: თებრო, შიო პაპა, მათიკო, ბიბო და სხვები.

მე მჯერა, რომ თქვენ ახლა ზეციურ საქართველოში ხართ, ჩვენი სახელოვანი წინაპრების გვერდით და იქიდან დაპყურებთ თქვენს საყვარელ სამშობლოს.

ლელა კედელაშვილი.
ხიდნაღი, ანაგის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

„ბასტი ბუბუს“ ფშაველებიც ელიან

პატარაობიდან მიტაცებს სამსახიობო ხელოვნება და სკოლის პირობებში ამ ჩემი მიდრეკილების ცოტაოდენ რეალიზებასაც ვახერხებ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ჩემს „სამსახიობო“ რეპერტუარში ყოფილა, გახლდათ ის, რომ ერთხელ სკოლაში ჩატარებულ აკაკი წერეთლის პოეზიის საღამოზე პატარა აკაკის როლი განვასახიერე.

საერთოდაც, ჩვენს ოჯახში ხელოვნება ყველას უყვარს. მე და ჩემი და, რა ხანია, ვცეკვავთ თიანეთის კულტურის სახლთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ნაკადულებში“. მაგრამ მე მაინც გული უფრო მსახიობობისკენ მიმიწევს.

ასეთი გრძნობა დამეუფლა, როცა საბავშვო სატელევიზიო პროგრამა „ბასტი-ბუბუ“ პირველად ვნახე, მომხიბლა ჩემი პატარა მეგობრების უშუალობამ, გულწრფელობამ, ნიჭიერებამ და გადავწყვიტე, რომ ჩემი საყვარელი სატელევიზიო გადაცემის გადამღები ჯგუფი ჩვენთან, ფშავში ამოვიპატიჟო.

ლევან ცალუღელაშვილი,
თიანეთი, ფეიზოტის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ფაჩი. ფაჩი ხერსიძე, 12 წლის, თბილისის 173-ე საშ. სკოლა.



ორმოცი თოვლი მოსულა, ბაბუა გაიოზ!

ბაბუა გაიოზ-მეთქი... ბაბუა ჩვენი მკითხველებისა და თქვენი შვილიშვილებისათვის ხართ, თორემ რედაქციის მუშაკებისთვისაც და ჩვენთვისაც საოცარი ბატონი გაიოზი ბრძანდებით.

43 წელიწადი ძველი „პიონერისა“ და ახლანდელი „ნაკადულის“ სამხატვრო რედაქტორის მაგიდასთან გაგიტარებიათ. რა დიდი დრო გასულა მას შემდეგ, რაც თქვენ ამ რედაქციაში მობრძანდით. საყმაწვილო ჟურნალის თითქმის 20 ათას ფურცელს გაუვლია თქვენს ხელში, ჟურნალის ასობით ნომერი შემკულა და შემოსილა თქვენი ხელით; გამომცემლობა „ნაკადულს“, სხვა გამომცემლობებს უამრავი საბავშვო წიგნი (60-ზე მეტი) გამოუცია თქვენს მიერ შესანიშნავად შესრულებული ილუსტრაციებით, მათ შორის — იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების ორი წიგნი, მურმან ლებანიძის „საბავშვო ლექსები“, გრიგოლ აბაშიძის „ხუთი გმირი“, გ. შატბერაშვილის „მტკვრის სათავეებისაკენ“ (გარეკანი), აკაკი გელოვანის „სვანური ბალადები“, აკაკი ბელიაშვილის „საიდუმლო გამოქვაბული“, ჯეკ ლონდონის „ოქროს ხეობა“, რევაზ მარგიანის „ჩემი მეგობრები“, ფრიდონ ხალვაშის „დღე კაცისა“ და სხვ...

„ჩემი ხსოვნიდან არასოდეს წაიშლება ჩემი მასწავლებლების, იოსებ შარლემანის და ლადო გრიგოლიას სახელები, ქართული შრიფტის შნო და ლაზათი ბომ ლადო გრიგოლიამ ამიხსნა და შემაყვარა“, — ბევრჯერ გითქვამთ თქვენ. და ეს შნო და ლაზათი თქვენს მიერ ფაქიზად და ოსტატურად გამოყვანილ თითოეულ ქართულ ასოს ატყვია.

აკადემიური შრიფტითაც მოგეკაზმავთ წიგნები. თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის შემდეგ კი უფროს მასწავლებლად მუშაობის წლებსაც არ ჩაუვლია უკვალოდ თქვენი შემოქმედებისათვის.

„დავამთავრე სამხატვრო აკადემია და იმავე წელს ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრში დავიწყე მუშაობა მთავარ მხატვრად. ძნელი დრო იდგა, ომი იყო, ჭირდა, მაგრამ თეატრი თავის

ქარი ჭრის

ილუსტრაცია ალექსანდრე საჯაიას ზღაპრისა „როგორ იჭცა კაცი ხელ“.

საქმეს აკეთებდა და მეც ჩემებურად ვემსახურებოდი თეატრის აღმასვლას. ექვსი სპექტაკლი გავაფორმე — გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“, ი. გედევანიშვილის „ხინათლე“, გრ. ბერძენიშვილის „ტირიფი“, მ. ჯაფარიძის „უამთაბერის ახული“, ა. ტურისა და ლ. შეინინის „განსაკუთრებული კანონი“, კ. გოგიაშვილის „ფარავნელი ჭაბუკი“. რამდენი წელი გავიდა, მაგრამ უტკივილოდ მაინც ვერ ვიხსენებ, როგორ დაიწვა ქუთაისის თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეანჩა, რას გადამეკიდე?

და მასთან ერთად ჩემს მიერ მხატვრულად გაფორმებული დადგმების დეკორაციები. მაგრამ ერთ-ერთი დადგმის მხატვრული გაფორმება, თავიდან ბოლომდე, სრულად აღვადგინე...

მერე საქართველოს კინოსტუდიაში ნახატი ფილმების მხატვრად ვმუშაობდი, იმ დროს ნახატი ფილმების გადაღება ახლად ფეხადგმული იყო საქართველოში"...

ზემოთ მოგახსენეთ, 43 წელიწადია, გაიოზ ფოცხიშვილი ჩვენი ჟურნალის მხატვარ-რედაქტორია-მეთქი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითქმის ნახევარი საუკუნეა, იგი ამ ეროვნულ საქმეს ემსახურება, ამ ხნის განმავლობაში ჟურნალში არა ერთ და ორ გამოჩენილ მხატვარს უთანამშრომლია. ზოგი მათგანი ამჟამადაც განაგრძობს თანამშრომლობას. ბატონ გაიოზთან ბევრ ახალბედასაც უცდია თავისი ძალა, მაგრამ იოლად და სასხვათაშორისოდ ჟურნალს არავინ შემორჩენია, არც თვითონ გაუკეთებია რაიმე ამ ხნის განმავლობაში სასხვათაშორისოდ, მიფუჩეჩებულად, არც თავისი ადამიანური თუ შემოქმედებითი პრინციპებისათვის ულალატია როდისმე. მისი დაუღალავი შრომისა და ფიქრის შედეგად ჩამოყალიბდა ჟურნალის მხატვრული სახე, რომელიც წარსულ წლებში არაერთგზის აღნიშნულა სხვადასხვა ჯილდოთი.

ჟურნალი „ნაკადული" ქართველი ყმაწვილების ჟურნალია და მას ღირსეული ადგილიც უნდა ეჭიროს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს შორის, ბატონი გაიოზიც ამისათვის იღვწის. მისი ამაგიც დიდია, ჟურნალი გამოდის, თუმცა ამჟამად ძალიან ძნელდება მისი გამოცემა, გვჯერა, ეს სიძნელეც დაძლეული იქნება და მკითხველები კვლავაც მიიღებენ საქართველოს დამსახურებული მხატვრის, გაიოზ ფოცხიშვილის მიერ ლამაზად, საქმის ცოდნით, მაღალ პროფესიულ დონეზე გაფორმებულ ჟურნალ „ნაკადულს".

გალახსაც გაჰმევ რძიანსა...

წელს თქვენ 75 წლისა გახდით, მთაში თოვლი მოსულა, ბატონო გაიოზ, მაგრამ სულ მალე ისევ გაზაფხული მოვა... მრავალ გაზაფხულს



ილუსტრაცია ზღაპრისა „შავი ავავილი"

ნუაროსთან

გისურვებთ კვლავაც, თქვენს საყვარელ ოჯახთან და, რაღა თქმა უნდა, „ნაკადულთან" ერთად!

ედუარდ ამბოკაძე

ზანანა ბელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ეზო

ფოტო ზ. ლეშკაშელისა

რა თქმა უნდა, მარტო მე არ მიეტირი ჩემს ბავშვობას და მარტო მე არ ვინუგეშებ თავს, ბავშვობის მონატრების სევდაშემოწოლილი ლამის სულელური იმედით, რომ ბავშვობა გამიმეორდება, რომ ისევ ვიქნები პატარა და ისევ დავბრუნდები ბებერი აკაციის სურნელით სავსე ჩემი ბავშვობის ეზოში, იქ, კლარა ცეტკინის ქუჩაზე (ღმერთმანი, ხეირიანად არც დღეს ვიცი, ვინ იყო ბოლოს და ბოლოს ეს კლარა ცეტკინი, მაშინ ზომ არ ვიცოდი და არ ვიცოდი), თურმე სიყვარულს, სითბოს, სიკეთეს, მეზობლობის, მეგობრობისა და თანაგრძნობის მაგალს რომ გვასწავლიდა ჩვენთვის შეუმჩნევლად.

ჩემი ბავშვობის ეზო... ეს ზომ პირველ რიგში ჩვენ ვიყავით, ომისშემდგომი წლების გაჩხიკული გოგო-ბიჭები (ერთი მსუქანიც არ გვერია), ლამის ყველანი ერთდროულად რომ ვიბადებით, ყივანახველა იქნებოდა, ყბაყურა თუ ჩუტყვავილა, თვითნაკეთი თვითგორიას („სამაკატის") გრუხუნით რომ ვაყრუებდით არემარეს, რომ არც საკერებელდადებული შარვალი გვიკვირდა ჩვენს ტოლზე და არც კაბა, შავი გუდრონის ნაჭერს რომ ვაღლაჭუნებდით კვეის ნაცვლად გემრიელად... ერთი ოჯახი ვიყავით, აბა რა?! ჭირიც ერთი გვქონდა და ლხინიც. ყველანი ერთად ვხარობდით, როცა ჩვენი მეეზოვე მიხო მორიგ თავის ქალიშვილს ათხოვებდა; პავლიაშვილების უფროსი ბიჭი ავარიაში რომ დაშავდა, მთელი ეზო ზედ დაპკანკალებდა; თუ ობლობაში გაზრდილი და გზაკვალაბნეული ბორია უგონოდ დათვრებოდა, მთელი ეზოს ქალები ერთნაირად დასტრიალებდნენ თავს; როცა ცაგარლების ვასიკომ მთელ ეზოში პირველი მანქანა იყიდა, ის ნაცრისფერი „მოსკვიჩი" ყველას თავისად ეგულებოდა; როცა შევიოლინე ძია ისაის თვალის ჩინის დაკარგვა დაეტყო, ყველა ერთად დარბოდა ექიმისა თუ წამლების საძოვნელად...

არც პედაგოგ-ორგანიზატორი გვყოლია, არც თავისუფალი დროის გატარების პრობლემა გექონია როდისმე; თამაშებსაც თვითონ ვირჩევდით საჩვენოდ იმათი რიცხვიდან, სეზონურად რომ ჩამოუვლიდა ხოლმე თბილისის ეზოებს; არც წიგნებს გვირჩევდა ვინმე საგანგებოდ— ერთი რომ წაიკითხავდა, მერე ყველას ხელში გამოივლიდა, ჟიულ ვერნი იყო თუ მაინ-რიდი; არც ჩვენს ფიზიკურ განვითარებას ხელმძღვანელობდა ვინმე — დავრბოდით, ფეხბურთსაც ვთამაშობდით, ფრენბურთსაც, სიგრძეზეც ვხტებოდით, სიმაღლეზეც და სიმაღლიდანაც, არც კინოს ვიკლებდით, არც შუშტაიდისა თუ არტოს ბალში ხიარულს...

მიდიოდნენ ჩვენი შშობლები სამსახურში და მშვიდად ფეტოვებდნენ, ჩვენი დარდი არ მიკვეებოდათ, იმიტომ რომ ეზოს იმედად, ერთმანეთის იმედად გვტოვებდნენ. რომ იცოდეთ, არც ჩვენ მიგვიწევდა მაინცდამაინც გული და არც შშობლებს ჰქონიათ პანიკური შიში ქუჩის წინაშე — ჩვენ ზომ ეზო გვქონდა და...

თქვენ იტყვით, სხვა დრო იყო. დიახ, სხვა კი არა, სულ სხვა დრო იყო, და მე არც იმის მტკიცებას ვაპირებ, თითქოს უკლებლივ ყველა ჩემეზოელ თუ ძველი უბნების სხვაეზოელ გოგო-ბიჭებს უზადო და სრულყოფილი აღზრდა მიგვეღოს, თითქოს ყველანი ფრთაშეხსმული ანგელოზები დავმდგარიყავით. არამც და არამც, უბრალოდ, მინდა ყველამ გავიხსენოთ, რომ ამ ჯაჭვს — ოჯახი-სკოლა-ეზო — კარგა ხანია, მოსწყდა ეს ბოლო რგოლი — ეზო, ურომლისობაც მარტო კი არ ამოკლებს ჯაჭვს, არამედ ასუსტებს კიდეც.

კი ბატონო, თქმა არ უნდა, დიდებულია კომფორტაბელური ბინა ქალაქის ახალ უბანში, რომელიღაც კვარტალში, რომელიღაც კორპუსში, რომელიღაც სართულზე, ცხელი წყლით, გაზით, ცენტრალური გათბობით, ლიფტით, ტელევიზორით, ვიდეოთი და ასე შემდეგ... ცუდი იმ არის, რომ დაგმანულ, ახლა კი უკვე შეჯავშნულ ზეკომფორტაბელურ ცხრაკლიტულებში ვართ გამოკეტილები ჩვენც და ჩვენი შვილებიც. ჩვენ კიდევ ჯანდაბას, ბავშვები გვიმახინჯდებიან სულითაც და ხორცითაც. „აბა, რა გავაკეთოს" პრობლემას მათი უმრავლესობა დღეს ყბადაღებული ვიდეოსა და ტელევიზორის შეშვეობით სჭრის, ამას კი, როგორც ყველანი ვხედავთ, კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბუა ბაბაევი

ჩინეთის დიდი კედელი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის არმიის გენერალმა ვილსონმა ჩინეთის დიდი კედელი რომ იხილა, მისი სიდიადით მონუსხულს, ეს სიტყვები წამოსცდა: „იგი ხაფორტიფიკაციო წესების უცოდინარობითაა აგებული, მიუხედავად ამისა, იმდენად გრანდიოზულია, უამრავი კოშკი და შესახვლელი ისე ჰკვიანურადაა განლაგებული, რომ მისი აღება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ძლიერ არმიასაც კი გაუჭირდებაო.“ გენერალი ჭკვიანი მხედართმთავარი იყო. მან ამ ნაგებობაში არქიტექტორული საოცრება დაინახა, მაგრამ თავის მხრივ მაინც გამოთვალა მოიერიშეთა რაოდენობა, შეტევისათვის საჭირო ტექნიკა და ჭურვები, რაც კედლის დანგრევას დასჭირდებოდა.

არსებობს ერთი კანონზომიერება: როდესაც სახელმწიფო სუსტდება, მას ვერავითარი ციხესიმაგრე ვერ დაიცავს, რაგინდ ძლიერი მეციხოვნენიც უნდა ჰყავდეს, რაგინდ თავსაყრელად უნდა ჰქონდეთ ალყაშემორტყმულებს საჭირო და წყალი. გავა თვეები და ყველაზე ძლიერი ციხეც დაეცემა. ასე დაეცა რიაზანი ბათო ყაენის წინაშე, დაეცა ბაბილონი და იერიქონი, ალყას ვერ გაუძლო ყველაზე მტკიცე ციხესიმაგრეებმა...

თანამედროვეობას ჩინეთის დიდი კედელი შემორჩა, როგორც სიმდიდრის, სიძლიერისა და ფანტასტიკური შრომის ნაყოფი, ჩინელი მშენებლების ხელოვნებისა და ნებისყოფის სიმბოლო, მაგრამ მანაც ვერ შეასრულა ბოლომდე დაკისრებული მისია.

უხსოვარ დროში ჩინეთის ჩრდილოეთისა და დასავლეთის ტეპები მომთაბარეებს ეკავათ. ჩინელი მოლაშქრეები იმპერიის ძლიერების დროს სულ ახალ და ახალ ტერიტორიებს იპყრობდნენ, ადვილად იმორჩილებდნენ მომთაბარეებს. ათასეულ კილომეტრებზე შლიდა მხრებს ჩინეთის სახელმწიფო. მაგრამ გადიოდა ხანი, შინააშლილობები და გლეხთა აჯანყებები ასუსტებდა იმპერიას. იცლებოდა ხოფლები და მომთაბარეები უკან იბრუნებდნენ თავიანთ მიწებს, მიჰყავდათ ტყვეები, თავს ესხმოდნენ დედაქალაქს. ჩინეთის ტახტზე მკვიდრდებოდნენ მონღოლთა და მანჯურიელთა დინასტიები, რომლებიც მალე ითქვიფებოდნენ მრავალმილიონიან ჩინელ მოსახლეობაში, ითვისებდნენ მის რელიგიასა და კულტურას. ჩინეთის იმპერია ისევ იმართებოდა წელში.

მომთაბარეები მშვიდობიან დროსაც მრისხანე და საშიშ ძალას წარმოადგენდნენ ჩინეთის განაპირა რაიონებისათვის. ძვ. წ. პირველ ათასწლეულში ჯოუს ულმობელმა ტომებმა გაანადგურეს ინის სახელმწიფო და, შექმნეს რა ჯოუს დინასტია, მთელი ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში.

სასაზღვრო რაიონის გუბერნატორები ათასობით კილომეტრზე გაჭიმული საზღვრის დასაცავად ნაირგვარ საშუალებას მიმართავდნენ.

ძვ. წ. IV-III საუკუნეებში ჩინური სახელმწიფოების მმართველებმა მძლავრი თავდაცვითი კედლის მშენებლობა დაიწყეს ულ-

ნინგბა მშენებლებს მაინც მართებთ, რაც, იშვიდია, ერთგვარად მაინც შეუწყობდა ხელს ბავშვებთან, მოზარდებთან დაკავშირებული ზოგი პრობლემის გადაჭრა-მოგვარებას.

ელტებილებისა და ტრადიციული გზების გასწვრივ, საიდანაც მომთაბარეები შემოდიოდნენ. ასეთი კედლები, უფრო ზუსტად, მაღალი მიწაყრილები რამდენიმე ათეული კილომეტრის სიგრძეზე გასდევდა სასადგურო ზოლს.

ძვ. წ. IV საუკუნეში ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ჩინურ სახელმწიფოთა შორის აღზევდა ცინის სახელმწიფო. იგი სწრაფად ძლიერდებოდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა მინისტრ შან იანს, რომლის სამხედრო რეფორმების, შორსმჭვრეტელობისა და მხედრული ნიჭის წყალობით ცინის სახელმწიფომ ზედიზედ დაამარცხა მოწინააღმდეგენი. მხოლოდ ჯაოს სახელმწიფო უწევდა ცინს მეტოქეობას. ჯაოს ნახევარმილიონიან არმიას სათავეში ჩაუდგა გენერალი ლინ ბო. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ საზღვრისპირა ქალაქთან. ცინის მხედართმთავართა ყოველგვარი ცდა, ტრიალ ადგილზე გამოეტეტეებინათ ლინ ბოს ჯარი, უშედეგოდ დამთავრდა. გენერალი საიმედოდ იყო გამაგრებული ქალაქში და ბელსაყრელ მომენტს ელოდა.

მაშინ ცინელებმა ტაქტიკა შეცვალეს. დიდძალი ოქროს საშუალებით მათ მოისყიდეს ჯაოელები, რომლებიც წუწუნით ეახლნენ თავიანთ მეფეს — მოხუცი ლინ ბო მშიშარაა, ქალაქში გამოგვკეტა და ბრძოლას თავს არიდებსო. მეფემ გამოცდილი ლინ ბო გენერლობიდან გადააყენა და მის ნაცვლად ახალგაზრდა, ენერგიული, მაგრამ გამოუცდელი მხედართმთავარი დანიშნა. მანაც არ დაახანა და თავისი ნახევარმილიონიანი არმია გაშლილ ველზე გაიყვანა ცინელებთან საბრძოლველად. სწორედ ამას ელოდნენ რიცხვით ორჯერ მეტი ცინელები, მათ ალყაში მოაქციეს მოწინააღ-



მდეგე. ორმოცი დღის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ჯაოელები დამარცხდნენ, ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა, დანარჩენები ტყვედ წაიყვანეს. სწორედ ეს ტყვეები ააგებენ შემდგომში ჩინეთის დიდ კედელს.

ძვ. წ. 246 წელს ცინის ტახტზე ავიდა ახალგაზრდა ჯენი. მან კიდევ უფრო გააძლიერა ცინის სახელმწიფო, შემოუერთა მას სხვა ჩინური მიწებიც და თავისი თავი „ცინის პირველ იმპერატორად" გამოაცხადა. იგი ისტორიაში ცინ შიხუანდის სახელით შევიდა.

ცინის იმპერიამ მხოლოდ ნახევარ საუკუნეს იარსება. ცინ შიხუანდიმ დიდი კედლის საძირკვლის აგება მოახერხა, დინასტიის დამხობის შემდეგ კი მშენებლობა შეჩერდა, თუმცა — დროებით: მშენებლობა მომდევნო იმპერატორების დროსაც გრძელდებოდა.

მომდევნო იმპერატორები თითქმის ათასი წლის განმავლობაში აგებდნენ დიდ კედელს, ამის გამო მან რთული და განტოტვილი ფორმა მიიღო. როცა ჩინეთის დიდ კედელზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება „გარე კედელი," რომელიც უფრო გვიანდელია და მინის დინასტიის დროს, მე-16 საუკუნის შუა ხანებშია აგებული.

დაიკავებდა თუ არა ჩინეთის ტახტს ახალი დინასტია, გაგრძელებოდა კედლის მშენებლობაც; ისევ ეწირებოდა ამ ნაგებობას ათასობით სიცოცხლე. კედელი კი მაინც ვერ ასრულებდა თავის მისიას წარმატებით. იგი თავისუფლად გადალახეს ალტაელმა თურქებმა მე-7 საუკუნეში, მონღოლებმა — მე-13 და მე-15 საუკუნეებში.

უკანასკნელმა ომმა მინის დინასტია აიძულა, სწრაფად დაეგმავრებინა კედლის მშენებლობა. იმპერატორები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რაც უფრო გრძელი იქნებოდა კედელი, მით უფრო გაუჭირდებოდა მტერს მისი გარშემოვლა და რაც უფრო ნაკლები იქნებოდა მისი გადმოლახვის შანსი, მით უფრო ძლიერი იქნებოდა ჩინეთის სახელმწიფო.

საბოლოოდ კედლის სიგრძემ ორი ათას შვიდას კილომეტრს მიაღწია, ხოლო განტოტებების საერთო სიგრძემ ექვს ათას კილომეტრს გადააჭარბა.

მშენებლობის დამთავრებიდან ნახევარი საუკუნეც არ იყო გასული, რომ მანჯურიელებმა ისარგებლეს ჩინეთის სახელმწიფოს შინაშლილობით, გადალახეს „დიდი კედელი" და აიღეს პეკინი. მანჯურიელები მანამდეც ხშირად გადადიოდნენ ჩინეთის „დიდ კედელზე" საიდუმლო გასასვლელებიდან, იტაცებდნენ ადამიანებს და მიერეკებოდნენ საქონელს. ისტორიაში ცნობილია, რომ ერთ-ერთი ასეთი გადასვლის შედეგად მათ 250 ათასი ტყვე და ნახევარი მილიონი სული საქონელი წაასხეს მანჯურიაში.

ალბათ ბევრ თქვენგანს უნახავს ჩინეთის „დიდი კედელი" წიგნებში თუ ტელევიზორში, წარმოდგენილი აქვს მისი გრანდიოზული ზომები. პეკინის სიახლოვეს რესტავრირებულია კედლის ნაწილი მისი თავდაპირველი სახით. კედლის სიმაღლე თხუთმეტი მეტრია, სიგანე კი — ოთხი. ქონგურებში თავისუფლად თავსდებოდნენ ადამიანები და სახედრები. კედელზე მოძრაობა არ უჭირდა იმპერატორის მთელ მხედრიონს. კედლის გასწვრივ, ერთმანეთისაგან ასი-ას ორმოცდაათი მეტრის დაშორებით, დგას ოთხკუთხა კოშკები, რომლებიც აკონტროლებდნენ ახლომდებარე ტერიტორიას. კედლებში დატანებულია რამდენიმე კარი, უმთავრესად — საქარავნო გზებისა და ქალაქების სიახლოვეს.

ხუთ მთავარ საქარავნო გზასთან გაჭრილი ხუთი ძირითადი კარი ჩინეთის კარიბჭედ ითვლებოდა. ბევრ ჩინელს დღესაც სჯერა, რომ ჩინეთის ოლქები, რომლებიც შემოსაზღვრულნი არ არიან „დიდი კედლით", ჩინეთად არ ჩაითვლება.

დღესდღეობით შემორჩენილია ორი ათასი წლის წინათ აგებული „დიდი კედლის" წინამორბედი მიწაყრილებიც, განსაკუთრებით — კედლის განტოტებასთან. უფრო კარგად არის შემონახული „ცისფერი აგურით" ნაგები კედლები.

როგორც ჩინელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, კედლის გასწვრივ აგებული იყო 60 ათასი კოშკი; დღეისათვის მხოლოდ 20 ათასამდე ასეთი კოშკია შემორჩენილი.

სპეციალისტთა გამოთვლით, ჩინეთის „დიდი კედლის" მშენებლობაზე დაიხარჯა 700 მილიონი კაც-საათი, 180 მილიონი კუბური მეტრი მიწა, 60 მილიონი კუბური მეტრი ქვა და აგური. ამას დაუმატეთ მშენებლობაზე დახოცილი ასობით ათასი მუშახელი! არცერთ ეგვიპტელ ფარაონს არ დაესიზმრებოდა ამგვარი გრანდიოზული ნაგებობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც გიგანტომანიით იყვნენ შეპყრობილნი.

ახლაც, ისევე, როგორც ათასი წლის წინათ, ჩინეთის „დიდი კედელი" გარს უვლის ჩინეთის მთელ ტერიტორიას. იგი გადაკვეთს უდაბნოებსა და მშრალ სტეპებს, არ ეპუება მთებს, იპყრობს მათ და ეშვება ციცაბოებზე ისე, რომ ყველგან ინარჩუნებს თავის სიმაღლეს.

რამდენადაც გრანდიოზულია ეს კედელი, იმდენად ტრაგიკულიცაა იგი, რადგან დღევანდელობის სიშორიდან ადამიანის ტკივილის, სიძლიერისა და დაცემის, წარმოუდგენელი რწმენისა და მომავლის იმედის სიმბოლოდ აღიქმება.

ირინა
ლობუსოვა

ფსატვარი
ედუარდ
ამბოკაძე

ფოთხრობა

ჩვენ ოთახი დილაც გაითენდება!



ყველას! ყველას სამუდამოდ მივატოვებ! აღარავის ნახვა მსურს და არც არავის ხმის გაგონება მინდა. სკოლას კი ავაფეთქებ მთელი თავისი მომსახურე და მოსწავლე პერსონალით! ყველა მეჯავრება! მეხიკვდილება შინ მიხვლა. ქუჩაში მივლასლასებ. ნეტა რას მომჩერებია ეს კაცი?! ვერ ვიტან ახეთ მზერას, თითქოსდა გაშიშვლებენ და გწონიან. მზად ვარ, მოვკლა! დეგენერატი! მგონი, მოვედი. აი, ჩემი ეგრეთ წოდებული სახლიც. იხე, რა უჭირს, ცხოვრება შეი... არა, არ შეიძლება... უბრალოდ, ჩემმა წინაპრებმა თავი ვერ დააღწიეს აქაურობას. ავდივარ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ცა ჩამომემხო თავზე. ახლა ჩანთაში გასაღების პოვნაა საჭირო. ვიპოვე. შევდივარ. დედა შინაა. ვნატრობ, ცეროდენად ვიქცე და უხმაუროდ შევიპარო ჩემს ოთახში. ნეტა ვიდეოფირზე გვიღებდეს ახლა ვინმე! ოთახის კარი იღება და დედის მოლუშული სახე მხვდება თვალში.

— მოხვედი? რა ხდება სკოლაში?

შევეცადე, პასუხად რაღაც წამებურდღუნებინა, მაგრამ ამის ნაცვლად საძაგელი ბღავილი აღმომხდა. ის რაღაცას შელაპარაკება სადილზე, მაგრამ მე ვეუბნები, ბუფეტში ვჭამე და არ მშია-მეთქი. ოჰ, როგორი მომაბეზრებელია მისი ტკბილი, შინაურული კილო და მზრუნველობა! ჩანთა მოვისროლე, მგონი — დივანქვეშ. იატაკზე ვჯდები. მუხლებზე ხელებს ვიხვევ. აი, დიდხანს ვიჯდები ახე და ვუყურებ ფანჯარას... მწვანე ხეს... ყველა მეჯავრება! ნეტა ავტომატი მომცა...

კარი იღება. შემოდის დედაჩემი.

— გაკვეთილები ისწავლე?

თვეზიკით პირში წყალი ჩავიგუბე. არც კი ვიყურები მისკენ.

— ეს რაღაა, იატაკზე ჯდომა ახლა მოდაა? გესმის, რასაც გეუბნები?!

ვდუმვარ. ოდნავ აქეთ-იქით ვირწევი. აღარ მომეშვება?!.

— მაგ შენმა როკ-მუსიკამ იდიოტად გაქცია! ახლავე სახწრაფოს გამოვუძახებ და ფსიქიატრიულში გაგზავნი!

ვდუმვარ.

— რა უბედურებაა, ხმა ამოიღე! რას მოვესწარი!.. რისთვის გაგზარდე!.. რატომ აცდენ გაკვეთილებს? ფიზიკაში რვა გაცდენა გაქვს უკვე, გეოგრაფიაში — ექვსი, ალგებრაში კიდევ — სამი.

მორჩა! გათავდა! ეს კარგა ხანს გაგრძელდება და ნერვებზეც ხაშინლად მოქმედებს. ოხ, ერთი ამაყენა, მაღრიალა, ჭურჭელი დამამსხვრევინა... მაგრამ ძალა აღარ შეუფენია.

თვალზე ცრემლი მომადგა. ახლა ღვარად წამოვა. მაგრამ არა, ვერ მოესწრება, არ ვიტირებ! დედა ჩემს გარშემო დარბის, წიოკობს, ხელებს იქნევს და ყვირის, რომ მე უმადური ვარ, რომ ფულს, რომლითაც მე მარჩენს, სუნი არა აქვს, რომ მე მის კეთილშობილ ხახელს ვარცხვენ და ა. შ. და ა. შ.

მთელ საათს ახე გრძელდებოდა. აუტანელია... ბოლოს იგი ოთახიდან გავარდა და კარი გაიჯახუნა. მე შემეძლო, თავი შემართლებინა, ყველაფერი შეამბნა, მაგრამ მისი თანაგრძნობა და სიბრალული ჩემთვის სიკვდილზე, ყოველგვარ უბედურებაზე უარესი იქნებოდა. ჩემი უბედურების ამბავს გავანდობდი ნებისმიერს, ოღონდ არა ამას. ისიც არ ვიცი, როგორ მოიქცეოდა ეს ქალი, ყველაფერი რომ მეთქვა. ჩვენ ხომ სხვადასხვა ადამიანები ვართ, განსხვავებული ინტერესები და შეხედულებები გვაქვს. ჩვენ, უბრალოდ, ერთმანეთისთვის უცხონი ვართ და რაღაც საბედისწერო შემთხვევის გამო გვქვია დედა და შვილი. ცრემლები ლაპალუპით ჩამომდის ღაწვებზე, ფრანგული ტუში შავ კვალს ტოვებს ჩემს თეთრ კოფთაზე. ჩემს უბედურებაზე ვეჩურჩულები დივანს, მაგნიტოფონს, ფარდებს, წიგნებს, კასეტებსა და ფანჯარასთან მდგარ ხეს. მე ბიჭმა მიმატოვა! უბრალოდ, ადგა და მიმატოვა! რა. ღა უნდა ვქნა ამის შემდეგ?! აღარაფრის ძალა აღარ შემწევს. ჩუმი სიძულვილის ძალაღა შემრჩა და... ტირილისა. მაგრამ იხე, რომ არავინ დამინახოს, რადგან ხვეების თვალში მე ძლიერი ვარ! ძალზე ძლიერი... ტელეფონი რეკავს. ალბათ, მე მკითხულობენ. დედა კარს აღებს და მეძახის. ხელს ვაკვლევ რაღაც ჩვარს, თვალებს ვიმშრალებ და მივდივარ.

— გისმენთ!

— ირა ხარ? გამარჯობა. მე ვარ, იცი, რა, შენთან ლაპარაკი მინდა. ყველაფერს აგიხსნი. შეგიძლია, შემხვდე? გცალია?

ის არის! ის! ღმერთო ჩემო!.. რაღაც ძალა შემემატა. უკან ვიხედები,

დედაჩემი ხომ არ მისმენს-შეთქი და მტკიცე, მშვიდი, თავდაჯერებული ხმით ვამბობ:

— თავიდან მომწყდი, უსინდისო...

და კიდევ რალაცებს ვუმატებ, ისეთ რამეებს, რისი დაწერაც უხერხულია. „შე ვაცო, შენა!" —ვეუბნები ტელეფონს, და სახეზე შვების ღიმილი მეფინება. გულზე მომეშვა. ვიღიმები. გუნება გამომიკეთდა. შევდივარ მეორე ოთახში დედაჩემთან და ვეუბნები: „მაპატიე, ახე აღარასოდეს შოვიქცევი, დედა..."

ვბრუნდები ჩემს ოთახში და ბოლომდე ვუწევ მაგნიტოფონს. იმიტომ, რომ ახლა მხოლოდ მას შეუძლია ჩემი დამშვიდება...

ხვალინდელი დილაც მალე გათენდება..

თარგმნა

ლალი ცძვიტიშვილმა



ქრისტეფორე კოლუმბი ამერიკის აღმოჩენა

თუ დავხედავთ რუკას, დავინახავთ, რომ დასავლეთ ნახევარსფერო მოიცავს უზარმაზარ კონტინენტს, რომლის აღმოჩენა და მისთვის სახელის მიკუთვნება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში მოხდა. ამ კონტინენტთან მრავალი საინტერესო ამბავია დაკავშირებული. შევეცდებით, თანამიმდევრობით მოგითხროთ მათ შესახებ.

ძველ რომაელ და ბერძენ სწავლულთა შრომებში საყურადღებო ცნობებია დაცული „დასავლეთის მიწის" არსებობის შესახებ. მაგალითად, ჯერ კიდევ 2 200 წლის წინ ჰერგამელი მეცნიერი კრიტეს მილეთელი მიუთითებდა, აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ორი ხმელეთის სიმეტრიულად დასავლეთ ნახევარსფეროში კიდევ ორი ხმელეთი არსებობსო. ჩინური წყაროები გვიამბობენ, რომ VI-VIII სს-ში კალიფორნიას ჩინელი ბერები ეწვივნენ, ესპანური და პორტუგალიური ცნობებით კი VII-VIII სს-ში ევროპელები მრავალჯერ ყოფილან დღევანდელი ამერიკის ტერიტორიაზე.

ევროპელთაგან სიმამაცით და ზღვაოსნობის დახვეწილი ხელოვნებით განსაკუთრებით გამოირჩოდნენ ნორმანები. 867 წელს ვიკინგმა ნად-ოდმა აღმოაჩინა ისლანდია; 982 წელს ლეივ ერიქსონმა ჩრდილო ამერიკას, ხოლო 983 წელს ერიკ რაუდამ გრენლანდიას მიაღწიეს. ნორმანულ საგებში (თქმულებებში) ლაპარაკია ვინლანდზე (ამერიკაზე). ნორვეგიელმა არქეოლოგებმა კუნძულ ნიუფაუნდლენდზე აღმოაჩინეს ნორმანთა ძველისძველი დასახლებები. აშშ კონგრესმა ლეივ ერიქსონი ოფიციალურად აღიარა ამერიკის პირველ აღმომჩენად. ასე რომ, ამერიკის აღმოჩენის დღე 9 ოქტომბერია, თუმცა მსოფლიომ ქრისტეფორე კოლუმბს ღვაწლი არ დაუკარგა და 12 ოქტომბერი „კოლუმბის დღედ", ე. ი. ამერიკის ხელახალი აღმოჩენის დღედ აღიარა. წელს მთელმა მსოფლიომ აღნიშნა „დასავლეთის მიწის" აღმოჩენის 500 წლისთავი და პატივი მიაგო დიდ მოგზაურსა და ზღვაოსანს — კოლუმბს.

ქრისტეფორე კოლუმბი (ქრისტობალ კოლონი) დაიბადა 1451 წელს

იტალიაში. 25 წლისა საცხოვრებლად პორტუგალიაში გადავიდა, ხოლო შემდეგ ესპანეთში დასახლდა. ესპანეთში ხმა გავარდა, იტალიელი მეზღვაური ატლანტის ოკეანის გავლით აზიაში აპირებს გამგზავრებასო. კოლუმბის გეგმა და მარშრუტი სამეფო კარმა მოიწონა და ესპანეთის დედოფალ იზაბელასა და მეფე ფერდინანდის ხელშეწყობით გამოიყო საჭირო თანხა ექსპედიციის დასაფინანსებლად.

1492 წლის 3 აგვისტოს პალოსის ნავსადგურიდან გავიდა სამი ხომალდი — ფლაგმანი „სანტა-მარია" და მომცრო ხომალდები — „პინტა" და „ნინია". კოლუმბს მხარს უმშვენებდნენ კაპიტნები, ძმები ალონზო და ვინსენტ პინზონები, ეკიპაჟს კი ფრიად „ჭრელი" საზოგადოება შეადგენდა, უმეტესწილად — მსჯავრდადებულნი. კოლუმბს მტკიცედ სწამდა, რომ აუცილებლად აღმოაჩენდა ევროპიდან ინდოეთში მიმავალ გზას. ინდოეთი, ჩინეთი და იაპონია ხომ შუა საუკუნე-

ების ევროპაში ოქროში, სანელებლებითა და ძვირფასი თვლებით მდიდარ ქვეყნებად ითვლებოდა. აღმოსავლეთისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ვენეციელი მარკო პოლო სამშობლოში დაბრუნდა და საკუთარი თვალით ნანახ ქვეყნებზე ზღაპრული ამბები ჩამოიტანა. მაგალითად, იაპონიაზე მარკო პოლო ამბობდა, „ოქრო უამრავი აქვთ, მარგალიტები უთვალავი, ვარდისფერი და ძალიან ლამაზიო“.

მადაგაღვიძებული ევროპის ქვეყნები ოცნებობდნენ, სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინათ ზღაპრულად მდიდარ აღმოსავლეთთან, მაგრამ სამხრეთის ზღვები არაბთა ხელში იყო, ხოლო წითელ ზღვაზე ეგვიპტის სულთნები ბატონობდნენ. ამიტომ სანელებლებისა და ოქროს მოპოვების ციებ-ცხელებით შეპყრობილი ევროპის ქვეყნები ახალ საზღვაო გზებს ეძებდნენ.

სახელოვანი მეზღვაურები — კორტესი, ხუან დე სოლი, კაბოტი და სხვები ბევრჯერ ცდილან „ინდოეთის ოკეანეში“ გაჭრას, მაგრამ ამაოდ. ამ ზღაპრული ქვეყნის მაძიებელთ წინ ეღობებოდა უზარმაზარი მატერიკი — აფრიკა. 1486 წელს ბართოლომეო დიასმა აფრიკას შემოუარა და თითქმის მიადგა ქვეყანას, სადაც უხვად იყო დარიჩინი, პილპილი და სხვა სანელებლები, მაგრამ დაქანცულმა ეკიპაჟმა ველარ შეძლო გზის გაგრძელება.

1492 წელს განცვიფრებული ევროპა ზეიმით შეეგება კოლუმბს, რომელმაც აფრიკის შემოვლით კი არა, სულ სხვა გზით მიაღწია „ინდოეთს“ და ესპანეთში წითელკანიანი „ინდოელები“ ჩამოიყვანა.

1498 წელს ვასკო და გამამ „ღვთის სამსახურად და პორტუგალიის გვირგვინის საკეთილდღეოდ“ მიაღწია ინდოეთს. პორტუგალიელებმა იხილეს ნარგვარი ხილი, სპილოს ძვლის ნატიფი ნაკეთობები, უამრავი სურნელოვანი სანელებელი — შავი პილპილი, მიხაკი და დარიჩინი, ოქროს ფასად რომ იყიდებოდა ევროპაში.

მაგრამ როშელი იყო ნამდვილი ინდოეთი — კოლუმბის აღმოჩენილი თუ ვასკო და გამას მიერ ნანახი ქვეყანა? „დიდი მეზღვაური კოლუმბი ბიკვდილამდე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ გუანახანისა და კუბის კუნძულებზე გადახვლით მან ფეხი შედგა ინდოეთში“ (შტეფან ცვაიგი). ნამდვილად კი ინდოეთი ის ქვეყანა იყო, რომელიც „ინდოეთის ზღვების ადმირალმა“ ვასკო და გამამ იხილა, კოლუმბმა კი ხინამდვილეში ამერიკა აღმოაჩინა.

1492 წლის 11 ოქტომბერს სწრაფმავალ ხომალდ „პინტადან“ ხმელეთი შენიშნეს. „მიწა! ვხედავ მიწას!“ — შესძახა ანძაზე ასულმა მეზღვაურმა. მეორე დღეს, 12 ოქტომბერს, მეზღვაურთა თვალწინ გადაიშალა ტროპიკული ტყით დაფარული კუნძული. კოლუმბმა სახომალდო ჟურნალში ჩაწერა პირველი სტრიქონები: „აბორიგენები ტანმშვენიერნი არიან, უხეში

ქრისტეფორე კოლუმბი

შავი თმა აქვთ... ჩემი ღრმა რწმენით, ისინი მალე მოიქცევიან ქრისტეს რჯულზე, რადგან მათ არავითარი რწმენა-წარმოდგენები არ გააჩნიათ. ოქტომბრის დასასრულს კოლუმბი მიადგა კუნძულ კუბას, ხოლო დეკემბრის პირველ რიცხვებში — ჰაიტს, რომელსაც კოლუმბმა ესპანიოლა (პატარა ესპანეთი) უწოდა. კოლუმბი გარდაიცვალა 1506 წლის 20 მაისს. იგი უბრალოდ, უხმაუროდ დასაფლავეს — ამერიკის აღმომჩენი კარგა ხნის მივიწყებული იყო. მაგრამ სახელი და დიდება თვითონ მოვიდა. კოლუმბის გარდაცვალების წლისთავზე, 1606 წელს, ლოთარინგიელმა კარტოგრაფმა ვალდზეემიულერმა დასტამბა მომცრო წიგნი — „კოსმოგრაფიის შესავალი“, სადაც ქრისტეფორე კოლუმბის მიერ აღმოჩენილ მიწას ფლორენციელი ვაჭრისა და მოგზაურის სახელი — ამერიგო ვესპუჩი უწოდა. მას შემდეგ მრავალმა წელმა გაიარა და სამეცნიერო ლიტერატურაში მტკიცედ დამკვიდრდა ამ ახალი კონტინენტის სახელი — ამერიკა. ამ უსამართლობის მიუხედავად, ამერიკის აღმომჩენი ხინამდვილეში ქრისტეფორე კოლუმბია და იგი ღირსია იმ შარავანდედისა, რომლითაც მისი სახელია მოსილი.



ქრისტეფორე კოლუმბის პირველი ექსპედიცია

სუფრიული თამამი

ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა სესილ სორელმა, რომელიც უკვე სამოც წელს იყო გადაცილებული, ერთ დღეს სარკეში ჩაიხედა და დაიჩივლა:

— რა სამწუხაროა, რომ ძველებურად ველარ აკეთებენ სარკეებს!

●

ერთხელ ცნობილი ფრანგი იუმორისტი ტრისტან ბერნარო რესტორანში სადილობდა, უველაფერი, რაც მიუტანეს, უგემური იყო. სადილის დამთავრების შემდეგ მან ფული გადაუხადა ოფიციანტს, რესტორნის პატრონი მოიხმო და სთხოვა, გადამეხვიეთო.

— რა თქვით?!

— გადამეხვიეთ, — გაუმეორა ტრისტან ბერნარომ.

— რატომ, ბატონო?

— იმიტომ, რომ თქვენ მე ველარასოდეს მნახავთ.

●

ერთმა მალალი წრის ქალმა სადილად მოიპატიჟა ვიქტორ ჰიუგო იმ იმედით, რომ ეს დიდი ადამიანი საინტერესოს გახდიდა წვეულებას.

სტუმრები სუფრას მიუსხდნენ და ელოდებოდნენ, რომ ვიქტორ ჰიუგო ყოველი სასმისის დალევის წინ რაღაცას იტყოდა. მწერალი ჭამდა და საკმაოდ ბევრსაც. მაგრამ ხმას არ იღებდა. ბოლოს მწერალი გვერდზე მჯდომი ქალისაკენ გადაიხარა რაღაცის სათქმელად. ყველა გაისუსა. უცებ მოესმათ:

— მაპატიეთ, ქალბატონო, თუ შეიძლება, მარილი მომაწოდეთ!

●

ერთი მხატვარი შვებულების პერიოდში ღვინის დასალევად ქალაქის მიყრუებულ ადგილას სარდაფში შევიდა და დათვრა. უანდარმმა ქუჩაში ბარბაცით მიმავალი კაცი რომ დაინახა, შეაჩერა:

— დალიეთ?

— დიახ, — მიუგო მხატვარმა, — შეც დავლიე... რაფაელმაც დალია... მოდილიანმაც დალია... ვან გოგმაც...

უანდარმი მაშინვე თავის კოლეგას მიუბრუნდა:

— დაიარეთ მთელი ქალაქი და დააკავეთ ყველა ეს ლოთი!..

ფრანგულიდან თარგმნა
ეთერ ბეჭანიშვილმა

ცარიელი X: მათემატიკა

1. ლევანმა და ლუკამ ცალ-ცალკე ქლიავი იყიდეს. ლევანმა უთხრა ლუკას, მომეცი შენი ორი ქლიავი და თანაბარი რაოდენობისა გვექნებაო. ლუკამ უპასუხა, არა, ჯობს, შენ მომეცი ორი ქლიავი და მე ორჯერ მეტი მექნებაო.

რამდენი ქლიავი ჰქონია თითოეულს?

2. გიორგის, მამუკასა და დათოს ვაშლები აქვთ. გიორგიმ მამუკასა და დათოს იმდენი ვაშლი მისცა, რამდენიც თითოეულ მათგანს ჰქონდა; მამუკამ გიორგისა და დათოს მისცა იმდენი ვაშლი, რამდენიც ახლა აქვს თითოეულს. თავის მხრივ, დათომაც მისცა გიორგისა და მამუკას იმდენი ვაშლი, რამდენიც აქვს თითოეულს ამჟამად.

რამდენი ვაშლი ჰქონდა თითოეულ მათგანს თავდაპირველად?

3. მიფრინავენ წეროები: ერთი წინ და ორი უკან, ერთი უკან და ორი წინ, ერთი — ორს შორის და სამი — ერთ რიგში.

რამდენი წერო მიფრინავს სულ?

4. ორმა კაცმა საზიაროდ მტრედის ყიდვა გადაწყვიტა. ერთმა შეხთავაზა მეორეს: თუ მომცემ შენი ფულის ორ მესამედს, მაშინ მე მარტო ვიყიდი მტრედსო. მეორემ უპასუხა, მომეცი შენი ფულის სამი მეოთხედი და მტრედს მე ვიყიდიო.

რამდენი ფული ჰქონია თითოეულ მათგანს, თუ მტრედი 24 მანეთი ღირს?

5. გლეხმა მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე უნდა გადაიყვანოს მგელი, თხა და გადაიტანოს თივის ბულული. ნავში შეიძლება მოთავსდეს მხოლოდ გლეხი და მასთან ერთად ან მგელი, ან თხა, ან თივის ბულული. თუ გლეხი ნაპირზე დატოვებს მგელსა და თხას, მგელი შეჭამს თხას; თუ თხასა და თივას დატოვებს, თხა შეჭამს თივას.

გლეხმა მაინც შეძლო, ისე გადაეყვანა ცხოველები და გადაეტანა თივა, რომ არაფერი უზარალია.

როგორ მოახერხა ეს?

6. ერთი კაცი ერთ კასრ ბურახს სვამს 14 დღის განმავლობაში, ხოლო ცოლთან ერთად — 10 დღეში. რამდენ დღეში დალევს მარტო ცოლი ერთ კასრ ბურახს?

7. როცა ძაღლმა კურდღელი დაინახა, მათ შორის მანძილი 150 მეტრი იყო. კურდღელი 2 წუთში გარბის 500 მეტრს, ხოლო ძაღლი — 5 წუთში 1800 მეტრს.

რამდენ წუთში დაეწევა ძაღლი კურდღელს?

8. თორმეტ ადამიანს 12 პური მიაქვს: თითოეულ მამაკაცს 2-2 პური, თითოეულ ქალს — ნახევარ-ნახევარი პური, ხოლო თითოეულ ბავშვს — პურის მეოთხედი.

რამდენი მამაკაცი, ქალი და ბავშვი იყო სულ?

9. ერთი მოგზაური ერთი ქალაქიდან მეორეში ჩადის 10 დღეში, ხოლო მეორე მოგზაური იმავე მანძილს 15 დღეში გადის.

რამდენი დღის შემდეგ შეხვდებიან მოგზაურები ერთმანეთს, თუ ისინი ერთდროულად გამოვლენ ამ ქალაქებიდან ერთმანეთის შესახვედრად?

10. ბიჭი ერთი სოფლიდან მეორეში მიდიოდა. გზაში კაცი შემოხვდა. ბიჭმა ჰკითხა, რამდენი კილომეტრი იყო დარჩენილი მეორე სოფლამდე. კაცმა უპასუხა: „მანძილი იმ სოფლიდან, საიდანაც შენ მოდიხარ, არის ამ სოფლებს შორის არსებული მანძილის მესამედი; თუ კიდევ 3 კილომეტრს გაივლი, მაშინ ზუსტად ნახევარი გზა გექნება გავლილი".

რამდენი კილომეტრი დარჩა ბიჭს გასავლელი?

11. ერთ კაცს 7 შვილი ჰყავს. პირველი და მეოთხე შვილი ერთად 9 წლისაა, პირველი და მეექვსე — 8, მეორე და მეხუთე — 8, მეორე და მესაშე — 9, მესამე და მეექვსე — 6, მეოთხე და მეშვიდე — 4, მეშვიდე და მეხუთე — 4 წლისა.

რამდენი წლისაა თითოეული შვილი?

12. რომელი საათია?

ამ კითხვას ასე უპასუხეს: შუადამიდან გასული დროის ნახევარი უდრის იმ დროის სამ მეოთხედს, რაც შუადღემდეა დარჩენილი.

რომელი საათი ყოფილა?

13. გოგონების ეშმაკობა

პანსიონის მასწავლებელს 20 მოსწავლე გოგონა ჰყავდა. მან იხილი 8 ოთახში მოათავსა. ყოველ საღამოს მასწავლებელი შემოივლიდა ხოლმე სახლს და ამოწმებდა, იყო თუ არა მის ყოველ მხარეს 7 გოგონა. ერთხელ მოსწავლეებს 4 გოგონა ეწვია სტუმრად და იმ ღამეს მათთან დარჩნენ. საღამოს მასწავლებელმა სახლი რომ შეამოწმა, დარწმუნდა, რომ ყველა მხარეს ოთახში 7 გოგონა იყო. მეორე დღეს ოთხმა გოგონამ შინ გაიცალა 4 შეგობარი და ღამით უკან არ დაბრუნებულან. დარჩა 16 გოგონა, რომლებიც ისე მოთავსდნენ ოთახებში, რომ ღამით მასწავლებელმა ისევ 7 გოგონა დაითვალა სახლის ყველა მხარეს.

როგორ მოთავსდნენ გოგონები ბოლო ორ შემთხვევაში?

ჯვარედინი



თარაზულად: 5. ციხესიმაგრე და საპყრობილე მე-14. მე-18 საუკუნეების პარიზში; 6. ვაზით გადახურული საჩრდილობელი — ფანჩატური; 11. ერთგვარი ცეცხლსასროლი იარაღი; 12. სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმის განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება; 14. ტვირთის სიმაღლეზე ასაწევი მანქანა; 15. რაიმე სახის გამოხმაურება, პასუხი; 22. ძველი ბერძენი მათემატიკოსი; 23. სიღნაღის რაიონის სოფელი; 24. ჰიმალაის უმაღლესი მწვერვალი; 25. ყუთის ფორმის მექანიკური მუსიკალური საკრავი.

შვეულად: 1. ადამიანის დროებითი , საკბოვრებელი ნაგებობა; 2. ზღვის უაჩაღი; 3. საერთო ინტერესებით გაერთიანებულ პირთა ჯგუფი; 4. მსუბუქი დაცინვა; 7. დიდი მტაცებელი ცხოველის თათი; 8. ნიდერლანდის დედაქალაქი; 9. ძველ რომში სხვა მონებთან ან მტაცებლებთან საბრძოლველად სპეციალურად გაწვრთნილი მონა; 10. დროებითი ქაღალდის ფულის ნიშანი; 13. ერთგვარი ბალახი, აქვს ყვითელი პრიალა ყვავილები; 16. ქართული გაზეთი ისრაელი ქართველი ებრაელებისათვის; 17. მარადმწვანე დეკორატიული ბუჩქი; 18. მტაცებელი ფრინველი; 19. სულელი, უეყეჩი, რეგვენი; 20. აგურის ან ქვის პირღია ღუმელი, სახლის კედელში დატანებული; 21. ალფაბეტი.

შეადგინა ალ. გორგიშელმა

გამოცანა

მოტორი არ სჭირდება,
არც საწვავად — ბენზინი,
არც თვლები, არც კამერა და
საბურავი რეზინის.
მას პირდაპირ ძარაზე
უყენია ეშვები,
ჯერ მე ამყავს ალმართში,
მერე დაბლა ვეშვები.

ნ. გვარიშვილი

1. მე და ჩემს უკან მდგომ ბრძენს რომ ზურგზე შავი რგოლები გვქონდეს, მაშინ მეორე ბრძენი იტყოდა, რომ მას თეთრი რგოლი აქვს. რაკი არაფერი თქვა, მაშასადამე, მე და პირველ ბრძენს სხვადასხვა ფერის რგოლები გვქონია. თუ მე შავი ფერის რგოლი მაქვს და მეორე ბრძენი არაფერს ამბობს, მაშინ პირველი ბრძენი იტყოდა, რომ მას ზურგზე თეთრი რგოლი აქვს. ვინაიდან ეს უკანასკნელი ხედავს, თუ რა ფერის რგოლი მაქვს მე და არაფერს ამბობს, მე შავი რგოლი არ მქონია. მაშასადამე, მე ზურგზე თეთრი რგოლი მაქვს დამაგრებული.

2. ყუთიდან, რომელსაც აქვს წარწერა „თეთრი და შავი", უნდა ამოვიღოთ ერთი ბურთულა. თუ ყუთში თეთრი ბურთულაა, ეს იმას ნიშნავს, რომ მეორეც თეთრია, რადგან ვიცით, რომ წარწერა არ შეეფერება სინამდვილეს. მაშინ იმ ყუთში, რომელსაც აქვს წარწერა „ორი თეთრი", იქნება ორი შავი ბურთულა, ხოლო მესამე ყუთში, რომელსაც აწერია „ორი შავი", იქნება თეთრი და შავი ბურთულა.

3. გიორგის ჰყავს — 2 ცხვარი, დავითს — 4, ირაკლის — 1, მიხეილს — 2, იაკობს — 1.

კროსვორდი

თარაზულად: 1. ფარდაგი; 3. იაფი; 5. კიჩო; 6. მაია; 7. აისი; 9. როტმისტრი; 13. კომბალი; 14. პოეტიკა; 17. ბასკები; 18. უაზარმა; 19. ეროგლიფი; 21. ავზი; 23. აბრა; 24. თარი; 25. იდეა; 26. ამირანი.

შვეულად: 1. ფიფა; 2. ილია; 4. ვალი; 6. მერიმე; 8. იტალია; 9. რქაწითელი; 10. იდეალიზმი; 11. უკარება; 12. ბარიბარ; 15.ასირია; 16. ერთობა; 20. გული; 22. ირმა; 23. ადლი.

სახალისო ამოცანა

6-6 წლის

გამოცანა

ჭიაყელა
შარადა
იადონი

მთავარი რედაქტორი ვალერი ჯინჭარაძე

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ მდივანი), ნინო ბეჟანიშვილი, გურამ გასიტაშვილი, მანანა ბელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, ნანა ფავლენიშვილი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, გაგულია ფელია, ქეთევან ფილაშვილი, ბიჟი ჭიჭინაძე, ზურაგ ჭუმბურიძე, ნინო ხარაზიშვილი.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, კოსტავას 14.
ტელეფონები: მთ. რედაქტორს — 93-81-81. პ/მგ მდივანს — 93-53-05.

გადაეცა ასაწყობად 15. 10. 92 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 01. 93 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85. შეკვ. 1776. ტირაჟი 12800.

ჟურნალი აწყეს და დაბეჭდა საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" სტამბაში.

642/42

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76157